# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 აპრილი 2000 №71 (1093) | ფასი 50 თეთრი




REUTERS მონაკოდან

ფაბიენ ბარტეზი და მარკო სიმონე (მარჯვნივ): „მონაკო" საფრანგეთში საუკეთესოა!

# მსოფლიოს ჩემპიონის ჩემპიონი

გასულ უქმეებზე ოთხ ევროპულ გუნდს ვადამდე გაჩემპიონება შეეძლო.

- *თუ „ჰერენვენი" ვერ მოუგებდა „სიტარდს", ჰოლანდიაში პირველობა „პსვ ეინდჰოვენს" რჩებოდა;*
- *„სელტიკის" მარცხი „დანდისთან" „რეინჯერსს" შოტლანდიის ჩემპიონობას აზეიმებდა;*
- *„ანდერლეხტს" შინ „გენტი" უნდა დაემარცხებინა და ბელგიაში უძლიერესიც გახდებოდა;*
- *საფრანგეთში კი „ლიონმა" ფრედ ითამაშა და „მონაკოს" გასაჩემპიონებლად შინ ერთი ქულის შემატებაც ჰყოფნიდა...*

ამ ოთხიდან სამმა მიზნის ასრულება სამომავლოდ გადადო, „მონაკო" კი ამ სეზონში პირველი ევროპელი ჩემპიონია!

იხილეთ მეათე გვერდი

14 15

## დღეს სალონიკში:

**მაკაბი — ბარსელონა**

**პანათინაიკოსი — ეფესი**

საკალათბურთო ევროლიგის „ოთხთა ფინალის" წინარე ვნებათაღელვანი „სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტის თვალით

# ტორპედოს ორიანი და დინამო, ლოკომოტივს — ჯანი



— კარგია, კმაყოფილი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მოგვიწია ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქეობა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ჩვენსა და „ტორპედოს" დაპირისპირებაზე, ათას სისულელეს, ჭორს გაიგებს კაცი. აგერ ბატონო, ღმერთმა ასე ინება, ჩვენს ხელშია ყველაფერი. ძლიერმა გაიმარჯვოს და ფინალში ითამაშოს — საქართველოს თასის ნახევარფინალური წყვილების გუშინდელი კენჭისყრის შემდეგ „დინამოს" მწვრთნელ ოთარ კორღალიძეს უკმაყოფილებისა მართლაც არაფერი ეტყობოდა. ჩემპიონების ადმინისტრატორმა გია იმნაძემ ლოტოტრონიდან ბურთულა მესამემ ამოიღო, საშეჯიბრო კომიტეტის უფროსს გია ფირცხალავას მიაწოდა და გუნდებიც დაწყვილდნენ:

**დინამო — ტორპედო**

**ლოკომოტივი — ბათუმი**

კორღალიძის რეაქცია: სკამზე გადაწვა, გაიღიმა, გვერდით მჯდომს რაღაც გადაულაპარაკა, თავზე ხელი გადაისვა, „ტორპედოს" პრეზიდენტ მიხეილ ქორქიას გაჰხედა, მხრები აიჩეჩა, დარბაზიდან აუჩქარებლად გავიდა, მერე შეყოვნდა... იმნაძემდე ორიოდ წუთით ადრე ლოტოტრონთან „ტორპედოს" პრეზიდენტი მივიდა. მანამდე კი თბილისში ჩამოუსვლელი ბათუმელის ნაცვლად ბიჭუნამ ამოიღო ბურთულა, რომელში მოთავსებულ ფურცელზეც „4" ეწერა, რაც ნიშნავდა — „ბათუმს" „3"-იანის პატრონი გუნდი დაუპირისპირდებოდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ „3" ლოტოტრონშივე დარჩა, „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძეს აღარ დასცალდა, წინასწარი კენჭისყრისას გადაწყდა ასე...

ნახევარფინალში გუნდების დაწყვილების პრინციპი მარტივი იყო. როგორც ვთქვით, რომელი გუნდის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი თუ ადმინისტრატორი ამოიღებდა ბურთულას, რომლის ფურცელზეც ეწერა „1", მისი მეტოქე იქნებოდა — „2", შესაბამისად დაწყვილდებოდნენ „3" და „4". პირველი ბურთულა ბათუმელის მონაცვლე ბავშვმა ამოიღო — „4", მერე „ტორპედოს" პრეზიდენტმა — „2", მესამედ კი „დინამოს" ადმინისტრატორმა გია იმნაძემ — „1". ყველაფერი ცხადი გახდა. წინასწარვე ითქვა, ლუწი ციფრების პატრონები პირველ მატჩებს 2 მაისს სტუმრად გამართავდნენ, საპასუხოს — 9 მაისს.

იხილეთ მეორე გვერდი



მიხეილ ქორქია და რევაზ ძოძუაშვილი: იქნებ ფინალშიც ვითამაშოთ?

# ევროპას მკვლელები შეეჩვივნენ

## საფეხბურთო ტრაგედიები სტამბოლში, პეტერბურგსა და ბუდაპეშტში

სტამბოლის ერთ-ერთ ყავახანაში „გალათასარაი"—„ფენერბაჰჩეს" დერბის ცქერისას ამტყდარი კამათი გულშემატკივრის მკვლელობით დასრულდა. გაზეთ „ჰურიეთის" ცნობით, პოლიციამ მკვლელი მალევე დააპატიმრა, მაგრამ წესრიგის მცველთა ოპერატიულობა ფაქტს ვერ ცვლის: თურქეთის ამ ქალაქში ბოლო ათ-თორმეტ დღეში ფეხბურთის ნიადაგზე აგერ უკვე მესამე მკვლელობა მოხდა. მოგეხსენებათ, უეფას თასის პირველი ნახევარფინალური მატჩის წინ „გალათასარაის" ქომაგებმა ინგლისური „ლიდს იუნაიტედის" ორი ფანი იმსხვერპლეს.



REUTERS ბუდაპეშტიდან

„ფერენცვაროშის" ერთ-ერთი ფანი პოლიციას ვერ გაექცა

„ხულიგნებმა გაიმარჯვეს. საბრალო ინგლისი. ბრიტანეთის დიდი იმპერია ხულიგნებმა მოდრიკეს" — ირონიით წერდა „მილიეთი", როდესაც „ლიდსის" მოთხოვნით უეფამ საპასუხო შეხვედრაზე თურქი ქომაგების დასწრება აკრძალა. თუმცა სტამბოლის მორიგი ინციდენტი, როგორც ჩანს, პრობლემის ძალიან სერიოზულ გააზრებას ითხოვს.

როგორც ცნობილია, უეფას ნებართვით „ლიდსისა" და „გალათასარაის" შეხვედრაზე დასწრების ნებართვა მხოლოდ ოთხმოცმა მაღალჩინოსანმა მიიღო, რაც რეალურად ინგლისს გამგზავრების მსურველ თურქ პარლამენტართა რიცხვზე ნაკლებია.

მკვლელობა მოხდა სანკტ-პეტერბურგშიც, სადაც მოსკოვის „დინამოსა" და ადგილობრივი „ზენიტის" ფანატები შეებნენ ერთმანეთს. რუსული მილიციის ცნობით, გარდაცვლილი ყმაწვილკაცი ასთმით დაავადებული ნარკომანი გახლდათ, რომელმაც „წამლის" დოზა ვერ მოზომა, მაგრამ თვითმხილველთა თქმით, აგონიაში მყოფ მსხვერპლს მკერდში მძიმე საგნის ჩარტყმის სიმპტომები შეენიშნებოდა. სხვა მოწმეები ადასტურებენ, რომ შეტაკებისას მებრძოლებმა გამოიყენეს როგორც კეტები, ასევე არმატურა.

საფეხბურთო სიგიჟის ტალღამ უნგრეთსაც გადაუარა. სახელმწიფო ტელევიზიის MTV-1-ის ცნობით, „ფერენცვაროშისა" და „უიპეშტის" გულშემატკივართა შეტაკებაში 50 ადამიანი მეტად თუ ნაკლებად დაშავდა. იარაღად უნგრელმა ხულიგნებმაც ქვები და სამშენებლო მასალა გამოიყენეს. პოლიცია იძულებული შეიქნა ცრემლმდენი გაზი და სხვა სპეცარსენალი აემოქმედებინა.

„ფერენცვაროში" და „უიპეშტი" უნგრეთის გუნდებს შორის ყველაზე აგრესიული ქომაგებით გამოირჩევიან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ერთმანეთის ძველი მოძულენი არიან. აღსანიშნავია, რომ წინა ტურში ჩაშლილი მატჩის გამო „უიპეშტის" სტადიონი 31 მაისამდე უკვე დისკვალიფიცირებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უფერული მასპინძლები და ფერდაკარგული სტუმრები

„ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია"! მეექვსე ტურის ცენტრალური მატჩი. საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა, რომელიც სამწუხაროდ და მოულოდნელად მატჩის შემდგომი ხულიგნობითაც, უფრო ზუსტად, ამ ხულიგნობის მასშტაბითაც გამოირჩა. ჩალეწილი მინები „დინამოს" სტადიონზე, დაზიანებული ავტომანქანები, (მათაც მინები ჩაუმსხვრიეს) და „ვიტ ჯორჯიას" ჩაქოლილი ავტობუსი, რომლის შეკეთებასაც რამდენიმე ათასი დოლარი დასჭირდება. აი, რა დარჩა ბათუმური მატჩის შემდეგ. და კიდევ, დამარცხებული მასპინძლები და გამარჯვებით გახარებული სტუმრები.

ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და არც ეს ინციდენტი მომხდარა უმიზეზოდ. მალე, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. მანამდე კი შემოგთავაზებთ ჩემეულ კომ-ენტარს, რასაც ვეტერინართა და ფეხბურთის ფე-დერაციის წარმომადგენელთა ნათქვამსაც დავურთავთ.

## მიზეზი ახლოა: საკუთარი თავი

არ ვიცი, რა მოუვიდა „ბათუმს". ასე უფერულად ზღვისპირელებს ჯერ არ უთამაშიათ. არ ვარგოდნენ შეტევაში, ვერ იბრძოდნენ ნახევარმცველები, უკანა ხაზი კი უამათოდ ცუდ დღეში ვარდებოდა. 14 აპრილს „ბათუმს" მინდორზე ორი ფეხბურთელი ჰყავდა. კარნევალი ვერაფერს უსაყვედურებდა მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძეს და ნახევარმცველ ამირან მუჯირს. დანარჩენთ, ეჭვი არ მეპარება, საკმაოდ უკითხა „ნოტაციები".

„ვიტ ჯორჯიამ" კი თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მეკარემ საიმედოდ ითამაშა. დაცვა ათიოდ წუთში მოერია მღელვარებას და მერე მეტოქე თავის ტერიტორიაზე ანუ საჯარიმოში არ გაუჭაჭანებია. ნახევარდაცვამ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო — აშკარად დაჩაგრა მასპინძელთა შუა ხაზი. თავდასხმაში გოჩაშვილმა სასარგებლოდ ითამაშა, იმდენი იმუშავა, ვეტერინარებს ერთად-ერთი თავდამსხმელით გარჯა არც დასტყობიათ.

ზემონათქვამის გათვალისწინებით „ვიტ ჯორჯიას" გამარჯვება სავსებით კანონზომიერი იყო. მასპინძლები ტყუილუბრალოდ ემართლებოდნენ გუნთაძეს. მსაჯებთან სასაყვედურო თუ ჰქონდა, უფრო „ვიტ ჯორჯიას", თუმც ბუნებრივია, გამარჯვებულს მატჩის შემდეგ ხმა არ ამოუღია.

„ბათუმმა" დამარცხების მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძიოს. სამი ქულის დაკარგვას სხვას ვერავის დააბრალებს. აკი აღიარებდნენ კიდეც სტაჟიანი ბათუმელი ქომაგები, ვისთან რა გვაქვს საკამათო, ჩვენი ფეხბურთელები არ ვარგოდნენო.

## ვინ სად დაჯდეს?

უკვე ვთქვით, „ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია" ტურის ცენტრალური, უპრინციპულესი მატჩი რომ იყო. თამაშის ორგანიზაციულ მხარესა და წესრიგის თაობაზე რაღა მოგახსენოთ. ადრე არ სჩვეოდა ბათუმის სტადიონს მსგავსი რამ: ყველა გადი-გამოდიოდა იქ, სადაც მოისურვებდა. პოლიციელები კი ამას თითქოს ვერ ამჩნევდნენ.

„დინამოზე" ვერსად ვიპოვე ადგილი, სადაც ჟურნალისტს მუშაობის პირობები ექნებოდა. დასავლეთის ტრიბუნებს შორის მდგარი თეთრი შენობის პირველ სართულს უშველებელი ასოებით კი აწერია „პრესა", მაგრამ იქ ფურცელ-ავტოკალმიანი არავინ ჩანდა. ბუნებრივია, იქ არავინ შემიშვა, ამიტომ აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, წვიმაში, ფეხზე მდგომი ვასრულებდი სარედაქციო დავალებას. ჩემს ბედს მატჩის ინსპექტორი, ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი გია ფირცხალავაც იზიარებდა. პირველ ტაიმში ისიც ღია ცის ქვეშ გაამწესეს, მეორეში თვალი აღარ მომიკრავს.

იქნებ ფედერაციამ ერთხელ და სამუდამოდ გაგვაგებინოს, სათადარიგოთა სკამზე ვინ უნდა იჯდეს. ვიცით, რომ, დებულების მიხედვით, მატჩის ოქმში ჩაწერილი პიროვნებების გარდა იქ მოკალათება ყველას ეკრძალება. მაშ რატომ სარგებლობს „ბათუმი" პრივილეგიით? ადრეც შემჩნეულა, პარასკევსაც ასე იყო (ყოველ შემთხვევაში, კარნევალის გვერდით მჯდომი პიროვნება ამ გვარ-სახელით მოიხსენიეს ბათუმელებმა), ქალაქის მერი ასლან სმირბა შემოღობილს შიგნით იმყოფებოდა.

თითქოს ამით ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ წესი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ასე გროვდება უბრალო და ბრალიანი მიზეზები, რამაც საბოლოოდ კინაღამ ტრაგედიამდე მიგვიყვანა. მადლობა ღმერთს, რომ ბათუმური ინციდენტი უმსხვერპლოდ დასრულდა.

## „ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია" გრძელდება

ჩალეწილი მინები, დამსხვრეული ავტობუსი, ორი თბილისური და ერთიც ბათუმური ავტომანქანაც შუშებჩამტვრეული.

ვინ ზღავს ზარალს? აი, ეს არის ახლა საკითხავი. ალბათ, ავტომობილების პატრონებს საკუთარი ჯიბის იმედი თუ ექნებათ. მათ ზარალს არავინ აუნაზღაურებს. სტადიონის მინები კლუბის ხარჯებით აღდგება, მაგრამ რჩება ავტობუსი, რომელიც „ვიტ ჯორჯიამ" იქირავა და ბათუმელმა ხულიგნებმა დააზიანეს. ვინ იკისრებს რემონტის ხარჯებს, მითუმეტეს, რომ ხარჯები დაახლოებით 5000 დოლარამდე აღწევს. ეს ჯერ უცნობია, თუმც ფეხბურთის ფედერაციისა და „ვიტ ჯორჯიას" პოზიციები უკვე გამოიკვეთა.

*გია ფირცხალავა*, ფედერაციის საშეჯიბრო კოტიტეტის უფროსი: ჩვენ შეტყობინებას გავაგზავნით ბათუმში. გვსურს ვიცოდეთ, რა იღონეს კლუბისა და ქალაქის ხელმძღვანელებმა. დაველოდებით მათ პასუხს და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ.

დღეს ერთი შემიძლია გითხრათ, მომხდარს სპორტულ-ტექნიკური კომისია განიხილავს და ვერდიქტსაც ის გამოიტანს.

*გურამ რუხაძე*, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი: ვერ გამიგია, რას გვერჩოდნენ, ფეხბურთელებისგან რას მოითხოვდნენ. სამი ქულა კი მოვიპოვეთ, მაგრამ ბიჭები გაწვალდნენ, მთელი ღამე არ უძინიათ, 6 საათი, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ გაატარეს.

ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, დაველოდებით, რას მოიმოქმედებენ ფედერაცია და „ბათუმი" და სრული კომენტარი მერე იყოს.

ერთი სიტყვით ასეა, „ბათუმი" — „ვიტ ჯორჯია" არ დამთავრებულა, დღესაც გრძელდება და გაგრძელდება 25 მაისის ჩათვლით. იმ დღეს „ვიტ ჯორჯია" იქნება მასპინძელი, „ბათუმი" კი სტუმარი. სტუმარს კი ჯეროვანი პატივისცემა ეკუთვნის. ასეთია ქართული წესი.

**მამუკა კვანტალიანი**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მომხდარით გაოგნებული სტკ-ის პასუხისმგებელი მდივანი ზვიად დარასელი (მარცხნივ) და თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი

# აი, რა ხდება საქართველოში

## ფეხბურთელებს მოედანზე ავტომანქანით დასდევენ

საფეხბურთო ხულიგნობის უამრავი მაგალითი არსებობს მსოფლიოში, მაგრამ იმას, რაც ამას წინათ ჩვენი მადლიანი ქვეყნის მადლმოკლებულ საფეხბურთო სარბიელზე მოხდა, ანალოგი არ მოეძებნება. ამ დროს კი უცხოელი საფეხბურთო ავისმქნელები თავს იმტვრევენ, როგორ დაასვან დაღი ამა თუ იმ შეხვედრას — მოედანზე ნასროლი მაშხალით, ბოთლებით, ქვებით, ანაც სკამის ნატეხებით ხომ დღეს ვერავის გააკვირვებ. მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივართან ჩხუბითაც ვერ მოიოხებ გულს — შეიძლება გაჯობოს და შენს გუნდზე უარეს დღეში ჩაგაგდოს.

ვაი, თქვენს ფანტაზიას და გაულევებელ ნიჭს, ფეხბურთზე შეშლილო უცხოელებო! ნახეთ, რა ხდება ქართულ სტადიონებზე. თურმე რა ადვილი ყოფილა თავის გამოჩენა და არასასურველი სცენარით მიმდინარე მატჩის ჩაშლა...

თბილისი. 6 აპრილი. ფიზკულტურის აკადემიის მოედანი. „ჩოხელის თასის" გათამაშების კალენდარული მატჩი. „დინამო 83" — „მთვარის გლობუსი"...

„შეხვედრის 78-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ორთაბრძოლისას მთვარის გლობუსელი კანკავა მეტოქესთან ჭიდილში დაეცა და შეიგინა. მოწინააღმდეგე ტაბიძემ გინება თავის თავზე მიიღო და კანკავას მუცელში წიხლი ჩაარტყა, ამას გუნდური ჩხუბი მოჰყვა. უცებ მოედანზე „ატვიორტკით" შეიარაღებული კანკავას ძმა შემოვარდა და დინამოელებს გამოედევნა. მერე კი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა..." აი, ამას ვკითხულობთ იმ შეხვედრის ბორჯომელი მსაჯის გოგოლაძის მოხსენებით ბარათში. რა მოხდა შემდეგ? როგორც ჩანს, ფეხბურთელის ძმამ საზრახნისით ვერაფერი გააწყო, საჩქაროდ მოედანი დატოვა და რამდენიმე წამში იქ, სადაც ბურთს უნდა ეგორა, ავტომანქანით შევარდა. იგი მოთამაშეებს გამოეკიდა. დევნა დიდხანს არ გაგრძელებულა, გაოგნებული მსაჯ-ფეხბურთელები სწრაფად გავიდნენ მინდვრიდან. მატჩი, რა თქმა უნდა, ჩაიშალა...

აი, სწორედ ეს ინციდენტი გახლდათ სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის გუშინდელი, რიგით 184-ე სხდომის მთავარი თემა. სტკ დაეთანხმა სფფ-ს ასოციაციებთან ურთიერთობის კომიტეტის წარმომადგენლის ჯუმბერ თანანაშვილის მოსაზრებას და იმ შეხვედრის მონაწილე ორივე გუნდს წაგება ჩაუთვალა. მაგრამ ამ საქმესთან დაკავშირებით დისციპლინარებმა სხვა დამსჯელი ღონისძიებები ველარ განახორციელეს, რადგან სხდომაზე მოსული ზემოთ ნახსენები გუნდების მთავარი მწვრთნელები ამტკიცებდნენ, ჩხუბი არა კანკავამ და ტაბიძემ, არამედ პაპავამ და ნავროზაშვილმა ატეხესო. გაოცებულმა ომარ გოგიაშვილმა სტკ-ს თავმჯდომარემ, განაცხადა, გაარკვიეთ ამ ფეხბურთელთა ვინაობა და მათ საქმეს შემდეგი სხდომისთვის განვიხილავთო. კომიტეტმა „ჩოხელის თასზე" მომხდარ კიდევ ერთ ფაქტზე იმსჯელა. ჭიათურის „მაღაროელის" ყოფილი მოთამაშე და „ვიტ ჯორჯია 2-ის" მწვრთნელი დავით იობაშვილი ფეხბურთიდან მოკვეთეს. იობაშვილს მისი გუნდის „ავაზასთან" დამარცხება ვერ აუტანია, მსაჯ სულთანიშვილს მივარდნია და მას ფიზიკურად გასწორებია.

დისციპლინარებმა 200 ლარით დააჯარიმეს ბოლნისური „სიონის" საშინაო სარბიელი. სტკ „სიონი" — „ტორპედოს" მატჩის არბიტრის ალექსანდრე მეშკოვის მოხსენებით ბარათს დაეყრდნო. მეშკოვის თქმით, მატჩის მიმდინარეობისას ორი ცარიელი პლასტმასის ბოთლი გადაუგდიათ სტადიონზე. მაგრამ, როგორც ჩანს სტუმართმოყვარე ბოლნისელთათვის მასპინძლობა წყალში ჩაუყრიათ იმ მატჩის ინსპექტორ მსაჯებს — ჩვენთვის არაფერი უთქვამთ მსაჯებს, პირიქით, სასაყვედურო არაფერი გვაქვსო და დიდებული ვახშმის შემდეგაც კმაყოფილება დატოვეს ბოლნისიო — განაცხადა სხდომას ბოლოს შემოსწრებულმა „სიონის" წარმომადგენელმა. გადაწყვეტილებას ვერ შევცვლით, თქვენ კი გეცოდინებათ, ამის მერე ვახშმად ვისი დაპატიჟება ღირსო, უმწეოდ გაშალა ხელები სხდომის თავმჯდომარემ.

სტკ-ს მიერ ათიოდ წუთში მიღებულ დადგენილებებზეც ვთქვათ: სამსამი მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიეცა „არსენალი" — „თბილისის" შეხვედრაში გაძევებულ ფეხბურთელებს. ბურდული, გონჩაროვი და ხოსროშვილი 150-150 ლარითაც დაჯარიმდნენ. იგივე ჯარიმა შეუფარდეს „კოლხეთი 2"-ის მოთამაშე ტარიელ ყურაშვილსაც. სამგორელი თვაური თანაგუნდელის გინებისთვის ორ მატჩს გამოტოვებს და 100 ლარსაც შეელევა. კიდევ ერთი რეგიონალურლიგელი, „თორის" ფეხბურთელი ზვიად წიქარიშვილი კი ერთი თამაშით მოცდება.

ბავშვთა ფეხბურთში რომ დისციპლინა მოიკოჭლებს, ეს კიდევ ერთმა მაგალითმა დაადასტურა. „ნორჩი დინამოელის" აღსაზრდელმა კახა შოშიაშვილმა „ვიტ ჯორჯია 2"-თან შეხვედრაში ზრდილობა დაივიწყა და მამის ტოლ მსაჯს უწმაწურად აგინა. ამას დისციპლინართა მკაცრი ვერდიქტი მოჰყვა — ოთხი მატჩით დისკვალიფიკაცია, პლუს ჯარიმა 200 ლარი.

**პაატა კვანტალიანი**

# ტორპედოს ორიანი და დინამო, ლოკომოტივს — ჯანი

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ინტუიციით ვგრძნობდი, „დინამოს" უნდა შევხვედროდით. ასე მსურდა, „დინამოსთან" ჩვენი ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი. კარგია ისიც, რომ პირველ მატჩს თბილისში ჩავატარებთ — განგვიცხადა „ტორპედოს" პრეზიდენტმა.

რაღა ითქმის? ჩემპიონობისთვის მებრძოლთა გზები თასის ნახევარფინალში გადაიკვეთა. „დინამო" — „ტორპედოს" ფინალი აღარ იქნება. საინტერესო, დაძაბული მატჩები გველის. ქუთაისელებს მართლაც ძველი ანგარიში აქვთ თბილისელებთან გასასწორებელი. წლეულს, „დინამომ" „ტორპედო" სუპერთასისთვის მატჩში ერთხელ უკვე დაამარცხა, ჩემპიონატის თამაში კი ქუთაისში ფრედ 0:0 მორჩა. ყიფიანი თავს ალბათ გულნაკლულად გრძნობს. კორღალიძე?...

არანაკლები ბრძოლაა მოსალოდნელი „ლოკომოტივ" — „ბათუმის" შეხვედრებში. რკინიგზელებს უევას თასის საგზურს მხოლოდ თასის ფინალში გასვლა თუ მისცემს. ჩემპიონი „დინამო" — „ტორპედოდან" ერთ-ერთი რომ გახდეს, მაშინ ევრო ტურნირზე სათამაშოდ „ლოკომოტივისთვის" სულაც არ იქნება აუცილებელი თასის მფლობელობა.

მოკლედ, თუ მოხდა და რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებმა „ბათუმი" ვერ დაამარცხეს, ეს უევროპოდ დარჩენის ტოლფასი იქნება. „ბათუმს" კი, ჩვენში სათასო გუნდის სახელი რომ გავარდნია, ვფიქრობთ, ახალი არავისთვის უნდა იყოს. მათი მწვრთნელი ჯანი კარნევალი არც ამჯერად აპირებს გუნდის ფინალს მიღმა დატოვებას — ვიცოდი, ადრეც არაერთხელ მითქვამს, ნახევარფინალში „ლოკომოტივი" შეგხვდება-მეთქი. გული მიგრძნობდა ამას. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პირველ მატჩს თბილისში ჩავატარებთ. იოლი თამაშები არ გველის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ფინალისტები გავხდეთ, ვნახოთ — ეს გვითხრა „ბათუმის" თავაცმა ჯანი კარნევალიმ, როცა გუშინვე ბათუმში შევეხმიანეთ. რევაზ ძოძუაშვილმა თქვა, ნახევარფინალში ყველა გუნდი თანაბარძალოვანია, სამისგან ვერც ერთს გამოვარჩევდი. პირველ მატჩს შინ გავმართავთ თუ სტუმრად, ეს ჩემთვის სულ ერთიაო.

და ერთიც: „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებმა ახლა მასპინძლობაზე უნდა იფიქრონ. ორივე მატჩი 2 მაისს უნდა ჩატარდეს, ორივეს სარბიელი ეროვნული სტადიონია. ძოძუაშვილი ამბობს, ეროვნული ხელოვნურად გავანათოთ და ერთმა დღისით ითამაშოს, მეორემ-სალამოსო.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ნაცნობი სახეები ლოტოტრონთან: ანატოლი მილჩენკოს, მალხაზ ლაცაბიძეს, გია ფირცხალავას და ნოდარ კაკულიას წილისყრისას ნორჩი ფეხბურთელი ეხმარებოდა

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი
7 ტური
ანონსი

# მეტი რა გინდათ, ვეჟო!

თქვენ რა გგონიათ, ძვირფასებო, ვეტერინარი მარტო იმას ჰქვია, ვინც წაქცეულ ფაქიზოს მკურნალობს? არამც და არამც, ვეტერინართა სამმოს მშვენივრად ეხერხება სიხარულით და ამბიციით მეცხრე ცაზე მფრინავი მავანის (ვთქვათ, „ბათუმის“) მიწაზე დახეთქება და მისთვის ლამისაა მთელი წლის მანძილზე „ხელიხელნაგოგმანები მარგალიტის“ პირში ჩალასავით გამოვლება.

ჰოდა, ერიდეთ, ძვირფასო სხდომის მონაწილეებო და პატივცემულო ნაფიცო მსაჯულნო, მწვანე რისხვას, იტყოდა ოსტაპ ბენდერი და ამჯერად მართალიც იქნებოდა.

მისი გაფრთხილება ყველაზე ძლიერ „ტორპედოს“ უნდა აინტერესებდეს — წინა ტურში „მეგობარი“ ვეტერინართა საძმო, ახლა უშუალო მტრად ექცევათ იმერლებს (მინდორზე) და თუ მოახერხეს და კოტრიკაძის თავგასული შეგირდების დაცვის რედუტები გაარღვიეს, მერე მართლა შეიძლება დასძახოს „ტორპედოს“ ოპტიმისტმა გულშემატკივარმა — ჩვენ ჩემპიონები ვართ!

იქამდე კი ეს მეშვიდე და კიდევ შვიდი ტურია. ვნახავთ, მოვესწრებით რა და როგორ. მწვრთნელი გაითვალისწინებს მწარე ბათუმურ გამოცდილებას და მაშინ, როცა გუნდს უკეთ შეტევა შეუძლია, დაცვიდან არ ააგებს ტაქტიკას. ცოტა ხმამაღალი მოწოდება ნამდვილად გამოგვდის, მაგრამ ამ შემთხვევაში „სარბიელის“ ფურცლებიდან იმ ხალხის გულისხმა გეხმიანებათ, ვინც „ბათუმი“ — „ტორპედო“ ნახა.

ღვთის წყალობა ღვთის წყალობაა, ასეთი რამ დიდი-დიდი წელიწადში ერთხელ გელირსოს კაცს (პენსიებივით) და „ვეტერინართა საჩუქარი ბათუმიდან“ მეტად აღარ განმეორდება — ეს გულის ფიცარზე უნდა დაიწერონ ტორპედოელებმა. ქართული ფეხბურთის ორი ოქროს თაობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები კი, კოტრიკაძე და ყიფიანი, ახლა მწვრთნელის საჭესთან შეაჯანჯლარებენ ერთმანეთს. ვნახოთ ვინ — ვის.

იოლი გასეირნება არც „ბათუმს“ ელის. ნურავინ იფიქრებს, „კოლხეთმა“ ხელი ჩაიქნიაო, ვის ვის და ფოთელებს ევროტურნირები ყოველი წლის ბოლოს ტრადიციად ექცათ და წლეულს რატომ გადაუხვევენ „პირველ ჩვენებას“ ნეტავი? რვაქულიანი პასივი დიდი ზღვარი ნამდვილადაა (ჩვენშიც და უცხოეთშიც), მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო, ესეც ხომ ნაღდია? ამიტომ „კარნევალს და კამპანიას“ სერიოზული გარჯა მოუწევს, რათა სამტრედიაში მარცხით გამწარებულ ტყებუჩავას ბიჭებს სასურველი შედეგი დასტყუოს. ფოთელთა მონდომებას „ბათუმთან“ თასზე წარუმატებლობაც შეასვამს დოპინგს და მეტი რა გინდათ, ვეჟო, კარგი ზღვისპირული დერბი გველის (იმედია, ზღვისპირული და ძილისპირული სხვადასხვა ცნებებია).

„დინამოსთან“ ხუთ წუთში დამარცხებული „სიონი“ „იბერიას“ მოუგებს. ჯერ ერთი, ბოლნისელები ყველასთან ჯიგრიანად და წარმატებულად ირჯებიან „თემურ სტეფანიაზე“, მერე შემადგენლობითაც გაცილებით გამოცდილნი არიან იმერლებზე, მესამეც — „სიონი“ რა, შავია, ევროტურნირისთვის არ იბრძოლოს? ყურადღება მიაქციეთ — ერთ ქულასღა აგებს „კოლხეთთან“.

კიდევ ერთი სათასო (მეოთხედფინალური) წყვილი შეხვდა ერთმანეთს მეორე ეტაპის მეშვიდე ტურში — „დილა“ — „დინამო“. დავიჯეროთ, ვარდუა მკითხავი დაგვჭირდებათ გამარჯვებულის გამოსაცნობად? ჰო, მოიგებს „დინამო“, მოიგებს და პირველ წრესაც ოცდაათი ქულით ჩაამთავრებს. ეს კი მეორე ადგილზე მაღლა ვერანაირად ვერ განამწესებს.

„ბ“ ზონაში, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ტურის ცენტრალურ მატჩს ლიდერებზე მეტად აუტსაიდერები განაპირობებენ — „თბილისი“ — „სამგურალი“ გვიცვნია „ბ“ ზონის სუპერმატჩად.

„თბილისი“ ნამეტნავად დაიჩაგრა, მთლად „ხობივით“ არა, მაგრამ ბოლოსწინა ადგილზე ნამდვილად არ სურთ ყოფნა მუმლაძის ბიჭებს და კბილებსაც არნახულად დაილესავენ. მისი შემადგენლობა წინა ტურში ორ გაძევებულს (ბურდულს და გონჩაროვს) მოისაკლისებს და იასონ ბზიკაძის გუნდიც, მეტოქის შესუსტებული წინახაზის შემყურე, გარკვეულწილად მშვიდად ამოისუნთქებს. „სამგურალში“ ახლა უამრავი ექსტორპედოელი თამაშობს. ამ ბიჭებს ბევრი უნახავთ, ათას მინდორზე დაუმტკიცებიათ თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და ახლაც იგივეს ეცდებიან. ამ შეხვედრაში მოგებით კიდევ ერთი შანსი ეძლევათ წყალტუბოელებს — „გორდა“ „ლოკომოტივს“ ხვდება, „მერანი“ გამწარებულ „არსენალს“, სენაკში „ხობთან“ თსუ-ს კი არა „ლივერპულს“ შეიძლება გაუჭირდეს მოგება (ფეხბურთი მარტო თამაში არ გახლავთ) და ეგებ, ის ხუთქულიანი სხვაობაც მეტად შემცირდეს, ვინ იცის?

„გორდა“ — „ლოკომოტივი“ რევაზ ძოძუაშვილისთვის სიმბოლური მატჩია — „გორდა“ ყოფილი, „ლოკომოტივი“ ახლანდელი საწყმსოა მიხიჩასთვის და მისი პროფესიონალიზმის ამბავი რომ ვიცით, სულ არ დაწყდება გული, რკინიგზელები თუ მოიგებენ (ლატვიამ რომ მოგვიგო გახსოვთ?)

„გორდას“ რაც შეეხება, კილასონიებით გულზეა და ხელებს არც რუსთავული გუნდი ჩამოყრის. კარგი თამაში იქნება „ფოლადზე“ (სხვა რა გინდათ, ვეჟო!).

ავჭალაში „სინათლეზე“ ჯერ წაუგებელი „მერანი“ არმიელებს დაუხვდება — ვნახოთ, რამდენად აქვთ კავალერიისადმი მიდრეკილება ჯონი ჯანელიძის შეგირდებს (შეჯდა...გააჭენგამოაჭენა და ასე), სერგო გაბელაია კი ყველგან იგებს და შინ რატომ მოიხრის ქედს, ალბათ ისიც დამოძღვრავს თავისიანებს ყოფილი მწვრთნელი გამიბრაზეთო (ჯანელიძე ერთ დროს მერანელი იყო).

„ხობი“... აუტსაიდერი, მაგრამ მებრძოლი გუნდია. ბრძოლა ახლაც იქნება. თსუ-ს თავისი უჭირს, მეტოქეები („სამგურალი“, „არსენალი“) არც მთლად ახლოს, მაგრამ არც ძალიან შორს არიან და ვინძლო, ფრეზეც არ იყვნენ ყაბულს კაცია და სტუდენტები. ამ შეხვედრის შედეგისთვის ნამდვილად დაგვჭირდება ვარდუა მკითხავთან მისვლა, უბრალო კაცი წინასწარ ვერაფერში გაერკვევა. ისე, „ხობი“ განწირული ნამდვილადაა მეორე ლიგისთვის, მაგრამ... ჩვენ ვაჟკაცობა რომ ძველთაგან მოგვდგამს?

ასეთი ამბებია. ვისურვოთ, ბათუმისდარი ანტიავტობუსური კამპანია არსად გვეხილოს, ფეხბურთი კი იქნება (სფფ-ში გვპირდებიან). დაძაბულობა ნამდვილად არის, ჩემპიონიც, უკაცრავად, დღემდე უცნობია და...

მეტი რა გინდათ, ვეჟო!

**კონსტანტინე გოგიშვილი**



შარშანდელი „ტორპედო“ — „ვიტ ჯორჯია“. ვიტელ გიორგი ჭანკოტაძეს (ბურთით) და ზურაბ იონანიძეს (მარჯვნივ) დღესაც ვიხილავთ მოედანზე



ჯანი კარნევალი (მარჯვნივ) და მისი თანაშემწე ლუჩო მესინა, ალბათ, ფოთშიც ინერვიულებენ

## «ა» ზონა

მცხეთა. „არმაზი“. 18 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — ტორპედო

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: გიორგი ქორიძე (ვიტ ჯორჯია)

ფოთი. „ფაზისი“. 18 აპრილი. 16 საათი

### კოლხეთი — ბათუმი

მსაჯები: ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში
დისკვალიფიცირებულნი: გოროზია (კოლხეთი)

გორი. „ცენტრალური“. 18 აპრილი. 16 საათი

### დილა — დინამო

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 18 აპრილი. 16 საათი

### სიონი — იბერია

მსაჯები: მ. მაღალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

## «ბ» ზონა

რუსთავი. „ფოლადი“. 18 აპრილი. 16 საათი

### გორდა — ლოკომოტივი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ანიაშვილი (გორი), მ. ურუშაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

თბილისი. „სინათლე“. 18 აპრილი. 16 საათი

### მერანი — არსენალი

მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი; თ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებულნი: ცქიფურიშვილი (მერანი), ხოსროშვილი (არსენალი)

სენაკი. „ეგრისი“. 18 აპრილი. 16 საათი

### ხობი — თსუ

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი
დისკვალიფიცირებულნი: არავინ

თბილისი. „ისანი“. 18 აპრილი. 16 საათი

### თბილისი — სამგურალი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებულნი: ბურდული, გონჩაროვი, პაპიძე (ყველა თბილისი)

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი — 6 ტური — მიმოხილვა

# კარგია კაკლის მურაბა

გატეხენ კაკალს ბათუმში? დაისვა 14 აპრილის „სარბიელში“ სატურ-ბოროტო კითხვა და დიდი მარჩიელობა არაფერს სჭირდებოდა — საუბარი იყო იმაზე, წააგებდა თუ არა (ბოლოს და ბოლოს) „კარნევალი და კამპანია“.

გატყდა კაკალი! კაკალს ვინც გატეხს, ლებანიც მან უნდა იგემოს, მაგრამ არც მარტო ლებანშია საქმე, ვერაფრით შევადარებთ „ვიტ ჯორჯიას“ მიერ ბათუმელთა ძლევას კაკლის გატეხას. ეს დაახლოებით კაკლის მურაბას ჰგავდა — გემრიელს, არომატულს, დაუვიწყარს...

ის კი, რაც ბათუმელმა ვაიქომაგმა შეხვედრის შემდეგ ჩაიდინა, ლეტიცია კასტას მიერ მომზადებულ კაიმაღსა ემგვანებოდა (სად ერეკლე... სად ფუნთუშის რიგი). წააგე-წააგე, მსაჯმა პენალტი არ დანიშნა — არ დანიშნა, ავტობუსი რა შუაშია, შე კაცო, მე თქვენ გეტყვით და ხმას ილებდა, ან ერეოდა საქმეში, იდგა თავისთვის ლამაზი, წყნარი და მომლოდინე (ერთგული ქალივით).

ახლაც დგას, ოღონდ სადღაც, რომელიღაც ბათუმურ პოლიციასთან და ტაისონივით თავპირ და კბილებჩამტვრეულს ძველი იერის დასაბრუნებლად კარგა 5000-დოლარიანი კოსმეტიკური რამერუმეები დასჭირდება. ასეა, თუ ფეხბურთი ხელოვნებაა და ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს... ჩავთვალოთ ვეტერინართა ავტობუსი „ხელოვნების მსხვერპლად“ (ისე, ტრანსპორტი რომ ამნაირად „მოკაზმო“, მართლა ხელოვანი უნდა იყო).

რაც შეეხება თამაშს, დაძაბული და საინტერესო სანახავი გამოდგა. „ვიტ ჯორჯიას“ ამიერიდან თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ „ბათუმოლოგის“ საპატიო თიკუნი. ისინი არასოდეს მარცხდებიან ზღვისპირეთში და ერთხელაც დაგვიდასტურეს ეს. როგორ ფიქრობთ, რაშია საიდუმლო?

ჩემი აზრით, „ბათუმს“ პაატა მაჭუტაძის გარდა არ ჰყავს ფეხბურთელი, რომელიც გარკვეულ სამატჩო მომენტში თავის თავზე აიღებს ლიდერის როლს, გაიჭრება, მოატყუებს მცველს და საერთოდ, „მატაობით“ შეეცდება ბურთის გატანას. ბათუმელები ძირითადად კომბინაციურ სტილზე და სტანდარტულებზე გადაწყობილი ფეხბურთელები მგონიან და ეტყობა, „ვიტ ჯორჯიამაც“ ამად გაამაგრა საკუთარი საჯარიმოს მისადგომები — ვეტერინარი „პერსონალშჩიკები“ მეტად მჭიდროდ მეურვეობდნენ მეტოქე თავდამსხმელებს, სხვა მცველები სივრცეებს უზღუდავდნენ მათ და... ამიტომაც ვერ გაიტანეს გოლი ჩემპიონობის, ალბათ, ექსფავორიტებმა.

გამარჯვების გოლი კი კოტრიკაძის ბიჭებმა კუთხურს მოაყოლეს. მშვენიერია ესეც, ეგებ სტანდარტულების გამოყენება დაგვებედოს (ხომ ხედავთ, რას შვრება კობიაშვილი ბუნდესლიგაში) და მერე მეკარეებიც ისწავლიან გამოსვლებზე თამაშს. მით უმეტეს, ამის წინაპირობა ნამდვილად არსებობს, ყოველ ტურში გამოერჩევა-ხოლმე კარის მცველი ვინმე, ვინც „კარის ხაზზე გადგმულ ფესვებს“ არად დაგიდევთ და ცოტა კარწინაც გაირჯება.

მეექვსე ტურში სამტრედიელმა ალექსანდრე ჩომახიძემ გამოიდო თავი — კარის ხაზზე ხომ სახურავის ბინადარ კარლსონივით იფრინა ბიჭმა, გამოსვლებზეც „ირლანდიის განმანთავისუფლებელი არმიის“ წევრებივით ჯიგრით და აჯაგრული გამოდიოდა და სწორედ მისი დამსახურებაა, „კოლხეთმა“ რომ ვერ მოიგო. ხდება ხოლმე ცხოვრებაში, როცა ადამიანის შესაძლებლობებს ერთი რომელიმე დღე გამოაჩენს ბოლომდე და თუკი 14 აპრილს და ჩომახიძის იმდღევანდელ „მუშაითობას“ დავუჯერებთ, კარგი მეკარე ეზრდება ქართულ ფეხბურთს.

გაიმარჯვა „დინამომ“ და ისევ გაუსწრო „ბათუმს“. ახლა ცა არ ჩამოქცეულა იმ დღეს ბოლნისელთა თავზე, მაგრამ „დინამოსთან“ მატჩის ბოლო ხუთი წუთი ტკბილად მოსაგონარი ნამდვილად ვერ იქნება ქვემოქართლელთათვის — 85-დან 90-ე წუთამდე ერთბაშად სამი ბურთი გავიდა ვოლკოვის კარში და „დინამოს“ მეორე სტადიის მეორე გამარჯვებაც შედგა. მარადი ჩემპიონის შესახებ ერთსაც ვიტყვით — ძალიან ხშირად და გზადაგზა იცვლება მისი შეადგენლობა და რამდენადაც შეიძლება ახალწვეულთა გამოცდილება წაადგეს გუნდს, იმდენად ცუდი შედეგის მოტანაც შეუძლია ტურიდან ტურამდე ამდენი ახალი ფეხბურთელის ძირითადში დაყენებას.

მეთერთმეტე ეროვნულის ლიდერს უეჭველად უნდა მოჰფონებოდა გულს ბათუმელთა ფეხის შეშლა. „ტორპედომ“ ორმაგად გაიხარა: გორელებს დიდი ანგარიშით მოუგო და „ბათუმთან“ ორქულიანი აქტივიც ხუთამდე გაზარდა, ეს კი მეორე ეტაპის პირველი წრის ბოლოს დიდი უპირატესობაა (ბოლოს და ბოლოს, წრე მხოლოდ შვიდი მატჩისგან შედგება). ქუთაისიდან „ტორპედოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველ მალხაზ ასათიანის ჩაუქობის შესახებ მოიტანა ჩიტმა ამბავი — გოგიაშვილის არყოფნაში სწორედ ასათიანმა უ-პლეიმეკერ-ა გუნდს და ლამაზ-ლამაზი საგოლე პასებიც გამოუვიდა. იონანიძეს დისკვალიფიკაცია აქვსო და გიორგი მეგრელაძე დაიგეშა კარზე, მის ორ გატანილს ბობოხიძემ და ჯანაშიამაც დაუმატეს და ხორგუაშვილის (კიდევ!) გოლი სუსტი ნუგეშილა აღმოჩნდა ქართლელთათვის.



„დინამოში“ მანამდე უგუნდომ, გიორგი ნემსაძემაც (მარცხნივ) ითამაშა

გორელებმა კი საქმე მოითავეს და ალარავის ებრძვიან, ეს წლების განმავლობაში დანერგილი გორული ტრადიციაა.

ეს „ა“ იყო და ახლა „ბ“ ზონაზეც ვთქვათ — მოიგეს „არსენალმა“, თსუმ, „სამგურალმა“, მანამდე კი (ხუთშაბათს, 13 აპრილს) ეროვნულზე მენაყინე ნაყინს ყიდდა, „ლოკომოტივი“ კი „მერანს“ ვერ უგებდა.

ამ მატჩებზე ცალ-ცალკე სანამ შევჩერდებოდეთ, ერთს ვიტყვი — „სამგურალმა“ პირველ ლიგაში დასარჩენად საჭირო ქულებიც წაიმატა და უშუალო მეტოქესაც („გორდას“) სამი ქულა შეუმცირა. ახლა იმერლები ხუთ ქულასღა აგებენ რუსთაველებთან და... ისე, ძნელი კია მათი ამოცანა, მით უმეტეს, „გორდა“ გუნდია (იტყვიან ჩვენში).

წყალტუბოში წვიმამ კი იმძლავრა, მაგრამ იმის მაგიერ, თამაში გაფუჭებულიყო, პირიქით, მოხდა — ფეხბურთელები მეტად გამოფხიზლდნენ და თამაში წავიდა, თქვენი მოწონებული. ანგარიშს წერტილი ბესიკ ბერაძემ დაუსვა, ლამაზი დარტყმით გაიტანა და წყალტუბოური „წვიმის სონატაც“ იმღერა.

„არსენალმა“ „თბილისი“ იმსხვერპლა და სატურნირო ცხრილში ქვემოთაც მოიქცია. არავინ იცის, ეყოფათ თუ არა დენთი არმიელებს, რათა პირველ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბოლომდე იბრძოლონ, მაგრამ ჯანელიძის გუნდი სერიოზულად ათამაშდა და ვერც ბრძოლისუნარიანობას დაუწუნებს ვინმე.

უნივერსიტეტში სტუდენტური დღეებია, თსუ-მაც ფეხი აუწყო ყოველივეს და რუსთაველები დეკანოსიძის კინკილა გოლით დაამარცხა. შეხვედრა რომ დაძაბული იყო, ამაზე გაფრთხილებები და თამაშის აგრესიული სტილიც მეტყველებს. მოგება ორივე მეტოქეს ძალუძდა — უბრალოდ, რუსთაველთა კონტრშეტევები თბილისელთა მცირე ტერიტორიულმა უპირატესობამ გადასწონა. მატჩის მიწურულს გათანაბრებაც შეეძლო სახვაძეს, მაგრამ ააცილა და თსუ-ც ერთი საფეხურით დაწინაურდა.

„ლოკომოტივი“ — „მერანი“. რიგით მეცხრე — 0:0 ჩვენს ეროვნულში. ასეთი რამ მახარაძის დროსაც სჩვეოდათ რკინიგზელებს და აკი ახლაც გამოიჩინეს წარსულისადმი ერთგულება. „მერანი“ კი ბედაურად მიჰყვება მეორე ეტაპის „უვალ გზებს“, მისი პირველლიგელობა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი საქმეა.

ეს იყო და სხვა არაფერი. ტურში მასპინძლებმა უდავოდ დაიბრიყვეს სტუმრები +6-1=1. ბურთები 8 მატჩისთვის საკმაოდ ბევრი, 20 გავიდა (საშუალოდ 2,5), მასპინძელთა ანგარიშზე 20-დან 15 ბურთია სტუმრების 5-ის წინააღმდეგ.

მსაჯთა ჯიბეში არსებულ „წითელ-ყვითელი არსენალი“ განსაკუთრებით „არსენალი“ — „თბილისმა“ გამოამზეურა — სამი ყვითელი და ამდენივე წითელი ბარათი ვიხილეთ „რემბო“ კრიჭაშვილის ხელიდან. სულ კი ტურში სამი წითელი და ჩვიდმეტი ყვითელი ბარათი უჩვენეს ფეხბურთელებს მსაჯებმა. ბევრია? გეთანხმებით.

ჩემპიონატი გახურდა, საჩემპიონო ბრძოლაც ჯერ წინაა, თუმცა „ბათუმის“ მარცხი ტორპედოსთვის ნამდვილად სიურპრიზი და სულის მოსათქმელი საშუალებაა.

აჭარაში ნაგემი კაკლის მურაბის შემდეგ ვეტერინარები გვარიან ხორცსაკეპში კი მოჰყვნენ, მაგრამ „ნოვო პასიტი“ და „ადვილი“ აგერ არ არის?

„ნოვო პასიტი“ ამშვიდებს, „ადვილი“ თავის ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატია, თუ ყოველივეს ევროსაგზურიც ზედ დაემატა...

ყველაფერი კი კაკლის მურაბიდან დაიწყო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



გორელები, ვახტანგ აკოფიანი და პაატა ფეხუაშვილი ტორპედოელი მალხაზ ასათიანის შეჩერებას ლამობენ

მამუკა დარჩიას ქუთაისიდან

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 18 | იონანიძე | ტორპედო |
| 12 | აშვეთია | დინამო |
| | ალექსიძე | დინამო |
| 11 | ვ. ქილასონია | გორდა |
| 10 | გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| 9 | ქებაძე | ლოკომოტივი |
| | ხორგუაშვილი | დილა |
| 8 | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| | წეტაიშვილი | დინამო |
| 7 | ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| | რუსია | ლოკომოტივი |
| | ა. მუჯირი | ბათუმი |

საქართველოს ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 6 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 6 |
| მატჩი | 24 |
| გოლი | 58 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,42 |
| მასპინძელთა მოგება | 15 (62,5%) |
| ფრეები | 5 (21%) |
| სტუმართა მოგება | 4 (16,5%) |
| საერთო დასწრება | 83 100 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 3 463 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV,V: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 58 | 14,50 |
| სტუმარი | 59 | 14,75 |
| სულ | 117 | 29,25 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 26 | 6,50 |
| სტუმარი | 14 | 3,50 |
| სულ | 40 | 10,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 21 | 5,25 |
| სტუმარი | 20 | 5,00 |
| სულ | 41 | 10,25 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 16 | 4,00 |
| სულ | 35 | 8,75 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 28 | 7,00 |
| სტუმარი | 15 | 3,75 |
| სულ | 43 | 10,75 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 48 | 12,00 |
| სტუმარი | 63 | 15,75 |
| სულ | 111 | 27,75 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 14 | 3,50 |
| სტუმარი | 14 | 3,50 |
| სულ | 28 | 7,00 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 22 | 5,50 |
| სტუმარი | 20 | 5,00 |
| სულ | 42 | 10,50 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 26 | 6,50 |
| სტუმარი | 15 | 3,75 |
| სულ | 41 | 10,25 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 15 | 3,75 |
| სტუმარი | 9 | 2,25 |
| სულ | 24 | 6,00 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 6 |
| მატჩი | 24 |
| გოლი | 48 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,0 |
| მასპინძელთა მოგება | 14 (58%) |
| ფრეები | 3 (12,5%) |
| სტუმართა მოგება | 7 (29,5%) |
| საერთო დასწრება | 15 900 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 663 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I: 100 |

### ბათუმი 0:1 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 20 | დაჯარიმდა | 22 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 2 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

### დინამო 3:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 16 |
| 11 | კუთხური | 1 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 3 |

### ტორპედო 4:1 დილა

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 9 |
| 7 | კუთხური | 0 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 6 | თამაშგარე | 3 |

### იბერია 1:0 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 12 |
| 4 | კუთხური | 9 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 5 | კარში დარტყმა | 12 |
| 17 | თამაშგარე | 7 |

### ლოკომოტივი 0:0 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 7 | დაჯარიმდა | 19 |
| 7 | კუთხური | 5 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 0 |
| 3 | კარში დარტყმა | 1 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

### არსენალი 4:2 თბილისი

| | | |
|---|---|---|
| 9 | დაჯარიმდა | 10 |
| 2 | კუთხური | 7 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 5 | კარში დარტყმა | 6 |
| 11 | თამაშგარე | 2 |

### სამგურალი 2:1 ხობი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 19 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 11 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 4 |

### თსუ 1:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 15 |
| 2 | კუთხური | 1 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 7 | კარში დარტყმა | 6 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

### სიმბოლური ნაკრები

ვლადიმერ გოჩაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
გიორგი მეგრელაძე — *ტორპედო*
ამირან მუჯირი — *ბათუმი*
მალხაზ ასათიანი — *ტორპედო*
გიორგი ყიფიანი — *ვიტ ჯორჯია*
დავით ჯანაშია — *ტორპედო*
სევასტი თოდუა — *ვიტ ჯორჯია*
გიორგი ჭანკოტაძე — *ვიტ ჯორჯია*
რამაზ სვანაძე — *თსუ*
ედიკ საჯაია — *ვიტ ჯორჯია*
ალექსანდრე ჩომახიძე — *იბერია*

გუნდი: ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე *ვიტ ჯორჯია*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 6 | 4 | 1 | 1 | 17:6 | 11 | 31 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:2 | 10 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 |
| 2 | დინამო | 6 | 2 | 4 | 0 | 5:0 | 5 | 27 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:0 | 5 | 8 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 26 | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 |
| 4 | ბათუმი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:2 | 10 | 26 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 5 | კოლხეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 18 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | -4 | 1 |
| 6 | სიონი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | -5 | 17 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | -7 | 0 |
| 7 | იბერია | 6 | 2 | 0 | 4 | 3:15 | -12 | 15 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:13 | -13 | 0 |
| 8 | დილა | 6 | 0 | 0 | 6 | 5:16 | -11 | 10 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:15 | -10 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | ლოკომოტივი | 6 | 4 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 23 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 |
| 10 | მერანი | 6 | 4 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 22 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 |
| 11 | თსუ | 6 | 4 | 0 | 2 | 6:2 | 4 | 20 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 |
| 12 | გორდა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 5 | 18 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 1 | 4 |
| 13 | სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 0 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 14 | არსენალი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:12 | -5 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 15 | თბილისი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:10 | -5 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 0 |
| 16 | ხობი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | -9 | 8 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | -9 | 0 |

# «ა» ზონა

ბათუმი
14 აპრილი
16 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

## ბათუმი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 გოჩაშვილი (78)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (აფხაზავა 77), მ. მახარაძე (რომანაძე 88), ღლონტი (ხუჯაძე 67), სიდამონიძე, კობიძე, გელა ქორიძე, ხომერიკი, ა. მუჯირი, მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; თ. ტუღუში, ი. მახარაძე, თედორაძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, თოდუა, ჭანკოტაძე, საჯაია, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი, ი. ხაჭაპურიძე, გიორგი ქორიძე (რ. გოცირიძე 86), ვ. გოჩაშვილი (კობიაშვილი 68), დ. დოლიძე (ჯ. მუჯირი 82)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კოტორაშვილი, ზ. გვაზავა, მორჩილაძე
**გაფრთხილება:** დილმელაშვილი (36), ქორიძე (38), ჭურაძე (65), ხომერიკი (80)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

თბილისი
14 აპრილი
16 საათი
ეროვნული
1 000 (ტევადობა 75 000)

## დინამო 3:0 სიონი

1:0 ზირაქიშვილი (85), 2:0 ნემსაძე (86), 3:0 წიტაიშვილი (90)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, შელია (გუჩუა 60), ა. სახვაძე, ნემსაძე, რუხაძე (ზირაქიშვილი 50), სიჭინავა, რ. არველაძე (შაშიაშვილი 65), გ. შენგელია, წიტაიშვილი
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, ნ. მინდიაშვილი, მაზანიშვილი (მ. სამხარაძე 6), მოსეშვილი, მ. გოგოლაძე, ისიანი (თ. სამხარაძე 87), ბ. შენგელია (ა. ბოკერია 80), კ. გოგოლაძე (თ. სამხარაძე 87)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ჩაგელიშვილი, დ. ჯაფარიძე
**გაფრთხილება:** მ. სამხარაძე (82)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ქუთაისი
14 აპრილი
16 საათი
ტორპედო
4 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 4:1 დილა

1:0 ბობოხიძე (22), 2:0 მეგრელაძე (37), 3:0 ჯანაშია (44), 4:0 მეგრელაძე (45), 4:1 ხორგუაშვილი (88)
**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, თურმანიძე, მახვილაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, ასათიანი, დ. ჯანაშია (თავბერიძე 46), მეგრელაძე (მედოევი 55), მ. ბობოხიძე (მაღლაკელიძე 65)
*სათადარიგონი:* ჭანტურია; ამისულაშვილი
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე (ოლგესაშვილი 46), ელყანიშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, არუთინიანი (ებანოიძე 57), ფეზუაშვილი, საყვარელიძე, ხორგუაშვილი, სულთანიშვილი (კოჭლაშვილი 80)
*სათადარიგონი:* მდივანი; ვ. სამხარაძე, მარეხაშვილი, გაგნიძე
**გაფრთხილება:** ჩხეტიანი (60)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

სამტრედია
14 აპრილი
16 საათი
ეროსი მანჯგალაძე
600 (ტევადობა 15 000)

## იბერია 1:0 კოლხეთი

1:0 ივეჩიანი (45)
**იბერია:** ა. ჩომახიძე, ჟვანია, კ. ჯანაშია (ხმალაძე 78), გეგეშიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე, მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, ზ. მეტრეველი, ივეჩიანი (გედენიძე 90), მუმლაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; სანიკიძე, ბანძელაძე, ხურციძე, დ. ნოზაძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ხუჭუა (შავგულიძე 63), ე. გვასალია, ღალანიძე, შალამბერიძე
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ქუნთელია, კედელაშვილი, გ. ჩიტაია, დ. კვირკველია
**გაფრთხილება:** გოროზია (65), ტორჩინავა (75)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

# «ბ» ზონა

თბილისი
13 აპრილი
16 საათი
ეროვნული
300 (ტევადობა 75 000)

## ლოკომოტივი 0:0 მერანი

**ლოკომოტივი:** ლომაია, გილაური (ძოძუაშვილი 61), ლ. მიქაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, რუსია, დ. გოდერძიშვილი (ხუროძე 46), ჯუღელი
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; გამცემლიძე, სალუქვაძე, კაციაშვილი, ლ. ჩხაიძე
**მერანი:** ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, დევიძე, გ. ილურიძე, გუჯაბიძე, კარიაული, ჭინჭარაული, ა. ხორხელი (კობესაშვილი 56), დავითაშვილი (კოშკაძე 61), როსტიაშვილი (ლ. ამბიძე 76), კაკაბაძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, ბოლქვაძე
**გაფრთხილება:** ცქიფურიშვილი (55)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ი. კახიანი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

თბილისი
14 აპრილი
16 საათი
ისანი
300 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 4:2 თბილისი

0:1 გადელია (13), 1:1 კაკაშვილი (27), 2:1 წივწივაძე (48), 3:1 ხოსროშვილი (65), 3:2 გადელია (67), 4:2 კაკაშვილი (90)
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი (გ. ტუღუში 46), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე (წოწკოლაური 70), კაკაშვილი, წივწივაძე (ა. ხმალაძე 71) ხოსროშვილი
*სათადარიგონი:* დ. ქაცარავა; ჩალაძე, თ. კვირკველია
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე, კანდელაკი (ამაშუკელი 52), ლუდუშაური (ლოლაძე 62), ბურდული, ბარნოვი, ი. შენგელია, გონჩაროვი, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; ზვ. ლაბაძე, ტყებუჩავა, ჩივაძე, ნორაკიძე
**გაფრთხილება:** პაპიძე (40), ბურდული (44), კაკაშვილი (49)
**გაძევება:** ბურდული (55), გონჩაროვი (55), ხოსროშვილი (80)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ურუშაძე (თბილისი); ა. შილაკაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

წყალტუბო
14 აპრილი
16 საათი
26 მაისი
700 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:1 ხობი

1:0 ლონლაძე (28), 1:1 ბულუხია (56), 2:1 ბერაძე (71)
**სამგურალი:** სტურუა, ჭელიძე, ხუნდაძე (დარსაძე 83), ჩხაბერიძე, ვოსკანოვი (ძაგნიძე 58), ბერაძე, სუხიაშვილი, ჭყონია, ქუთათელაძე (კვერნაძე 65), ლონლაძე, გიორგობიანი
*სათადარიგონი:* ბოდოკია; გ. ჯანელიძე, ვადაჭკორია, ნებიერიძე
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია (ლ. ბუკია 77), ჯიქია, ოდიშარია, ზურაბ აინაიდი, ხურცილავა, გიორგაძე, ვ. ჩიტაია, ბულუხია, ჭიჭინაძე, ვართაგავა
*სათადარიგონი:* აბაკელია; მ. ბუკია, ქაშიბაძე, მ. ტყებუჩავა, რ. თოლორდავა
**გაფრთხილება:** ხურცილავა (45), ვართაგავა (57)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ო. ხეცაძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

მცხეთა
14 აპრილი
16 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

## თსუ 1:0 გორდა

1:0 დეკანოსიძე (72)
**თსუ:** მერლანი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია, ხართიშვილი, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი (ბარქაია 89), ერაძე, კვიციანი (დ. არჩვაძე 65)
*სათადარიგონი:* გუგუნავა, გ. გოცირიძე, ქადაგიძე, ფარქოსაძე, გ. ნოზაძე
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე (ბექაური 69), ბურნაძე, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, სილაგაძე, გ. კილასონია, მიშველიძე, ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (მ. სახვაძე 74)
*სათადარიგონი:* გონგაძე, კიტეიშვილი, ბაჩილავა, პატარიძე, წიკლაური
**გაფრთხილება:** მელაძე (5), ერაძე (6), ალადაშვილი (27), ხართიშვილი (88)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

## ინგლისი

XXXIII ტური

### ლიდსი 0:4 არსენალი

0:1 ანრი (21), 0:2 კიოუნი (70), 0:3 კანუ (82), 0:4 ოვერმარსი (90)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, ჰაალანდი, ჰარტი, ბაკე, ბოიერი, მაკფაილი, კიუელი, ა. სმიტი, ბრიჯისი (უილკოქსი 46)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, კიოუნი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი (უინტერბერნი 82), ლიუნგბერგი, ბერხკამპი (კანუ 67), ანრი (ოვერმარსი 74)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ბოიერი, სილვინიო, ბერხკამპი, ვიეირა, პეტი
გაძევება: ჰარტი (44)
მსაჯი: დანი
39 307 მაყურებელი

### უიმბლდონი 1:2 ლივერპული

0:1, 0:2 ჰესკი (36, 64), 1:2 ანდრესენი (70)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ჰრეიდარსონი, ბლექველი (ლებერნი 87), იუპი, მაიკლ ჰიუზი, რობერტსი, ანდერსენი, კორტი, გეილი, ლუნდი (ანდრესენი 58)
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ენჩოსი, ჰიიპია, კარაგერი, ბერგერი, ჰამანი, ჯერარდი, ტომპსონი (შმიცერი 63), ჰესკი (კამარა 79), ოუენი (მერფი 83)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ანდერსენი, ბლექველი
მსაჯი: რილი
26 102 მაყურებელი

### ქოვენთრი 2:1 მიდლსბრო

1:0 ინსი (32 ს.კ.), 2:0 კინი (61), 2:1 ციგე (64პ)
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი, ბრინი, ჰენდრი, ფროგატი, ჩიპო (ბოროუზი 26), ოსტიჩი, მაკალისტერი, მ. ჰაჯი, რობი კინი, ველანი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი (ჟუნინიო 60), ვიკერსი, ფესტა, ციგე, მასტო, ინსი, სამერბელი (სტამპი 60), ე. კემპბელი (სტოკდეილი 89), რიკარდი, დინი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: ოსტიჩი, ბრინი, ინსი, ვიკერსი
მსაჯი: ბერი
19 435 მაყურებელი

### დერბი ქაუნთი 1:2 ვესტ ჰემი

0:1, 0:2 ვანჩოპე (15, 32), 1:2 სტარიჯი (84)
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, ს. ელიოტი, შნური (კრისტი 46), დელაპი, დორიგო (რობინსონი 89), პაუელი, ბარლი, ჯონსონი, სტარიჯი, შტრუპარი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ვესტ ჰემი: ფიუერი, რ. ფერდინანდი, შტიმაცი (ჩარლზი 82), მარგასი, მინტო, ჯ. კოული (კარიკი 47), ფოე, ლამპარდი, ტ. სინკლერი, ვანჩოპე, დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: სტარიჯი, დელაპი, ვანჩოპე, მარგასი
მსაჯი: ჰელსი
31 202 მაყურებელი

### ევერტონი 4:0 ბრედფორდი

1:0 პემბრიჯი (2), 2:0 ანსუორთი (15პ), 3:0 ბარმბი (54), 4:0 კოლინზი (82)
ევერტონი: ჟერარი, შავიერი (ბოლი 73), ვეირი, ანსუორთი (დანი 46), კოლინზი, ბარმბი, ჰათჩისონი, პემბრიჯი, ს. ჰიუზი, ჯევონსი, მარკ ჰიუზი (ჯეფერსი 78)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე, ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი (დრეიერი 64), ბლეიქი, ბიგრი, მაკკოლი, შარპი, უინდასი, სონდერსი (რანკინი 58)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: ობრაიენი, ბლეიქი
მსაჯი: ოლკოკი
30 646 მაყურებელი

### მანჩესტერი 4:0 სანდერლენდი

1:0, 2:0 სოლსკიაერი (2, 51), 3:0 ბათი (66), 4:0 ბერგი (70)
მანჩესტერი: ბოსნიჩი (ვან დერ გოუ 46), გ. ნევილი, სილვესტრი, ფ. ნევილი, სტამი (ბერგი 56), ბათი, როი კინი, სქოულზი (ბექემი 65), ფორჩუნი, სოლსკიაერი, შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
სანდერლენდი: სორენსენი, ჰოლოვეი, მაკინი, კრადოკი, უილიამსი (ბატლერი 75), გრეი (სამერბი 54), რუა, რაე, კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: სტამი, რაე, კინი
მსაჯი: ჯონსი
61 612 მაყურებელი

### საუთჰემპტონი 2:0 უოტფორდი

1:0 დევისი (4), 2:0 პახარსი (75)
საუთჰემპტონი: მოსი, ლუნდეკვამი, ტაჰარი, რიჩარდსი, რიპლი, ლე ტისიე, ტესემი (ოუკლი 83), მარსდენი, ბრიჯი, ბიტი (პახარსი 55), დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
უოტფორდი: ჩემბერლენი, კოქსი (გუდმუნდსონი 73), პალმერი, პეიჯი, ჯონსონი, ჰიდი, ისტონი, უორდი, პერპეტუინი (რობინსონი 73), სმარტი (ჰელგუსონი 46), მ. სმიტი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: სმარტი
მსაჯი: უილკი
15 252 მაყურებელი

### ტოტენჰემი 2:4 ასტონ ვილა

1:0 ივერსენი (16), 2:0 არმსტრონგი (47), 2:1, 2:2 დაბლინი (62პ, 69), 2:3 კარბონე (70), 2:4 რაიტი (74)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, პერი, სოლ კემპბელი, ტარიკო, კლემენსი, ფროინდი, ანდერტონი, ჟინოლა, ივერსენი, კ. არმსტრონგი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, ბერი, სამუელი, უოტსონი (დილანი 46), ბოატენგი, მერსონი, ტომპსონი, ა. რაიტი, დაბლინი, კარბონე
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ანდერტონი, კემპბელი, ტარიკო, პერი, ტომპსონი, ბოატენგი, სამუელი
მსაჯი: ჰარისი
35 304 მაყურებელი

### ნიუკასლი 0:2 ლესტერი

0:1 კოტი (7), 0:2 სევიჯი (62)
ნიუკასლი: გივენი, [illegible], გომა, ა. ჰიუზი (რობინსონი 68), სოლანო (გავილანი 68), ლი, სპიდი, დომი, დაიერი (ანტუნესი 80), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი, ტაგარტი, ჯილკრისტი, იმპი, სევიჯი (ზაგორაკისი 82), ლენონი, ოუქსი (მარშალი 68), გაპი, კოტი, მ. ელიოტი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
მსაჯი: რენიე
36 426 მაყურებელი

### შეფილდ უენსდი 1:0 ჩელსი

1:0 იონკი (51პ)
შეფილდ უენსდი: პრესმენი, ჰასლამი, აზერტონი, უოლკერი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, ჰორნი (ბრისკო 65), ე. ქუინი, ბუთი, დე ბილდე (სიბონი 73)
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
ჩელსი: დე გუი, ლამბური, დესაი, ტომე, ბაბაიარო, პეტრესკუ (დალა ბონა 46), პოიეტი, მორისი (დეშამპი 46), ამბროზეტი (ფლო 70), სატონი, ვეა
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
გაფრთხილება: დე გუი, დესაი
მსაჯი: დარკინი
21 743 მაყურებელი

# მშვიდობით, ლიდს?!



REUTERS

ლიდსი — არსენალი 0:4. არსენალელი ფრედერიკ ლიუნგბერგი ლიდსელ ლი ბოიერს ფეხებში ჩაუხტა

ლონდონიდან

მდაა.. როდისღა გაიტანს გოლს „ლიდსი"? ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. სამი კვირის წინ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთადერთმა მადევარმა „ლიდსმა" ზედიზედ ორი თამაში წააგო და მენეჯერმა დევიდ ოლირიმ თქვა, ჩემპიონატის დასასრულამდე ცხრა ტური რჩება და ჩვენ ცხრავე თამაში უნდა მოვიგოთო.

იმის შემდეგ „ლიდსმა" ოთხი თამაში წააგო და გოლი არ გაუტანია. ამ ოთხიდან ერთ-ერთი იყო სტამბოლში განცდილი მარცხი იქაურ „გალათასარაისთან", უეფას თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში, რასაც წინ უძღოდა ორი ლიდსელი ფანის მკვლელობა გალათას ერთ-ერთი ბარის წინ.

ამ სტამბოლური ამბების შემდეგ „ლიდსი" პირველად თამაშობდა შინ, „არსენალს" ხვდებოდა. წუთით გარინდული „ელანდ როუდი", შავი სამკლაურები და ლონდონელ მეთოფეთაგან მიძღვნილი ყვავილები, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობდა „ლიდსის" გამოღვიძებას. „არსენალმა" იოლად მოიგო 4:0. თუკი შეიძლება იოლად მოგებული დაერქვას თამაშს, რომელშიც ერთი გუნდი ყველაფერს აკონტროლებს, მეორე კი საერთოდ არ არსებობს.

თანაც „ლიდსი" მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კაცნაკლული იყო: 44-ე წუთზე მცველმა იან ჰარტმა დენის ბერხკამპს წიხლი ამოსცხო და მოედნიდან დაითხოვეს.

ამასობაში კი, ლონდონის „სელჰერსტ პარკზე" „ლივერპულმა" ემილ ჰესკის დუბლით სძლია „უიმბლდონს" და მეორე ადგილზე დამკვიდრდა. მერსისაიდელებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან „არსენალი" და „ლიდსი". ეს უკანასკნელი ბურთების უარესი სხვაობით დგას მეოთხე საფეხურზე. თუმც კი მეთოფეებს ზედმეტი თამაში აქვთ ხელში. ეს ყველაფერი კვირას იყო, წინა დღით კი, შეფილდში, ვიმ იონკის ზუსტად დარტყმულმა პენალტმა „ჩელსის" სამი ქულა დააკარგვინა და მეხუთე ადგილზე ჩამოაგდო.

შაბათს ყველა თამაში ექვსი წუთის დაგვიანებით, 15.06 საათზე დაიწყო. ინგლისის ყველა სტადიონზე დუმილით მოიგონეს თერთმეტი წლის წინათ შეფილდის „ჰილსბოროზე" „ლივერპულ"-„ნოტინგემის" შეხვედრის დაწყებისას ჭყლეტაში დაღუპული ლივერპულელი ფანები (ის თამაში მე-6 წუთზე შეწყდა). იმ დღიდან ინგლისში მინდორს შემორტყმული ღობეები და ფეხზე სადგომი ადგილები აღარ არსებობს.

მოსალოდნელი ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი" კი კვლავ ადასტურებს თავის ბრწყინვალე ფორმას. ჩემპიონმა ცალი ფეხით მოუგო „სანდერლენდს" 4:0 და ჩემპიონთა ლიგის მეორე მეოთხედფინალური მატჩის წინ პრემიერლიგაში ერთ სეზონში გატანილი გოლების რეკორდიც დაამყარა — 84 ბურთი 33 შეხვედრაში.

სხვა ამ ტურში ის იყო, რომ „ევერტონმა" ასეთივე ანგარიშით მოუგო „ბრედფორდს", „ვესტ ჰემმა" კი პაულო ვანჩოპეს წყვილი გოლით დერბიში იმარჯვა. წაგებებს გაეჩვია „ნიუკასლიც", რომელიც შინ წახდა, „ლესტერთან" — 0:2. ასეთივე ანგარიშით იმარჯვა „საუთჰემპტონმაც", რომელმაც შინ ბედკრული „უოტფორდი" მოიხელთა. ახალი მენეჯერის, გლენ ჰოდლის ხელში „საუთჰემპტონი" ახალ თამაშს დაეძებს და რაღაც გამოუდის კიდეც. „წმინდანნი" ყოველთვის ჯიგრიანად და ლაღად თამაშობდნენ თავიანთ ზღვისპირა სტადიონზე, ჰოდლის ხელში კი გუნდს პრაქტიკულობა, სიფრთხილე და გამოთვლითი მათემატიკა შემატებია. ჰოდლის მიერ სათადარიგოდ გამწესებული ოდინდელი მეგოლე მარიან პახარსი კი შეცვლაზე შევიდა და გაიტანა კიდეც.

ერთი დიდი გაჭირვების ღოლაბი ტრიალებს ლონდონის განთქმულ „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავზე. ვარსკვლავებით სავსე გუნდი განუწყვეტლივ აგებს და მენეჯერ ჯორჯ გრემს ცალკე ფანობა უტევს, ცალკე ფეხბურთის ასოციაციის დისციპლინარული კომისია. გასულ კვირაში, გაზეთ „სანის" ფურცლებიდან ქომაგებს მიმართა გუნდის კაპიტანმა სოლ კემპბელმა, რომელმაც თქვა, რომ გუნდის მთავარი პრობლემა ფეხბურთელებსა და კლუბის უფროსობას შორის არსებული ნაპრალია.

ჩვენ, როგორც უცხოებს, ისე გვიყურებენ და ვშიშობ, ნაპრალი უფსკრულად არ გადაიქცესო, თქვა კემპბელმა, რომელსაც თავისკენ ექაჩებიან ინგლისისა და ევროპის მოწინავე გუნდები.

და აი, მორიგი გამოცდა და მორიგი ჩაფლავება. ტაიმნახევრის განმავლობაში „ტოტენჰემი" 2:0-ს უგებდა „ასტონ ვილას", 62-დან 74-ე წუთამდე კი ოთხი გოლი გაუშვა და წააგო კიდეც. ვილელთა მწყობრში ჩამდგარ დიონ დაბლინს მართლაც რომ გამთელებია კისერი, ცოტა გაწყდა ჰეთ თრიქს არ უწია.

„ვაით ჰართ ლეინზე" კი უკვე არა ჯორჯ გრემის, არამედ თავმჯდომარის, ახირებული საქმოსნის ალან შუგარის გადადგომას მოითხოვენ. ქვეყანა გაკეთდა, დიდი ლონდონური კლუბები ჩემპიონთა ლიგაში ტრიალებენ, „ტოტენჰემი" კი მშობლიურ კედლებში ქულის გადასარჩენად ებრძვის „მიდლსბროს", რომელმაც, სხვათა შორის ამ ტურში ქოვენთრიში წააგო.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 33 | 23 | 7 | 3 | 84:39 | 45 | 76 | 17 | 13 | 4 | 0 | 53:13 | 40 | 43 | 16 | 10 | 3 | 3 | 31:26 | 5 | 33 |
| 2 | ლივერპული | 33 | 19 | 8 | 6 | 51:25 | 26 | 65 | 17 | 11 | 3 | 3 | 28:11 | 17 | 36 | 16 | 8 | 5 | 3 | 23:14 | 9 | 29 |
| 3 | არსენალი | 32 | 18 | 6 | 8 | 60:32 | 28 | 60 | 16 | 12 | 2 | 2 | 35:12 | 23 | 38 | 16 | 6 | 4 | 6 | 25:20 | 5 | 22 |
| 4 | ლიდსი | 33 | 19 | 3 | 11 | 49:39 | 10 | 60 | 17 | 11 | 1 | 5 | 25:16 | 9 | 34 | 16 | 8 | 2 | 6 | 24:23 | 1 | 26 |
| 5 | ჩელსი | 33 | 16 | 10 | 7 | 43:28 | 15 | 58 | 16 | 10 | 4 | 2 | 28:11 | 17 | 34 | 17 | 6 | 6 | 5 | 15:17 | -2 | 24 |
| 6 | ასტონ ვილა | 34 | 15 | 10 | 9 | 41:29 | 12 | 55 | 16 | 8 | 6 | 2 | 20:8 | 12 | 30 | 18 | 7 | 4 | 7 | 21:21 | 0 | 25 |
| 7 | სანდერლენდი | 33 | 14 | 9 | 10 | 52:51 | 1 | 51 | 17 | 9 | 6 | 2 | 27:16 | 11 | 33 | 16 | 5 | 3 | 8 | 25:35 | -10 | 18 |
| 8 | ვესტ ჰემი | 33 | 14 | 9 | 10 | 46:49 | -3 | 51 | 16 | 10 | 4 | 2 | 27:22 | 5 | 34 | 17 | 4 | 5 | 8 | 19:27 | -8 | 17 |
| 9 | ევერტონი | 34 | 12 | 12 | 10 | 58:45 | 13 | 48 | 16 | 7 | 8 | 1 | 36:18 | 18 | 29 | 18 | 5 | 4 | 9 | 22:27 | -5 | 19 |
| 10 | ლესტერი | 32 | 13 | 6 | 13 | 46:47 | -1 | 45 | 17 | 9 | 3 | 5 | 28:23 | 5 | 30 | 15 | 4 | 3 | 8 | 18:24 | -6 | 15 |
| 11 | ნიუკასლი | 33 | 12 | 7 | 14 | 53:48 | 5 | 43 | 16 | 8 | 4 | 4 | 34:16 | 18 | 28 | 17 | 4 | 3 | 10 | 19:32 | -13 | 15 |
| 12 | ტოტენჰემი | 33 | 12 | 7 | 14 | 49:44 | 5 | 43 | 16 | 8 | 2 | 6 | 34:24 | 10 | 26 | 17 | 4 | 5 | 8 | 15:20 | -5 | 17 |
| 13 | მიდლსბრო | 33 | 12 | 7 | 14 | 39:48 | -9 | 43 | 17 | 8 | 3 | 6 | 20:23 | -3 | 27 | 16 | 4 | 4 | 8 | 19:25 | -6 | 16 |
| 14 | ქოვენთრი | 34 | 11 | 8 | 15 | 43:45 | -2 | 41 | 18 | 11 | 1 | 6 | 34:21 | 13 | 34 | 16 | 0 | 7 | 9 | 9:24 | -15 | 7 |
| 15 | საუთჰემპტონი | 33 | 11 | 7 | 15 | 41:55 | -14 | 40 | 16 | 7 | 4 | 5 | 22:17 | 5 | 25 | 17 | 4 | 3 | 10 | 19:38 | -19 | 15 |
| 16 | დერბი ქაუნთი | 33 | 8 | 8 | 17 | 37:48 | -11 | 32 | 17 | 5 | 2 | 10 | 20:25 | -5 | 17 | 16 | 3 | 6 | 7 | 17:23 | -6 | 15 |
| 17 | უიმბლდონი | 34 | 7 | 11 | 16 | 44:65 | -21 | 32 | 18 | 6 | 6 | 6 | 28:26 | 2 | 24 | 16 | 1 | 5 | 10 | 16:39 | -23 | 8 |
| 18 | შეფილდ უენსდი | 33 | 7 | 6 | 20 | 30:58 | -28 | 27 | 16 | 5 | 3 | 8 | 17:18 | -1 | 18 | 17 | 2 | 3 | 12 | 13:40 | -27 | 9 |
| 19 | ბრედფორდი | 33 | 6 | 8 | 19 | 29:61 | -32 | 26 | 16 | 4 | 7 | 5 | 18:25 | -7 | 19 | 17 | 2 | 1 | 14 | 11:36 | -25 | 7 |
| 20 | უოტფორდი | 33 | 5 | 5 | 23 | 28:67 | -39 | 20 | 16 | 4 | 4 | 8 | 19:25 | -6 | 16 | 17 | 1 | 1 | 15 | 9:42 | -33 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 27 |
| ე. კოული (მანჩესტერი) | 19 |
| შირერი (ნიუკასლი) | 19 |
| იორკი (მანჩესტერი) | 17 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 15 |

19 აპრილი
ლესტერი — ტოტენჰემი

XXXIV ტური

21 აპრილი
ევერტონი — ლივერპული
ბრედფორდი — დერბი

22 აპრილი
ასტონ ვილა — ლესტერი
ჩელსი — მიდლსბრო
შეფილდი — სანდერლენდი
საუთჰემპტონი — მანჩესტერი
ტოტენჰემი — უიმბლდონი
ვესტ ჰემი — ქოვენთრი

23 აპრილი
უოტფორდი — არსენალი
ნიუკასლი — ლიდსი

## პირველი დივიზიონი

XLII ტური

### ჩარლტონი 0:1 ჰადერსფილდი

0:1 ვაინჰარდი (25)

### ბირმინგემი 0:1 ნოტინგემი

0:1 პურსი (40 ს.კ.)

### ბლექბერნი 1:1 პორტსმუთი

1:0 კარსლი (22პ), 1:1 ჰიუზი (41)

### ქრიუ 2:1 ქუინზ პარკი

1:0 სმიტი (18პ), 1:1 ლონგლი (45), 2:1 რივერსი (55)

### ფულემი 4:0 შეფილდ იუნ.

1:0 ფილანი (12), 2:0, 3:0 კლარკი (61, 63), 4:0 მელვილი (72)

### გრიმსბი 1:1 მანჩესტერ სიტი

0:1 პრიორი (6), 1:1 პუტონი (16)

### ნორვიჩი 1:0 ვულვერჰემპტონი

1:0 რობერტსი (50)

### პორტვეილი 2:2 ბარნსლი

1:0 ბარტონი (9), 1:1 ჰინეტი (43), 1:2 კურტისი (66), 2:2 ვიდრინგტონი (90პ)

### სტოკპორტი 0:1 იფსვიჩი

0:1 ჯონსონი (44)

### სუინდონი 3:1 ტრანმერი

1:0 გრიფინი (15), 2:0 გრაციოლი (30), 2:1 ჰილი (37), 3:1 გრეი (62)

### უოლსოლი 2:2 კრ. პალასი

0:1 ფორსელი (50), 0:2 მულინსი (67), 1:2 მატიასი (83), 2:2 ჰალი (90)

### ვესტ ბრომვიჩი 4:4 ბოლტონი

1:0 სნიკსი (22პ), 1:1 ჰანსენი (36), 2:1 ფლინი (38), 2:2 ბერგსონი (55), 2:3 გუდიონსენი (66), 3:3 ტეილორი (79), 4:3 ოლივერი (88), 4:4 ბერგსონი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 42 | 27 | 8 | 7 | 76:38 | 89 |
| სიტი | 42 | 23 | 10 | 9 | 69:37 | 79 |
| იფსვიჩი | 42 | 22 | 12 | 8 | 64:38 | 78 |
| ბარნსლი | 42 | 22 | 10 | 10 | 84:61 | 76 |
| ჰადერსფილდი | 42 | 20 | 11 | 11 | 60:40 | 71 |
| ბირმინგემი | 42 | 20 | 10 | 12 | 61:43 | 70 |
| ვულვზი | 42 | 18 | 11 | 13 | 57:46 | 65 |
| ბოლტონი | 42 | 17 | 13 | 12 | 60:48 | 64 |
| ფულემი | 42 | 16 | 15 | 11 | 45:36 | 63 |
| ბლექბერნი | 42 | 15 | 15 | 12 | 52:44 | 60 |
| ქუინზ პარკი | 42 | 14 | 16 | 12 | 55:50 | 58 |
| ნორვიჩი | 42 | 13 | 14 | 15 | 42:46 | 53 |
| შეფილდ იუნ. | 42 | 13 | 12 | 17 | 55:66 | 51 |
| ტრანმერი | 41 | 13 | 11 | 17 | 51:61 | 50 |
| პორტსმუთი | 42 | 13 | 10 | 19 | 51:59 | 49 |
| გრიმსბი | 42 | 13 | 10 | 19 | 39:63 | 49 |
| ნოტინგემი | 42 | 12 | 12 | 18 | 47:52 | 48 |
| კრ. პალასი | 42 | 11 | 15 | 16 | 53:62 | 48 |
| სტოკპორტი | 42 | 11 | 15 | 16 | 46:61 | 48 |
| ქრიუ | 42 | 12 | 8 | 22 | 39:61 | 44 |
| ვესტ ბრომვიჩი | 42 | 8 | 18 | 16 | 38:57 | 42 |
| უოლსოლი | 42 | 9 | 13 | 20 | 49:72 | 40 |
| პორტვეილი | 41 | 7 | 14 | 20 | 46:62 | 35 |
| სუინდონი | 42 | 7 | 11 | 24 | 34:70 | 32 |

## მეორე დივიზიონი

42-ე ტური. ბლექპული — სკანთორპი 0:2; ბრენტფორდი — მილუოლი 1:3; როვერსი — პრესტონი 0:2; ბერი — ჩესტერფილდი 1:1; კარდიფი — კემბრიჯი 0:4; ჯილინგემი — უიგანი 2:1; ნოტსი — რედინგი 1:2; ოქსფორდი — ბარნლი 1:2; რექსჰემი — ბორნმუთი 1:0; უიკომბი — კოლჩესტერი 3:0

## მესამე დივიზიონი

42-ე ტური. ბრაიტონი — როტერჰემი 1:1; კარლაილი — მაკლსფილდი 0:1; ჩელტენემი — იორკი 0:1; დარლინგტონი — ნორთჰემპტონი 0:1; ჰალიფაქსი — ბარნეტი 1:2; ჰარტლპული — ლინკოლნი 2:0; ლეიტონი — ჩესტერი 1:2; მენსფილდი — ჰალი 0:1; პიტერბრო — ექსეტერი 3:1; პლიმუთი — სუონსი 1:0; შრუსბერი — როჩდეილი 2:4

# აინტრახტს ქვა აღმართში მიეწია


REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — მიუნხენი 1:2. სტუმარმა მარკო კურცმა ბაიერნელი პაულო სერჟიო მოცელა

## გერმანია

XXX ტური

### შტუტგარტი 1:0 ფრაიბურგი

1:0 განეა (82)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი, სოლდო (ენდრესი 64), ბორდონი (კელერი 46), ტიამი, ლისტეში, პინტო (კეისი 85), ბალაკოვი, გერბერი, დანდი, განეა
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი (კონდე 85), დიარა, ჰერმელი, ა. ცაიერი, ვილი, ვაისჰაუპტი, ფ. ბრუნსი, ბაია, სელიმი (ბენ სლიმანი 53), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: კელერი, ლისტეში, იაშვილი
გაძევება: განეა (83)
მსაჯი: მერკი
26 000 მაყურებელი

### ბაიერნი 1:2 მიუნხენი

0:1 მაქსი (22), 1:1 შოლი (29), 1:2 იერემისი (40 ს.კ.)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლინკე (ტარნატი 67), იერემისი, სალიჰამიჯიჩი, ფინკი (სანტა კრუზი 80), ლიზარაზუ, ეფენბერგი (იანკერი 41), შოლი, პაულო სერჟიო, ელბერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, კურცი, გრაილიხი (პასლაკი 67), შტრანცლი, ტაისი (ტაპალოვიჩი 46), ჩერნი, ჩიჟეკი (პროსენიკი 46), ჰესლერი, მაქსი, აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
გაფრთხილება: იერემისი, ლიზარაზუ, შოლი, ტარნატი, გრაილიხი, ტაისი, ზელიჩი
მსაჯი: ფანდელი
69 000 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:1 არმინია

1:0 ბაინლიხი (11), 2:0 კირსტენი (22), 3:0 ბალაკი (38), 4:0 პაულო რინკი (51პ), 4:1 მაისნერი (66პ)
ლევერკუზენი: მატიშეკი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რამელო, ჟივკოვიჩი, ბალაკი (ბ. შნაიდერი 69), ბაინლიხი, ნოივილი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 78), პაულო რინკი (პონტე 78)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
არმინია: ციგლერი, ვატერინკი, კლიცპერა, მაისნერი, პეეტერსი, შ. ბოდე, ჰოფშნაიდერი, მაული, ბომე, გიოქთანი (ვიშნიარეკი 46), ლაბადია
მწვრთნელი: ჰერმან გერლანდი
გაფრთხილება: ბალაკი, კლიცპერა
მსაჯი: იანსენი
22 500 მაყურებელი

### ჰამბურგი 0:0 ვერდერი

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, გრავესენი, ჰოოგმა, პანადიჩი, ნ. კოვაჩი, ფიშერი, ჰოლერბახი, დოლი (ილმაზი 57), მაჰდავიკია, პრეგერი (ხატიბი 78), იუსალი (ჰაშემიანი 61)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, აილტსი, ტრარესი (დაბროვსკი 73), ა. ჰერცოგი, მ. ბოდე (მაქსიმოვი 68), პიზარო, აილტონი (ბოგდანოვიჩი 86)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ფიშერი, ჰოოგმა, აილტონი, პიზარო, ვიდნერი
მსაჯი: შტრამპე
52 800 მაყურებელი

### ჰერტა 0:0 ვოლფსბურგი

ჰერტა: კირალი, შმიდტი, ვან ბურიკი, სვერისონი, დარდაი (დაისლერი 60), ვაიტი, რემერი, ჰარტმანი, ნოიენდორფი (მიხალკე 83), პრეეცი, სანე (დაეი 60)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ტომსენი, ბილისკოვი, გრაინერი (მალტრიცი 65), ნოვაკი, ვაისერი, სებესკენი (დაბრიცი 89), მუნტეანუ, აკონორი, აკპობორი (რიშე 84)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: დაეი, დარდაი, აკპობორი, ბილისკოვი
მსაჯი: ბერგი
38 202 მაყურებელი

### ლაუტერნი 1:0 აინტრახტი

1:0 რაიხი (57)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, სფორცა, შონბერგი, შტრასერი (ლუცი 61), როოსი, ბასლერი, კომლიენოვიჩი, ბუკი, რაიხი, პეტერსონი (კლოსე 76), ტარე (მარშალი 34)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, უ. შნაიდერი (ცამპახი 46), შური, რასიევსკი, ჰელდტი, გებჰარდტი, რაიხენბერგერი (ფიორტოფტი 79), ჩენ იანგი (სალუ 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: კოხი, მარხალი, როოსი, ფიორტოფტი, რაიხენბერგერი, შური, შნაიდერი, ცამპახი
მსაჯი: ფლაიშერი
41 500 მაყურებელი

### დუისბურგი 2:2 დორტმუნდი

1:0 კოვაჩევიჩი (6), 1:1 ადო (13), 1:2 ვიორნსი (25), 2:2 ცაიერი (44პ)
დუისბურგი: სტაუჩე, კოვაჩევიჩი, ემერლინგი, დრსეკი, ჰირში, ვოლტერსი (ჰაიტო 75), ოსტჰოფი, ტოფტინგი, მ. ცაიერი, რაისი (გუვენისიკი 80), შპისი
მწვრთნელი: ზეპო აიხკორნი
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, როიტერი, კ. ბაუმანი, ევანილსონი, სტევიჩი, დედე, ადო, რიკენი (ბარბარესი 72), ჟ. რეინა (იკპება 75), ბობიჩი
მწვრთნელი: უდო ლატეკი
გაფრთხილება: კოვაჩევიჩი, ტოფტინგი, ბობიჩი, დედე, ადო, ვიორნსი
მსაჯი: ვაკი
21 255 მაყურებელი

### შალკე 0:0 ულმი

შალკე: რეკი, აიგენრაუხი, ვალდოხი, ტონი, ალპუგანი (ჰაინალი 56), ჰელდი (ასამოა 61), კამპუისი, ნემეცი, ლატალი, სანდი, ე. მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
ულმი: ლაუქსი, უნსოლდი, მარკესი, შტადლერი, რადოკი (კონრადი 67), ოტო, შარინგერი, ე. ვაისი (პლულერი 86), მაიერი, ლეანდრო, როსლერი (გრაუერი 81)
მწვრთნელი: მარტინ ანდერმატი
გაფრთხილება: ალპუგანი, ჰაინალი
მსაჯი: კესლერი
30 800 მაყურებელი

### უნტერჰახინგი 1:1 ჰანზა

1:0 ზაიფერტი (78), 1:1 კოვაჩიჩი (90)
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ზაიფერტი, გრასოვი, მატიას ციმერმანი, დ. შვარცი (ბუხერი 86), ჰაბერი, შტრაუბე, ობერლაიტნერი, ბრაიტენრაიტერი (რაკლი 46), ზაიცი (მარკ ციმერმანი 74)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კოსტნერი
ჰანზა: ბროიტიგამი, ბენკენი, ვაილანდტი, ოსვალდი, ლანგე, ვიბრანი, იასერი, ემარა (მაიაკი 79), ბრაიტკროიცი (ბრანდი 79), ბაუმგარტი, არვიდსონი (კოვაჩიჩი 55)
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
გაფრთხილება: გრასოვი, ლანგე
მსაჯი: ფრიოლიხი
10 000 მაყურებელი

**ტყუილის** მთქმელს მართალიც არ დაეჯერებაო — სწორედ „ბაიერნზეა" ნათქვამი. წინა ტურში „ფრაიბურგთან" მიუნხენელთა გახმაურებული მატჩი ყველას გემახსოვრებათ, ბავარიელებმა მსაჯის დიდი დახმარებით მოიგეს. არბიტრმა ჯერ იყო „ბაიერნის" კარში აშკარა პენალტი არ დანიშნა, ბოლოს კი მიუნხენელებს აქეთ აჩუქა თერთმეტმეტრიანი და ჰიცფელდის შეგირდებმაც მსაჯის შეცდომების წყალობით მოიგეს.

შაბათს „ბაიერნი" თანაქალაქელ და სტადიონის მოზიარე „მიუნხენ 1860"-ს მასპინძლობდა. ამ შეხვედრაში სამჯერ შეიქმნა ისეთი ეპიზოდი, ფანდელს „მიუნხენის" კარში პენალტი რომ დაედო, არავინ გაამტყუნებდა. მსაჯმა ვერც ერთხელ გარისკა, სამჯერვე თამაშის გაგრძელება ბრძანა. მატჩი საბოლოოდ „სტუმრებმა" მოიგეს — 2:1.

ფაქტია, რაც მარტში გუნდიდან ლოთარ მათეუსი წავიდა, მას შემდეგ „ბაიერნის" დაცვა დაცვას აღარ ჰგავს. უმათეუსოდ გამართული რვა შეხვედრიდან მიუნხენელებმა მხოლოდ სამი მოიგეს, კარის მშრალად შენახვა კი ერთხელ ძლივს მოახერხეს („ულმთან").

„ბაიერნი" — „მიუნხენის" მატჩი საინტერესო და კარგი სანახავი გამოდგა. მასპინძლები თითქოს უპირატესობას ფლობდნენ, საგოლე მომენტებს კი მაინც ვერნერ ლორანტის გუნდი ქმნიდა. „მიუნხენი" დროდადრო საკმაოდ მწვავე კონტრიერიშებს ახორციელებდა. ერთ-ერთ ასეთ შეტევას კი 22-ე წუთზე გოლი მოჰყვა. ელბერმა ძალიან რეალური მომენტი გააცუდა, სტუმრებმა ბურთი წამოიღეს, ჰესლერმა საჯარიმოში უყურადღებოდ დატოვებული მაქსი მონახა, ამანაც ახლოდან თავისიანები დააწინაურა. თუმცა მცირე ხნით — შოლმა მალე ჯარიმიდან ჩინებულად დაარტყა — 1:1. ტაიმის მიწურულს კი იერემისი გამოხტა და კანს საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთის აღება არ აცალა, თავით საკუთარ კარში ჩაჭრა. ამ ავტოგოლმა ყველას გაახსენა, რომ იერემისი „ბაიერნში" სწორედ „მიუნხენიდან" გადავიდა. „ყველაფერი შემთხვევით მოხდა, კანის ხმა ვერ გავიგე, მეგონა, კარში იდგა" — თავი იმართლა ნამატჩევს იერემისმა, რომლის შეცდომამაც „ბაიერნს" წააგებინა. მეორე ტაიმში ბავარიელები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. „მიუნხენ 1860"-მა თავის ისტორიაში პირველად სძლია „ბაიერნს" ერთ სეზონში ორჯერ. პირველ წრეში „მიუნხენმა" 1:0 მოიგო.

„ალოგიკური შედეგია. მეორე ტაიმში აშკარად ვჯობდით მეტოქეს, კარგი საგოლე მომენტებიც გვქონდა, მაგრამ... იმედგაცრუებული ვარ. მიუხედავად ამისა, იმედი არ დამიკარგავს. ჩემპიონობის კვლავაც კარგი შანსი გვაქვს" — თქვა ჰიცფელდმა პრესკონფერენციაზე.

„ლევერკუზენი" რის „ლევერკუზენი" იქნებოდა, წინა ტურში დაკარგული ლიდერობის დაბრუნების ასეთი შესაძლებლობა დაეკარგა. კვირას ლევერკუზენელებმა „არმინია" ისტუმრეს და მსაჯის სასტვენისთანავე კბილებალესილნი ეკვეთნენ მეტოქეს. შედეგიც მალე მოიმკეს. მე-11 წუთზე ბაინლიხმა ჯარიმა უზადოდ შეასრულა. მერე კირსტენმა მორიგი თავური გაიტანა. ბალაკმა კი 38-ე წუთზე მესამეც დაამატა. მეორე ნახევარში რინკმა და მაისნერმა პენალტით გატანილი გოლები გაცვალეს და შეხვედრაც 4:1 დასრულდა. ისე, ადვილი შესაძლებელი იყო, „ლევერკუზენს" ხუთი-ექვსი ბურთითაც მოეგო, მაგრამ თავი მაინცდამაინც აღარ გამოუდვია.

„კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით მატჩის დებიუტით. ძალიან მაღალ ტემპში დავიწყეთ თამაში. ახლა ყველაფერი ჩვენსავე ხელშია, ვეცდებით, ეს შანსი გამოვიყენოთ" — განაცხადა მასპინძელთა თავკაცმა კრისტოფ დაუმმა.

უკობიაშვილო „ფრაიბურგმა" კი კვლავ წააგო. „შტუტგარტთან" საგარეო შეხვედრაში ლევანი დისკვალიფიკაციის გამო (ხუთი ყვითელი დაუგროვდა) აკლდა თავისიანებს. მიმდინარე სეზონში კობიაშვილმა პირველი მატჩი გამოტოვა.

„ფრაიბურგმა" ცუდად ითამაშა, მიუხედავად ამისა, შეეძლო, ქულით ხელდამშვენებულს დაეტოვებინა შტუტგარტი, მაგრამ ბოლომდე ველარ გაძლო. გოლი მატჩის მიწურულს, 82-ე წუთზე გაუშვა — ბალაკოვის პასით განეამ ლამაზი ბურთი შეაგდო. ისე, ამის გაკეთება სტუმრებსაც ხელეწიფებოდათ, თუმცა სელიმიმ და იაშვილმა ხელსაყრელი შანსები ვერ გამოიყენეს. მასპინძლებს კი გატანა უფრო ადრე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა გოლკიპერმა დაანება, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. ბოლოს მასპინძლები ათნი დარჩნენ. მსაჯმა გოლის ავტორი განეა გააძევა, თუმცა „ფრაიბურგმა" ამით ვერ იხეირა.

„ძალიან გასაბრაზებელია გოლის ასეთ დროს გაშვება. ჩემი გუნდი დაილალა. ძალები უნდა მოვიკრიბოთ, რათა დარჩენილ მატჩებში საჭირო ქულები მოვაგროვოთ" — თქვა „ფრაიბურგის" მწვრთნელმა, ფოლკერ ფინკემ შეხვედრის შემდეგ.

ფრანკფურტის „აინტრახტს" კი ქვა აღმართში მიეწია. თითქოს „კაიზერსლაუტერნთან" მარცხი არ ეყოფოდაო, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ახალი განაჩენი გამოუტანა. გუნდს ორი ქულა დააკლეს. მიზეზი კი ისაა, რომ ვალებში მყოფმა (ფრანკფურტელებს სხვისი 7 მილიონი დოლარი მართებთ) აინტრახტელებმა წრეებს შორის შესვენებისას ტრანსფერები განახორციელეს, ეს კი ქვეყნის საფეხბურთო კავშირის დებულებით აკრძალულია. ასე დაკარგეს ფელიქს მაგათის შეგირდებმა სიმწრით და ოფლით მოპოვებული ქულები.

ევროსაგზურისთვის მებრძოლმა „შალკემ" შინ, ბევრისთვის გასაკვირად, „ულმს" ვერ მოუგო — ფრე 0:0. ასეთივე შედეგით დასრულდა ასევე ევროპაში გასასვლელად მოცილე „ჰერტა" — „ვოლფსბურგისა" და „ჰამბურგი" — „ვერდერის" შეხვედრები.

„დორტმუნდმა" უდო ლატეკის ხელმძღვანელობით პირველი მატჩი ჩაატარა. დორტმუნდელები ერთ-ერთ წყალწაღებულ „დუისბურგს" ეწვივნენ და ბოლო შვიდ ტურში პირველი ქულა მოიპოვეს. გამარჯვების გემო კი კვლავაც ვერ გაიხსენეს. არადა, ეს შესაძლებელი იყო — ერთი პერიოდი 2:1-საც იგებდნენ. მაგრამ პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე ცაიერმა პენალტით გაათანაბრა და მატჩიც 2:2 დასრულდა.

„კარგია, რომ წაგებების სერია შევწყვიტეთ. ფეხბურთელებს გასახდელში ვუთხარი, რომ სწორ გზას ვადგავართ. ვგრძნობ, მათიას ზამერთან და უვე ნოიჰაუსთან ერთად გუნდს კრიზისიდან გამოვიყვან" — თქვა ლატეკმა, რომელიც „დორტმუნდში" სულ სამი დღის მისულია.

**ვანო ოქროპირიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 30 | 18 | 10 | 2 | 65:32 | 33 | 64 | 16 | 12 | 4 | 0 | 40:16 | 24 | 40 | 14 | 6 | 6 | 2 | 25:16 | 9 | 24 |
| 2 ბაიერნი | 30 | 18 | 7 | 5 | 62:26 | 36 | 61 | 15 | 10 | 3 | 2 | 43:15 | 28 | 33 | 15 | 8 | 4 | 3 | 19:11 | 8 | 28 |
| 3 ჰამბურგი | 30 | 15 | 10 | 5 | 59:33 | 26 | 55 | 15 | 10 | 4 | 1 | 34:9 | 25 | 34 | 15 | 5 | 6 | 4 | 25:24 | 1 | 21 |
| 4 მიუნხენი | 30 | 13 | 8 | 9 | 49:43 | 6 | 47 | 15 | 10 | 2 | 3 | 33:18 | 15 | 32 | 15 | 3 | 6 | 6 | 16:25 | -9 | 15 |
| 5 ჰერტა | 30 | 12 | 10 | 8 | 37:41 | -4 | 46 | 15 | 8 | 6 | 1 | 23:11 | 12 | 30 | 15 | 4 | 4 | 7 | 14:30 | -16 | 16 |
| 6 ლაუტერნი | 30 | 14 | 4 | 12 | 44:51 | -7 | 46 | 15 | 7 | 2 | 6 | 24:25 | -1 | 23 | 15 | 7 | 2 | 6 | 20:26 | -6 | 23 |
| 7 ვერდერი | 30 | 12 | 8 | 10 | 59:45 | 14 | 44 | 15 | 9 | 3 | 3 | 36:22 | 14 | 30 | 15 | 3 | 5 | 7 | 23:23 | 0 | 14 |
| 8 ვოლფსბურგი | 30 | 10 | 13 | 7 | 46:49 | -3 | 43 | 15 | 7 | 4 | 4 | 24:23 | 1 | 25 | 15 | 3 | 9 | 3 | 22:26 | -4 | 18 |
| 9 შტუტგარტი | 30 | 13 | 4 | 13 | 35:40 | -5 | 43 | 15 | 6 | 1 | 8 | 18:23 | -5 | 19 | 15 | 7 | 3 | 5 | 17:17 | 0 | 24 |
| 10 უნტერჰახინგი | 30 | 10 | 8 | 12 | 37:38 | -1 | 38 | 15 | 8 | 5 | 2 | 19:10 | 9 | 29 | 15 | 2 | 3 | 10 | 18:28 | -10 | 9 |
| 11 შალკე | 30 | 8 | 13 | 9 | 38:37 | 1 | 37 | 15 | 4 | 9 | 2 | 19:13 | 6 | 21 | 15 | 4 | 4 | 7 | 19:24 | -5 | 16 |
| 12 დორტმუნდი | 30 | 7 | 12 | 11 | 35:35 | 0 | 33 | 15 | 4 | 6 | 5 | 20:19 | 1 | 18 | 15 | 3 | 6 | 6 | 15:16 | -1 | 15 |
| 13 ფრაიბურგი | 30 | 8 | 9 | 13 | 40:46 | -6 | 33 | 15 | 6 | 4 | 5 | 25:17 | 8 | 22 | 15 | 2 | 5 | 8 | 15:29 | -14 | 11 |
| 14 ჰანზა | 30 | 6 | 14 | 10 | 37:51 | -14 | 32 | 15 | 6 | 7 | 2 | 21:17 | 4 | 25 | 15 | 0 | 7 | 8 | 16:34 | -18 | 7 |
| 15 ულმი | 30 | 8 | 8 | 14 | 31:53 | -22 | 32 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:22 | -2 | 22 | 15 | 2 | 4 | 9 | 11:31 | -20 | 10 |
| 16 აინტრახტი | 30 | 9 | 5 | 16 | 32:39 | -7 | 30 | 14 | 6 | 3 | 5 | 20:13 | 7 | 21 | 16 | 3 | 2 | 11 | 12:26 | -14 | 11 |
| 17 არმინია | 30 | 5 | 8 | 17 | 33:55 | -22 | 23 | 15 | 3 | 6 | 6 | 21:21 | 0 | 15 | 15 | 2 | 2 | 11 | 12:34 | -22 | 8 |
| 18 დუისბურგი | 30 | 4 | 9 | 17 | 35:60 | -25 | 21 | 15 | 2 | 7 | 6 | 19:21 | -2 | 13 | 15 | 2 | 2 | 11 | 16:39 | -23 | 8 |

*„აინტრახტს" დაკლებული აქვს 2 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაქსი (მიუნხენი) | 16 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 15 |
| სანდი (შალკე 04) | 13 |
| აილტონი (ვერდერი) | 12 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 12 |
| პრეეცი (ჰერტა) | 12 |

### XXXI ტური

20 აპრილი
არმინია - უნტერჰახინგი
აინტრახტი - ჰამბურგი
22 აპრილი
მიუნხენი - შტუტგარტი
ულმი - ჰერტა
ჰანზა - დუისბურგი
ვოლფსბურგი - ლაუტერნი
ფრაიბურგი - შალკე
23 აპრილი
დორტმუნდი - ბაიერნი
ვერდერი - ლევერკუზენი

## მეორე ბუნდესლიგა

XXVII ტური

### ალემანია 0:1 ქემნიცი

0:1 შკელა (51)

### კიკერსი 3:0 ვალდჰოფი

1:0, 2:0 კარნევალე (83, 85), 3:0 ტ. მარიჩი (90)

### ზანქტ პაული 0:0 ნიურნბერგი

### კოტბუსი 2:0 ბერლინი

1:0 რიოდლუნდი (29), 2:0 ლაბაკი (54)

### ობერჰაუზენი 4:0 ფორტუნა

1:0 ვაირი (4), 2:0 ბახაუსი (22), 3:0, 4:0 ვაირი (52, 76)

### კარლსრუე 1:3 ჰანოვერი

1:0 მაისნერი (23), 1:1 ბლანკი (35), 1:2 კეიტა (55), 1:3 შტენდელი (78)

### კიოლნი 1:0 მაინცი

1:0 დონკოვი (15)

### ფიურტი 1:1 ოფენბახი

0:1 როტი (22), 1:1 კლეე (34)

### ბოხუმი — მიონხენგლადბახი

*იხილეთ ბოლო გვერდი*

### გამოტოვებული მატჩი
### ქემნიცი — ნიურნბერგი

*იხილეთ ბოლო გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 27 | 15 | 7 | 5 | 51:26 | 52 |
| ბოხუმი | 26 | 14 | 5 | 7 | 45:34 | 47 |
| კოტბუსი | 27 | 14 | 3 | 10 | 50:33 | 45 |
| ნიურნბერგი | 26 | 12 | 7 | 7 | 42:38 | 43 |
| გლადბახი | 26 | 10 | 10 | 6 | 41:31 | 40 |
| ალემანია | 27 | 10 | 9 | 8 | 36:41 | 39 |
| ჰანოვერი | 27 | 10 | 7 | 10 | 42:41 | 37 |
| ბერლინი | 27 | 9 | 10 | 8 | 33:35 | 37 |
| ვალდჰოფი | 27 | 8 | 12 | 7 | 38:39 | 36 |
| ობერჰაუზენი | 27 | 8 | 10 | 9 | 31:30 | 34 |
| ქემნიცი | 26 | 9 | 7 | 10 | 34:36 | 34 |
| მაინცი | 27 | 7 | 11 | 9 | 32:32 | 32 |
| ფიურტი | 27 | 6 | 14 | 7 | 29:33 | 32 |
| ზტ. პაული | 27 | 6 | 13 | 8 | 26:31 | 31 |
| ოფენბახი | 27 | 6 | 11 | 10 | 27:38 | 29 |
| კიკერსი | 27 | 7 | 7 | 13 | 39:49 | 28 |
| ფორტუნა | 27 | 5 | 11 | 11 | 25:39 | 26 |
| კარლსრუე | 27 | 3 | 10 | 14 | 30:45 | 19 |

## იტალია

### XXX ტური

**ინტერი 1:2 იუვენტუსი**

0:1, 0:2 კოვაჩევიჩი (54, 79), 1:2 ზეედორფი (83)
ინტერი: პერუცი, სიმიჩი (მორიერო 85), ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე, დი ბიაჯო, სერენა (მუტუ 69), ზეედორფი, რეკობა, სამორანო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ტუდორი 88), მონტერო, იულიანო, ძამბროტა, კონტე, დავიდსი, პესოტო, დელ პიერო (ესნაიდერი 85), კოვაჩევიჩი, ფ. ინძაგი (ტაკინარდი 66)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დი ბიაჯო, დავიდსი, ძამბროტა, მუტუ, კოვაჩევიჩი
მსაჯი: ტრეოსი
79 677 მაყურებელი

**ფიორენტინა 3:3 ლაციო**

1:0 ბატისტუტა (24), 1:1 ნედვედი (27), 1:2 ბოკშიჩი (30), 2:2 კიეზა (54), 2:3 მიხაილოვიჩი (89პ), 3:3 ბატისტუტა (93)
მიხაილოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (84, მეკარე)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, პიერინი, ტორიჩელი, რუი კოშტა (როსიტო 72), დი ლივიო (კ. ამორუზო 74), ჰაინრიხი (ტაროცი 46), კიეზა, ბატისტუტა, მიატოვიჩი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
ლაციო: ბალოტა, ნეგრო, ფერნანდო კოუტუ, მიხაილოვიჩი, პანკარო, ლომბარდო (სერჟიო კონსეისაო 58), ვერონი (რავანელი 78), ალმეიდა, ნედვედი, ბოკშიჩი, სალასი (რ. მანჩინი 66)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: რეპკა
მსაჯი: ტომბოლინი
39 000 მაყურებელი

**ტორინო 2:2 მილანი**

0:1 ამბროზინი (13), 1:1, 2:1 პინგა (27, 69), 2:2 გულიელმინპიეტრო (74)
ტორინო: ბუჩი, ბონომი, ფიკადენტი (პეკია 64), მალტალიატი, მენდესი, იურჩიჩი, ბრამბილა, ლენტინი, სომეზე (ტრიკარიკო 75), ფერანტე, პინგა (ესკალონა 75)
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, დე აშენტისი, ამბროზინი, გულიელმინპიეტრო, ლეონარდო, შევჩენკო (ალიუი 75), ბირჰოფი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ფიკადენტი, ბონომი, ესკალონა, ამბროზინი, კოსტაკურტა, დე აშენტისი, ბირჰოფი, ჰელვეგი, პინგა
მსაჯი: კოლინა
25 000 მაყურებელი

**რომა 2:0 ბოლონია**

1:0 მონტელა (28პ), 2:0 ტოტი (63პ)
რომა: ლუპატელი, რინალდი, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო, ტოტი, მონტელა (ბლასი 90), პოჯი (კ. ძანეტი 81)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბოლონია: პალიუკა, პარამატი, პაგანინი, ბია, დალ კანტო, ბინოტო (ერიბერტო 63), ინგესონი, მაროკი (პიაჩენტინი 76), ნერვო (ტონეტო 63), კ. ანდერსონი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: მონტელა, ბინოტო, დალ კანტო, პაგანინი
მსაჯი: ბონფრისკო
49 522 მაყურებელი

**პარმა 3:1 ვენეცია**

0:1 ბუდანი (20), 1:1, 2:1 კრესპო (34, 89), 3:1 დი ვაიო (91)
პარმა: ბუფონი, კანავარო, ტურამი, ბენარივო, ფუზერი, დ. ბაჯო, ვალემი (ბოლანო 72), ვანოლი (სარტორი 83), სტანიჩი, კრესპო, ამოროზო (დი ვაიო 63)
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
ვენეცია: ბენუსი, კარნაშალი, ბილიკა, ნგოტი, ბეტარინი, ვალტოლინა (განცი 86), იაკინი (მალდონადო 59), ვოლპი, პედონე, მანიერო, ბუდანი (ჯინესტრა 66)
მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო
გაფრთხილება: ბილიკა, ვალტოლინა, იაკინი, ბენუსი, მანიერო, ბენარივო, პედონე
მსაჯი: ტრენტალანჯე
18 000 მაყურებელი

**ვერონა 2:2 უდინეზე**

0:1, 0:2 ფიორე (48, 61), 1:2 აპოლონი (73), 2:2 კამარატა (76)
ვერონა: ფრეი, ფილიპინი (ჯანდებიაჯი 64), ლაურსენი, აპოლონი, ფალსინი, ბროკი, მარასკო, იტალიანო, კოლუჩი (სალვეტი 56), მელისი (კოსატო 56), კამარატა
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
უდინეზე: ტურჩი (დე სანტისი 67), გარგო, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი (ჟენო 54), ჯანიკედა, ფიორე, ვან დერ ვეგტი, იორგენსენი, მუცი (ალბერტო 88), სოსა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: სოტილი, ბისგაარდი, აპოლონი, ფალსინი
მსაჯი: ჩეზარი
15 023 მაყურებელი

**პერუჯა 2:0 პიაჩენცა**

1:0 მატერაცი (15), 2:0 რაპაიჩი (74)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა (სოლიანო 43), კალორი, მატერაცი, ესპოზიტო, ოლივე, ბიზოლი, მილანეზე, ალენიჩევი (კაპიოლი 79), ნ. ამორუზო, მელი (რაპაიჩი 60)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
პიაჩენცა: რომა, პოლონია, ლამაკი, ვერხოვოდი, დელი კარი, ბუზო (ტალიაფერი 46), მორონე, სტატუტო (ზიტოლო 76), მანიგეტი, ჯილარდინო, გაუტიერი (რასტელი 66)
მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი
გაფრთხილება: ოლივე, სტატუტო, მატერაცი
გაძევება: ვერხოვოდი (36)
მსაჯი: ფარინა
10 000 მაყურებელი

**ბარი 3:1 ლეჩე**

1:0 სპინეზი (3), 2:0 ოსმანოვსკი (12), 3:0 კასანო (35), 3:1 სესა (79პ)
ბარი: ფ. მანჩინი, დე როსა (ბელავისტა 86), ფერარი, ნექროიზი, მადსენი (ინოჩენტი 79), დელ გროსო, მარკიჩი, დ. ანდერსონი, ოსმანოვსკი, სპინეზი, კასანო (ოლივარესი 73)
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, პივოტო, ვიალი, სავინო (კოლონელო 63), კონტიკიო, ბონომი (ბილოტი 46), ბალერი, ლიმა, მარინო (სიპრიენი 53), სესა
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
გაფრთხილება: ოსმანოვსკი, დელ გროსო, დე როსა, ბონომი, პივოტო, მარინო, კიმენტი
მსაჯი: რაკალბუტო
30 000 მაყურებელი

**კალიარი 0:1 რეჯინა**

0:1 კოცა (44)
კალიარი: სკარპი, დილიზო (მოდესტო 53), ვილა, ლოპესი, ძებინა, მაიელე (მელისი 67), ბერეტა, აბეიონი, დე პატრე, მბომა, სუაზო (კორადი 46)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, ვარგასი, ჩირილო, ბრევი, ბარონიო, კოცა (პირლო 77), მორაბიტო, კალონი (ბერნინი 91), ბოგდანი (რეჯი 53)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ბერეტა, ძებინა
მსაჯი: ბოლონინო
12 000 მაყურებელი

|  | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 30 | 19 | 8 | 3 | 44:17 | 27 | 65 | 15 | 12 | 2 | 1 | 26:8 | 18 | 38 | 15 | 7 | 6 | 2 | 18:9 | 9 | 27 |
| 2 ლაციო | 30 | 17 | 9 | 4 | 53:29 | 24 | 60 | 15 | 11 | 4 | 0 | 34:13 | 21 | 37 | 15 | 6 | 5 | 4 | 19:16 | 3 | 23 |
| 3 პარმა | 30 | 15 | 8 | 7 | 48:35 | 13 | 53 | 15 | 9 | 3 | 3 | 27:15 | 12 | 30 | 15 | 6 | 5 | 4 | 21:20 | 1 | 23 |
| 4 მილანი | 30 | 13 | 12 | 5 | 57:38 | 19 | 51 | 15 | 8 | 6 | 1 | 35:18 | 17 | 30 | 15 | 5 | 6 | 4 | 22:20 | 2 | 21 |
| 5 რომა | 30 | 14 | 8 | 8 | 54:31 | 23 | 50 | 15 | 10 | 3 | 2 | 33:13 | 20 | 33 | 15 | 4 | 5 | 6 | 21:18 | 3 | 17 |
| 6 ინტერი | 30 | 14 | 7 | 9 | 51:31 | 20 | 49 | 15 | 9 | 4 | 2 | 37:12 | 25 | 31 | 15 | 5 | 3 | 7 | 14:19 | -5 | 18 |
| 7 უდინეზე | 30 | 12 | 9 | 9 | 53:40 | 13 | 45 | 15 | 8 | 3 | 4 | 34:22 | 12 | 27 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:18 | 1 | 18 |
| 8 ფიორენტინა | 30 | 10 | 12 | 8 | 38:37 | 1 | 42 | 15 | 8 | 5 | 2 | 24:17 | 7 | 29 | 15 | 2 | 7 | 6 | 14:20 | -6 | 13 |
| 9 რეჯინა | 30 | 9 | 12 | 9 | 28:34 | -6 | 39 | 15 | 6 | 6 | 3 | 14:15 | -1 | 24 | 15 | 3 | 6 | 6 | 14:19 | -5 | 15 |
| 10 პერუჯა | 30 | 11 | 6 | 13 | 32:46 | -14 | 39 | 15 | 6 | 4 | 5 | 20:23 | -3 | 22 | 15 | 5 | 2 | 8 | 12:23 | -11 | 17 |
| 11 ვერონა | 30 | 9 | 10 | 11 | 33:40 | -7 | 37 | 15 | 7 | 5 | 3 | 19:12 | 7 | 26 | 15 | 2 | 5 | 8 | 14:28 | -14 | 11 |
| 12 ბოლონია | 30 | 8 | 11 | 11 | 25:32 | -7 | 35 | 15 | 7 | 5 | 3 | 14:8 | 6 | 26 | 15 | 1 | 6 | 8 | 11:24 | -13 | 9 |
| 13 ბარი | 30 | 9 | 7 | 14 | 32:44 | -12 | 34 | 15 | 6 | 7 | 2 | 19:13 | 6 | 25 | 15 | 3 | 0 | 12 | 13:31 | -18 | 9 |
| 14 ლეჩე | 30 | 8 | 10 | 12 | 28:40 | -12 | 34 | 15 | 7 | 5 | 3 | 14:9 | 5 | 26 | 15 | 1 | 5 | 9 | 14:31 | -17 | 8 |
| 15 ტორინო | 30 | 6 | 11 | 13 | 30:43 | -13 | 29 | 15 | 4 | 5 | 6 | 17:21 | -4 | 17 | 15 | 2 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 12 |
| 16 ვენეცია | 30 | 6 | 7 | 17 | 26:51 | -25 | 25 | 15 | 6 | 4 | 5 | 16:16 | 0 | 22 | 15 | 0 | 3 | 12 | 10:35 | -25 | 3 |
| 17 კალიარი | 30 | 3 | 11 | 16 | 25:47 | -22 | 20 | 15 | 3 | 6 | 6 | 13:16 | -3 | 15 | 15 | 0 | 5 | 10 | 12:31 | -19 | 5 |
| 18 პიაჩენცა | 30 | 4 | 8 | 18 | 17:39 | -22 | 20 | 15 | 3 | 6 | 6 | 11:16 | -5 | 15 | 15 | 1 | 2 | 12 | 6:23 | -17 | 5 |

# ანჩელოტის ხუთი თითი



REUTERS მილანიდან

ინტერი — იუვენტუსი 1:2. დუბლის ავტორი, იუვენტუსელი დარკო კოვაჩევიჩი ივან კორდობას (№21) და „ინტერს" გადააფრინდა

ორი ტურის წინ, სიტყვა დარჩენილ თამაშებზე რომ ჩამოვარდა, „იუვენტუსის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, ყველაზე ნაკლებად „ინტერთან" სტუმრად თამაში მაღელვებს, რადგან კონკურენტებთან და ძლიერ მეტოქეებთან ჩემი ფეხბურთელები მოედანზე ყოველთვის მობილიზებულები გადიან, მე უფრო სხვა შეხვედრები მაფიქრებსო. კვირას, 30-ე ტურის ბოლო შეხვედრაში დადასტურდა, რომ ანჩელოტი თავის გუნდს ხუთი თითივით იცნობს. „სან სიროზე" „ინტერთან" გამარჯვებამ ტურინელებს გარდა იმისა, რომ საკუთარი ძალის რწმენა ერთხელაც შემატა, უახლოეს მდევართან, „ლაციოსთან" ხუთქულიანი უპირატესობა მოუტანა.

ძალიან სწრაფ თამაშში, რომელშიც მჭიდრო პერსონალური მეურვეობა შემტევ მხარეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ბურთთან თითოშეხებიანი კომბინაციების გათამაშების საშუალებას აძლევდა, „იუვენტუსის" თავდამსხმელმა, იუგოსლაველმა დარკო კოვაჩევიჩმა ორი გოლი გაიტანა, რაც მილანელი ჰოლანდიელის, კლარენს ზეედორფის ერთმა პასუხმა ბუნებრივია ვერ გააბათილა. პირველად კოვაჩევიჩს ასისტენტობა ფილიპო ინძაგიმ გაუწია. მან წამით უმეთვალყურეოდ დარჩენილი პარტნიორი შენიშნა და პასი არ დაუგვიანა, ხოლო იუგოსლაველმა ბურთს ტექნიკურად აკრა ფეხი და ანჯელო პერუცის მიღმა, მასპინძელთა ბადეში ჩაუშვა. მეორედ კოვაჩევიჩმა მარცხენა ფრთიდან ანტონიო კონტეს ჩაწოდებულ ბურთს მიუჩინა გამოსვლისას უხეშად შემცდარი პერუცის კარში ადგილი. კლარენს ზეედორფმა კი თავისი გოლი წვიმიან მინდორზე შორეული დარტყმით გაიტანა. ზეედორფს განსაკუთრებული სიხარულის გამოხატვის საბაბი, ანგარიშიდან გამომდინარე, არ ჰქონდა, მაგრამ ჩაფიქრებული რიტუალი მაინც შეასრულა — ქვედა მაისურაზე გამოსახული თანაგუნდელის, რონალდოს სახე და მინაწერი „არ დანებდე" გამოაჩინა. რონალდოს ტრავმის ამბავი იმდენად გახმაურებულია, რომ აქ აღარ გავიმეორებთ.

კიდევ ერთი, რისი აღნიშვნაც ამ მატჩთან დაკავშირებით გვინდოდა, ზინედინ ზიდანის არყოფნა და ალესანდრო დელ პიეროს უკანდაწეული ფორვარდობა თუ გამთამაშებლობა გახლდათ. დელ პიერომ ერთობ კარგად გაართვა ამოცანას თავი და მართალია თამაშის მიწურულს ანჩელოტიმ ის ხუან ესნაიდერით შეცვალა, შეიძლება ითქვას, რომ წლების ანუ სისწრაფის დაკარგვის შემდეგ რა ფუნქციასაც შეასრულებს, ამთავითვე ნათელი გახდა.

3:3 — ასე დასრულდა ფლორენციაში „ფიორენტინასა" და „იუვენტუსის" კონკურენტის, „ლაციოს" შეხვედრა. შაბათს ჩატარებულ ამ მატჩში სინიშა მიხაილოვიჩმა კიდევ პენალტი ვერ გაიტანა. მაშინ ანგარიში 2:2 იყო.

მიხაილოვიჩმა ხსენებული პენალტის აცილებიდან რამდენიმე წუთში კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი დაარტყა და ამჯერად ზუსტად. ეს 90 წუთის ამოწურვამდე წამებით ადრე მოხდა, მაგრამ შემდეგ დაინიშნა ჯარიმა, რომელიც გაბრიელ ბატისტუტამ (მას ერთი გოლი, რა თქმა უნდა, უკვე გატანილი ჰქონდა) სტუმართა კარში შეხვედრის ბოლო გოლის გატანით დაასრულა.

შაბათსვე გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა: „ვერონა" — „უდინეზე", რომელიც ასევე ფრედ, 2:2 დასრულდა. ამ შეხვედრაში ოთხი გოლის გარდა აღნიშვნის ღირსი იტალიის ნაკრების მწვრთნელი, დინო ძოფი გახლდათ. იგი ვერონის სტადიონის ტრიბუნაზე უდინელი ნახევარმცველის, სტეფანო ფიორეს სანახავად დაბრძანებულიყო და ნახევარმცველმაც არ გაუწბილა იმედი — 2 გოლი გაიტანა.

ამით ძოფის სურვილი, „სკუადრა აძურასთვის" ახალი კაცი შეერჩია, დაკმაყოფილდა. ალბათ, დაკმაყოფილდა თავად ფიორეს სურვილიც, მაგრამ მისი გუნდისა არა — „უდინეზე" 2:0-ს იგებდა, მაგრამ სამწუთიან მონაკვეთში გაშვებულმა ორმა გოლმა ქულას დააჯერა.

2:2 დასრულდა „ტორინოსა" და „მილანის" შეხვედრაც. ტურინელთაგან თავი 18 წლის ბრაზილიელმა ფორვარდმა პინგამ გამოიჩინა, ორი გოლი შეაგდო, სტუმართაგან კი გოლები მასიმო ამბროზინიმ და ანდრეს გულიელმინპიეტრომ იმავე გულიმ გაიტანეს.

„რომას" 2:0 გამარჯვება ბოლონიელთა კარში დანიშნული ორი საეჭვო პენალტის შედეგი გახლდათ — რომაელებს 5 მარტის შემდეგ არ მოეგოთ — და ფაბიო კაპელოს გუნდი მეხუთე ადგილზე ავიდა. გეხსომებათ კაპელოს სეზონის წინ ნათქვამი, ჩემპიონობა იქნებ ვერც შევძლოთ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ნამდვილად ვიბრძოლებთო. იტალიიდან ლიგაში ოთხი გუნდი გადის.

„პარმამ" „ვენეციას" 3:1 მოუგო. ორი — მიმდინარე სეზონში მე-20 და 21-ე გოლი — ერნან კრესპომ შეაგდო, ეს პარმელთა მეექვსე გამარჯვება გახლდათ ბოლო შვიდ შეხვედრაში.

**პაპუნა ძედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 21 |
| კრესპო (პარმა) | 21 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| მონტელა (რომა) | 17 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 15 |
| კ. ლუკარელი (ლეჩე) | 14 |
| ფერანტე (ტორინო) | 14 |

### XXXI ტური

21 აპრილი
ინტერი — ბარი
ლეჩე — კალიარი
იუვენტუსი — ფიორენტინა
პიაჩენცა — ლაციო
რეჯინა — მილანი
რომა — პარმა
ბოლონია — პერუჯა
უდინეზე — ტორინო
ვენეცია — ვერონა

### სერია C1/A

30-ე ტური. ალბინოლეფე — პიზა 0:1; კარარეზე — ჩიტადელა 1:2; ლეკო — სიენა 2:0; ლივორნო — კომო 2:1; ლუმეცანე — მოდენა 1:1; მონტევარკი — ბრეშელო 1:1; რეჯანა — ლუკეზე 0:0; სანდონა — კრემონეზე 0:0; სპალ — ვარეზე 2:1

### სერია C1/B

30-ე ტური. არეცო — ვიტერბეზე 1:1; ასკოლი — ანკონა 2:2; აველინო — სტაბია 2:0; ბენევენტო — ატლეტიკო 4:0; კროტონე — ნოჩერინა 3:0; ჯულიანოვა — დი სანგრო 0:0; ლოდიჯანი — გუალდო 3:1; მარსალა — ფ. ანდრია 1:2; კატანია — პალერმო წუხელ გვიან გაიმართა

# რაულის მეასე




რაიო ვალეკანო — დეპორტივო 2:0. დეპორტივოელი ტურუ ფლორესი (შუაში) მეტოქის მცველებს გაურბის

ამ სურვილით მივიდა „ლა რომარედას“ სტადიონზე 35 ათასი [illegible]ლი გულშემატკივარი. თავის [illegible] „რეალსაც“ ზუსტად იგივე მიზანი ჰქონდა და დანებებას არ აპირებდა.

საგოლე მომენტებს რასაც ვუწოდებთ, ბევრი არ ყოფილა. მასპინძლები მცირე უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ მთავარი ხომ გოლია. გოლი კი არ გადიოდა. შეხვედრაც ალბათ ასე დასრულდებოდა, რომ არა ნიკოლა ანელკას პენალტის მომტანი გარღვევა. ფრანგმა თავდამსხმელმა, რომელიც კარიერაში ყველაზე ცუდ სეზონს ატარებს, ბურთი მიიღო და მასპინძელთა საჯარიმოსკენ დაიძრა. მასა და კარს შორის მხოლოდ ერთი ბარიერი იყო — მეკარე ხუანმი. სარაგოსელმა კარის დარაჯმაც, სხვა გზა რომ აღარ ჰქონდა, ანელკა მოცელა და პენალტის ალების იმედად დარჩა. ფრანგს გოლის გატანის ჩინებული შანსი მიეცა, მაგრამ ეს საქმე რაულმა იკისრა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა — მადრიდელ ვარსკვლავს აქამდე კარიერაში 99 ბურთი ჰქონდა გატანილი და მეასეს უმიზნებდა.

ამ დარტყმამდე რაული ასე მივიდა: „რეალის“ მესამე შემადგენლობაში მოთამაშე 17 წლის ფეხბურთელი კლუბის მაშინდელმა თავკაცმა ხორხე ვალდანომ შეამჩნია და პრიმერა დივიზიონში მიუჩინა ადგილი. რაულმა პირველივე, 1994-95 წლების სეზონში ცხრა გოლი შეაგდო და ყოველ მომდევნოში ამ შედეგის გაუმჯობესებას შეუდგა, წინა სეზონში კი 25 ბურთით დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. და აი, „სარაგოსა“ — „რეალის“ შეხვედრის 85-ე წუთი. დარტყმა, არის. რაულმა მეასე შეაგდო, „რეალი“ კი მეორე ადგილზე გადავიდა.

სარაგოსადან მადრიდს დაბრუნებულ რეალელებს ვალეკანოელებმა ჩინებული საჩუქარი უძღვნეს — ლიდერი „დეპორტივო“ დაამარცხეს და ჩემპიონატს ინტრიგა შეუნარჩუნეს. კმაყოფილია ვისენტე დელ ბოსკე, თუმცა ერთმა ცნობამ გული ატკინა. 14 აპრილს 53 წლისა გარდაიცვალა მისი ძველი მეგობარი, ყოფილი რეალელი სებასტიან ფლეიტასი, ვინაც თავის დროზე „რეალში“ თამაშისას 18 გოლი გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

## ესპანეთი

XXXIII ტური

### რაიო 2:0 დეპორტივო

1:0 მიჩელ I (23პ), 2:0 ფერონი (81)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, პაბლო სანსი, ჰელდერი, ალკასარი, კოტა, ერნანდესი, ამაია, ლუის სემბრანოსი (ფერონი 65), მიჩელ I (ესტიბარისი 81), პოშნერი, ბოლო (მიჩელ II 86)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
დეპორტივო: სონგო, ნაიბეტი, შურერი (ფრანი 82), მანუელ პაბლო, სესარი, იოკანოვიჩი (პაულეტა 60), ფლავიო კონსეისაო, მაურო სილვა, მაკაი, ტურუ ფლორესი, ვიქტორ სანჩესი (ჯალმინია 60)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: პაბლო სანსი, სესარი, ფერონი, ჰელდერი
მსაჯი: პრადოს გარსია
11 000 მაყურებელი

### ოვიედო 3:0 ბარსელონა

1:0 დელი ვალდესი (32), 2:0 პომპეი (56), 3:0 დელი ვალდესი (81)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი (კორბო 84), ონოპკო, ბორისი, რუბენი (ივან ანია 80), პაულო ბენტუ (ხაიმე 74), პომპეი, ნადი, კეიტა, დელი ვალდესი, ლოსადა
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბარსელონა: ჰესპი, სერხი, რაიციგერი, დეუ (ზენდენი 52), ფ. დე ბური, ხავი, კოკუ (გვარდიოლა 52), ლიტმანენი, ფიგუ, რივალდო, დანი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ფიგუ, რუბენი, რაბარივონი, ივან ანია
მსაჯი: გარსია არანდა
15 000 მაყურებელი

### სარაგოსა 0:1 რეალი

0:1 რაული (85პ)
სარაგოსა: ხუანმი, ლანა (მარკოს ვალესი 86), პაკო ხემესი, სუნდგრენი, აგუადო, გარიტანო, არაგონი (ველისკა 86), ლ. ელგერა, იორდი, მილოშევიჩი, ხუანელე
მწვრთნელი: ხოსე ფრანსისკო როხო
რეალი: კასილიასი, ფერნანდო, მიჩელ სალგადო, ივან კამპო, კარანკა, ი. ელგერა, რედონდო, მაკმანამანი (ჯერემი 90), სავიო (ბალიჩი 78), მორიენტესი (ანელკა 60), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: ლ. ელგერა, რედონდო, მორიენტესი, ფერნანდო, კარანკა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
35 000 მაყურებელი

### სევილია 1:2 ვალენსია

0:1 მენდიეტა (60), 1:1 ხესული (78), 1:2 ზალაიეტა (92 ს.კ.)
სევილია: ოლსენი, ნანდო, პიბიჩი, მარჩენა, ექტორი, ცარტასი, იურიჩი, ანხელი (ფრანსისკო 56), ზალაიეტა, ვიქტორი (ხესული 62), ხუან კარლოსი (ოლივერა 65)
მწვრთნელი: ხუან ანტონიო ალვარესი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ფაგიანი (ბიორკლუნდი 62), ანგლომა, ჯუკიჩი, ალბელდა, ანგულო, ხერარდი, ფარინოსი, ხუან სანჩესი (მენდიეტა 55), კლაუდიო ლოპესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ანგლომა, ფაგიანი, ნანდო
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
20 000 მაყურებელი

### სოსიედადი 4:1 ბილბაო

0:1 პიკაბეა (34 ს.კ.), 1:1 არანსაბალი (35), 2:1 ხოხლოვი (50), 3:1, 4:1 დე პაულა (56, 90)
სოსიედადი: ალბერტო, პიკაბეა, არანსაბალი, ლოპეს რეკარტე (დე პაულა 46), კორინო (ფუენტესი 17), გურუჩაგა, ხოხლოვი, არამბურუ (დე პედრო 70), გომესი, იანკაუსკასი, სა პინტუ
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბილბაო: ლაფუენტე, ფელიპე, ლარაინსარი, ლარასაბალი, კარლოს გარსია, ლაკრუსი, ი. გერერო (იმასი 75), ურუტია (ხავი გონსალესი 87), ალკისა (ედუ ალონსო 55), ეჩეგერი, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
გაფრთხილება: სა პინტუ, იანკაუსკასი, ედუ ალონსო, ლაკრუსი, ფელიპე, გერერო, ლარასაბალი
გაძევება: ლარასაბალი (70)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
30 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 2:2 მალაგა

1:0 ვალერონი (4), 1:1 რუფეტე (35), 1:2 კატანია (50), 2:2 სოლარი (80)
ჰასელბაინკმა ვერ გაიტანა პენალტი (25, ააცილა)
ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, ტონი მუნიოსი (ლუკე 62), გასპარი (უგო ლეალი 67), სანტი, გამარა, სოლარი, ვალერონი (პაუნოვიჩი 70), ბარახა, კიკო ნარვაესი, ჰასელბაინკი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, როხასი (კიკი მუსამპა 83), როტეტა, ლარაინსარი, მოვილია, რუანო, რუფეტე, დე ლოს სანტოსი, დარიო სილვა (ლუკე 77), კატანია
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
გაფრთხილება: სოლარი, რუანო, ლარაინსარი, როტეტა, რუფეტე
გაძევება: ჰასელბაინკი (89)
მსაჯი: პერეს ბურული
45 000 მაყურებელი

### რასინგი 1:1 ვალიადოლიდი

1:0 სალვა (14), 1:1 ალბერტო (81)
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ტაისი, არსენო, მელბერგი, ვივარ დორადო, ესპინია (კოლსა 46), მუნიტისი, სალვა, ბესჩასტნიხი (მანხარინი 63), ამავისკა (რუშფელტი 85)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
ვალიადოლიდი: სესარი, გარსია კალვო, ტორეს გომესი, მარკოსი, სანტამარია (ეუსებიო 46, ვისკაინო 60), პენა, ჰაინცე, კამინერო (მარკესი 40), ვიქტორი, ალბერტო, როდრიგო
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: სალვა, ტორეს გომესი, არსენო
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
22 000 მაყურებელი

### სელტა 0:0 ნუმანსია

სელტა: პინტო, სერხიო (ჯოვანელა 46), ველასკო, ხუანფრანი, კასერესი, ჯოროვიჩი, მოსტოვოი, კარპინი, მაკელელე, ბენი მაკკარტი (ტურდო 46), გუსტავო ლოპესი (რევივო 66)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, ივან როჩა, სორია, მუნისი, კასტანიო (რივერა 92), მორანი, ნაგორე, ოხედა, დელგადო (რუბენ ნავარო 73), ინიაკი
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: მოსტოვოი, სორია, კასერესი, კასტანიო, ჯოროვიჩი
გაძევება: ჯოროვიჩი (84)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
21 000 მაყურებელი

### მალიორკა 2:0 ალავესი

1:0 ლორენი (19), 2:0 კარლოსი (84)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, არმანდო, ოლაიზოლა, სივიერო, იბაგასა, ლორენი, ენგონგა (ჩიჩი სოლერი 86), კარერასი, ეტოო (მარტი 89), დიეგო ტრისტანი (კარლოსი 71)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ალავესი: ერერა, ტორეს მესტრე, კონტრა, ტელიესი, კარმონა, პაბლო (მაგნო 58), ნან რივერა (ხავი მორენო 46), იბონ ბეგონია, დესიო, კოდრო (ხულიო სალინასი 64), ასტუდილიო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
გაფრთხილება: სივიერო, ტელიესი
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა
19 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 3:0 ბეტისი

1:0 ტამუდო (52), 2:0 ნანდო (69), 3:0 მანელი (91)
ესპანიოლი: კავალიერო, კრისტობალი, პოჩეტინიო, ნანდო, არტეაგა, გალკა, სერხიო (მაურო ნავასი 71), როხერი, მარტინ პოსე (მანელი 76), ტამუდო (სერანო 85), ველამასანი
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
ბეტისი: ტონი პრატსი, რივასი, მერინო, ოტერო, ვიდაკოვიჩი, იტო (გალვესი 75), ფილიპესკუ (კარპანი 58), კროსა, ოლი, ალფონსო, კუელიარი (დენილსონი 56)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ვიდაკოვიჩი, იტო, ფილიპესკუ, დენილსონი, ველამასანი, გალკა, მერინო
მსაჯი: მეია დავილა
19 200 მაყურებელი

**ფორტუნამ** ზურგი გვაქციაო, პენალტი უსამართლოდ დაინიშნაო, მეტოქე გუნდის მეკარემ ურთულესი ბურთები მოიგერიაო — ამგვარ რაღაცეებს ამბობდა ოვიედოში წაგებული მატჩის შემდეგ ლუის ვან გაალი. აბა, რა ქნას, ხომ არ იტყვის, სტაბილურად ვთამაშობთ, ყველა შეხვედრაში ერთნაირი ანგარიშით ვმარცხდებითო.

„ოვიედო“ 32-ე წუთზე დაწინაურდა. დელი ვალდესმა ფრანკ დე ბურს და ფრედერიკ დეუს გვერდი აუარა და თანაგუნდელთაგან დალალატებულ რუუდ ჰესპს პირველი გოლი შეუგდო. შემდეგ ბარსელონელთა კარში ის პენალტი დაინიშნა, რომელზეც ვან გაალმა თქვა, უსამართლო იყოო. ასე იყო თუ ისე, ცნობილმა ესპანელმა არბიტრმა ხოსე გარსია არანდამ შენიშნა, რომ დე ბურმა ხელით ითამაშა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან დელი ვალდესი მივიდა. პანამელის დარტყმული ძელს მოხვდა, მაგრამ სტუმრებს შვებით ამოსუნთქვა არ დასცალდათ — დამატებაზე რობერტო პომპეიმ იხეირა.

მეორე გაშვებული ბურთის შემდეგ კატალონიელები რამდენადმე გამოცოცხლდნენ, მაგრამ დანი გარსიას (მან მწვრთნელისგან შერისხული პატრიკ კლუივერტი შეცვალა) ორი სახიფათო შეტევის გარდა დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ. ვალდესმა კი თავისი მეორე გოლი მაინც გაიტანა. მან ცენტრიდან ჩაწოდებული გრძელი პასი მიიღო და კარში დაარტყა. ბურთი ამჯერადაც ძელს მოხვდა, ისევ ოვიედოელს დაუბრუნდა და — 3:0.

„სარაგოსა“ გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე უნდა ალზევებულიყო.

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 23 |
| სალვა (რასინგი) | 23 |
| კატანია (მალაგა) | 23 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |
| მაკაი (დეპორტივო) | 19 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
სიეტლი: პეიტონი (43 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), ვილიამსი (11), ბორელი (12), ლუისი (15), გრანტი (10 ქულა, 11 მოხსნა), ბეიკერი (16), ბერი (6), მაქსველი (4), პატერსონი (4)

როცა კაცი სიმაღლეში 2 მეტრი და 13 სანტიმეტრი ხარ, ძნელია, კალათბურთის გარდა სპორტის სხვა რომელიმე სახეობას მოერგო, მით უმეტეს, ევროპული რაგბის პირმშო ამერიკულ ფეხბურთს, რომელსაც ცოტა რამ თუ აქვს საერთო კალათბურთთან. წარუმატებელი გამოდგა „სიეტლ სუპერსონიქსის" ქართველი ცენტრის, ვოვა სტეფანიას დებიუტი ამერიკულ ფეხბურთში. მეტიც, მწვრთნელ პოლ ვესტფოლის გადამკიდემ ფეხიც იტკინა. ამ რამდენიმე დღის წინ ვესტფოლმა, ალბათ თავისი შეგირდების ჯანის და სისწრაფის გამოცდის მიზნით, გუნდს ამერიკული ფეხბურთი ათამაშა, რაც ამ საქმისთვის სრულიად გამოუცდელ და შეუფერებელ სტეფანიას მცირე ტრავმად დაუჯდა. შედეგად ვოვა „სიეტლის" თორმეტკაციანი შემადგენლობიდან ამოვარდა და ტრავმირებულთა სიაში გადაინაცვლა. ბოლო სამი თამაშია, იგი თავისი გუნდის სათადარიგოთა სკამზეც არ ზის. ოკეანის გაღმიდან იტყობინებიან, სერიოზული არაფერიაო, მაგრამ ქართველი შემადგენლობაში მხოლოდ პლეი ოფში თუ გამოჩნდება, ისიც თუ ვესტფოლი ამას საჭიროდ მიიჩნევს.

სტეფანიას ქომაგთათვის ამ მნიშვნელოვან მოვლენას „სიეტლის" ცხოვრებაში დიდი ცვლილებები არ შეუტანია. გუნდი დინებას მიჰყვება და პლეი ოფის მოლოდინში ძალებს ზოგავს. სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ მერამდენე შეხვედრაა, მწვრთნელი გუნდს ექსპერიმენტული სასტარტო ხუთეულით ათამაშებს და სამ ძირითადს დასვენების საშუალებას აძლევს. ამ წინსვლით ფრთაშესხმული სათადარიგოები — ვილიამსი, ბორელი და ლუისი, ცხადია, თავს არ ზოგავენ და ყოველ მატჩს დიდი ალმაფრენით ატარებენ, მაგრამ გუნდში ამ ტრიოს წონა არცთუ დიდია და მათმა სტაბილურმა თამაშმა ნაკლები გავლენა იქონია შედეგზე. აი, პარასკევს, 14 აპრილს, „სიეტლი" განადგურდა „დალასთან". თამამად შეიძლება ითქვას, ეს „სონიქსის" სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო წაგება იყო. „სიეტლის" ლიდერი გერი პეიტონი სამართლიანად ითვლება ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს უკანახაზელად, მაგრამ 14 აპრილს მისი უფხო გარჯის შემხედვარე კაცს ამის სათქმელად ენა არ მოუბრუნდებოდა.

რაც შეეხება მეტოქეს, „დალასი" იმ დღეს პირდაპირ დაფრინავდა. მასპინძლებმა სულ იოლად გადაურბინეს პეიტონის იმედად მყოფ სტუმრებს. სტატისტიკა ყველაფერზე ნათლად მეტყველებს: „დალასი" პირველი მეოთხედის შემდეგ 35:23 იგებდა, ტაიმის შემდეგ — 73:50. გავიდა კიდევ ერთი მეოთხედი და სხვაობამ 32 ქულას უწია — 105:73. სტუმრები მხოლოდ ბოლო მეოთხედში გამოცოცხლდნენ და მოახერხეს 18 ქულის გაქვითვა. ისიც ალბათ იმის წყალობით, რომ მასპინძელთა მწვრთნელმა „სონიქსი" დაინდო და ლიდერები — ფინლი, სებალოსი და ნოვიცკი — ბოლო თორმეტწუთეულში სულ არ გამოუყვანია. აღსანიშნავია, რომ „მავერიკსს" ამ მატჩში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, 229-სანტიმეტრიანი ცენტრი შონ ბრედლი აკლდა. აყლაყუდა ბრედლი წინა შეხვედრაში მასზე ერთი თავით დაბალ ჰიუსტონელ ვოლტ ვილიამსს ეჩხუბა და შედეგად 10 ათასი დოლარით და ერთი თამაშის გამოტოვებით დაჯარიმდა.

ეს „დალასისთვის" სეზონში 37-ე მოგებაა, ამდენისთვის კი „მავერიკსს" ბოლო ათი სეზონია არ მიუღწევია.

სრულიად განსხვავებული სცენარით წარიმართა „სიეტლის" მეორე შეხვედრა. აქ „სონიქსმა" დამაჯერებლად მოუგო „ჰიუსტონს", რომელსაც დალასელ ბრედლისთან ნაჩხუბარი ვოლტ ვილიამსი აკლდა.

გერი პეიტონს არ სჩვევია ზედიზედ ორი შეხვედრის ჩაგდება და ეს „ჰიუსტონთან" მატჩმაც ცხადყო. პეიტონთან მებრძოლი მასპინძლები უსუსური ბალღებივით გამოიყურებოდნენ. წინა თამაშში ჩაფლავებულმა „სიეტლის" ლიდერმა ამჯერად თავი არ დაზოგა, მწვრთნელს სთხოვა, მთელი თამაში ნუ გამომცვლიო და 48 წუთის განმავლობაში სასტიკად ააოხრა მასპინძელთა დაცვა — 43 ქულა სარეკორდოა პეიტონის 10-წლიან კარიერაში.

14 აპრილი

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 121:114 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ**

ლეიკერსი: ონილი (41 ქულა, 16 მოხსნა), ბრაიანატი (31), რაისი (24)

საკრამენტო: ვებერი (36 ქულა, 10 მოხსნა), ანდერსონი (22), სტოიაკოვიჩი (20)

**ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ 94:104 ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ**

(ძირითადი დრო 80:80)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (27 ქულა, 17 მოხსნა), დიკერსონი (22)

მინესოტა: გარნეტი (20 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), ბრენდონი (20 ქულა, 10 პასი)

**ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 112:88 ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ**

ფინიქსი: როჯერსი (22 ქულა, 11 მოხსნა)

კლიპერსი: ნესბი (21)

**ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ 105:97 ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘ**

დენვერი: ლაფრენცი (23 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), ვან ექსელი (22)

გოლდენ სტეიტი: ბლეილოკი (21)

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 86:71 ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ**

ტორონტო: კარტერი (34)

ნიუ იორკი: იუინგი (16)

**ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ 106:109 ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ**

(ძირითადი დრო 93:93)

მილუოკი: რობინსონი (38), ალენი (26)

შარლოტი: ჯონსი (29), ვესლი (24)

**ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 101:105 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ**

მაიამი: მურნინგი (28), მაშბურნი (19)

ინდიანა: მილერი (26), როუზი (22)

**ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 88:96 ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ**

ნიუ ჯერსი: ნიუმენი (27), ვან ჰორნი (25 ქულა, 17 მოხსნა)

ორლანდო: არმსტრონგი (23)



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლეიკერსი — მინესოტა. შაკილ ონილი წლეულს უბადლოა

**ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 92:104 ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ**

ატლანტა: ტერი (20)

ფილადელფია: აივერსონი (27)

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 106:91 ᲩᲘᲙᲐᲒᲝ**

ბოსტონი: ფორტსონი (21), პირსი (20)

ჩიკაგო: ბრენდი (18)

რეგულარული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. გუნდებს სულ თითებზე ჩამოსათვლელი თამაში რჩებათ. ამიტომაც ყველას სურს, ეს ექვსთვიანი მომქანცველი მარათონი კარგად დაამთავროს. ერთიორად იმატა დაძაბულმა თამაშებმაც.

„მას შემდეგ, რაც მეჯიქი წავიდა, „ლეიკერსი" ასეთი ძლიერი არ ყოფილა. ჩვენი მიზანი მხოლოდ ერთია — ჩემპიონობა. ყველა სხვა შედეგს, ამხელა ჯაფის ფუჭად ჩავლად მივიჩნევთ" — ამბობს ერთ დროს ლეგენდარული ლეიკერსელი, ახლა კი ამ კლუბის გენერალური მენეჯერი ჯერი ვესტი. ამ სეზონში „ლეიკერსი" ყველა დანარჩენ მეტოქეზე ერთი თავით მაღლა დგას. ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტებიც, ცხადია, ფილ ჯეკსონის ბიჭები არიან. ლოსანჯელესელთა იმედები უპირველესად გოლიათ შაკილ ონილს ემყარება. იგი წლეულს საუკეთესოა და ამას ცოტა თუ უარყოფს. „საკრამენტოსთან" შეხვედრამდე ონილს რამდენიმე მატჩი გამოეტოვებინა მცირე ტრავმის გამო, მაგრამ ამ თამაშში მან ეს არ შეიმჩნია და პირწმინდად დაჩაგრა მეტოქის ცენტრი, ერთ დროს ლეიკერსელი ვლადე დივაცი. სპეციალისტებს ერთი კითხვა აწუხებთ — მოიძებნება კი ლიგაში ვინმე ისეთი, ვინც ამ „მარტორქას" გააჩერებს.

დასავლეთ კონფერენციისგან განსხვავებით, აღმოსავლეთში ამ ბოლო ხანებამდე მიმდინარეობდა დაძაბული ბრძოლა პირველობისთვის და ყველაფერი მხოლოდ მას შემდეგ გაირკვა, რაც „ინდიანამ" მთავარი მეტოქე — „მაიამი" მისსავე მოედანზე დასცა. „მაიამის" მარცხი შესაძლოა იმანაც განაპირობა, რომ მისმა ლიდერმა ალონზო მურნინგმა სასტარტო ხუთეულში არ ითამაშა. იგი მწვრთნელმა პატ რაილიმ დასაჯა, რადგან დილის შეკრება გამოტოვა. რაილი უდისციპლინობას ძეხორციელს არ აპატიებს და მურნინგიც მხოლოდ მეორე მეოთხედში გამოჩნდა მოედანზე. „ზომ" (მურნინგის მეტსახელია) მაინც რიგიანად ითამაშა და 28 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ რეჯი მილერის ზუსტ, შორეულ ტყორცნებთან მასპინძლებმა ვერაფერი გააწყვეს.

„შარლოტთან" ოვერტაიმში დამარცხდა პლეი ოფში მოხვედრისთვის გაშმაგებით მებრძოლი „მილუოკი". მილუოკელები მეტოქეთა ლიდერმა ედი ჯონსმა დაღუპა, რომელმაც მათ ერთბაშად შვიდი სამქულიანი ჩაუგდო, აქედან მეექვსე ძირითადი დროის დამთავრებამდე 23 წამით ადრე და მატჩი ჯერ ოვერტაიმში გადაიყვანა, შემდეგ კი თავისიანებს მეტოქე დაამარცხებინა.

...როცა „მილუოკი" „შარლოტთან" ჯახირობდა, მისი კონკურენტი „ორლანდო" „ნიუ ჯერსის" ამარცხებდა სტუმრად.

15 აპრილი

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ 116:120 ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ**

(ძირითადი დრო 110:110)

ვაშინგტონი: რიჩმონდი (21), ჰოვარდი (21)

მილუოკი: კასელი (34), რობინსონი (31 ქულა, 11 მოხსნა), ალენი (29)

**ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ 106:96 ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ**

კლივლენდი: მილერი (18)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21)

**ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ 100:94 ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ**

ფილადელფია: აივერსონი (30)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (15)

**ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ 106:83 ᲘᲣᲢᲐ**

სან ანტონიო: რობინსონი (19 ქულა, 12 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (23 ქულა, 11 მოხსნა)

**ᲙᲚᲘᲞᲔᲠᲡᲘ 114:115 ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ**

(ძირითადი დრო 98:98)

კლიპერსი: ანდერსონი (31), ნესბი (25)

დენვერი: ვან ექსელი (44), მაკდაიესი (30 ქულა, 21 მოხსნა)

მეორე დღეს მილუოკელებმა არანაკლები სტრესი გადაიტანეს. „ვაშინგტონთან" მატჩის მიწურულიც თითქმის ისე წარიმართა, როგორც „შარლოტთან" თამაშის ფინალი. „ვაშინგტონის" ლიდერმა მიჩ რიჩმონდმა ძირითადი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და „მილუოკი" ორ დღეში მეორე ოვერტაიმისთვის გაწირა. რიჩმონდი დამატებით დროშიც კარგად ირჯებოდა, მაგრამ მისმა თავგამოდებამ მილუოკელთა შემართება ვერ გადაწონა. „მილუოკის" ბედად, კონკურენტი „ორლანდო" ერთი დღის შემდეგ მაიამიში დამარცხდა.

ჩემპიონმა „სან ანტონიომ", მიუხედავად იმისა რომ ლიდერი ტიმ დანკანი არ ჰყავდა, სოლტლეიკ სიტიში იქაური „იუტა ჯაზი" გაამწარა, მაგრამ მაინც ვერ გადაუსწრო და დაკარგა შუა დასავლეთის დივიზიონში პირველი ადგილი, რაც მას ავტომატურად უბევებდა პლეი ოფში მეორე ნომრად განთესვას „ლეიკერსის" შემდეგ. ახლა ჩემპიონები იძულებულები არიან, დასავლეთში მეხუთე, უკეთეს შემთხვევაში კი მეოთხე ნომრად განთესვას დასჯერდნენ.

16 აპრილი

**ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 95:84 ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ**

მაიამი: მურნინგი (18)

ორლანდო: არმსტრონგი (16)

**ᲑᲝᲡᲢᲝᲜᲘ 102:105 ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ**

ბოსტონი: უოლკერი (20 ქულა, 11 მოხსნა)

შარლოტი: ჯონსი (25)

**ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 82:96 ᲘᲣᲢᲐ**

ფინიქსი: ჰარდევეი (16)

იუტა: მელოუნი (32 ქულა, 15 მოხსნა)

**ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 101:112 ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (26), კარი (23)

ინდიანა: მილერი (21), როუზი (20)

**ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 104:101 ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ**

ატლანტა: ჯეკსონი (17)

კლივლენდი: კემპი (20)

**ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘ 101:95 ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ**

ლეიკერსი: ონილი (33 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი), ბრაიანტი (25 ქულა, 10 პასი)

მინესოტა: ბრენდონი (18)

**ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 85:84 ᲩᲘᲙᲐᲒᲝ**

ტორონტო: კარტერი (25)

ჩიკაგო: ბერნდი (24)

**ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ 102:95 ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ**

პორტლენდი: ვოლესი (18)

საკრამენტო: ვებერი (21)

**ᲓᲐᲚᲐᲡᲘ 114:106 ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ**

დალასი: ფინლი (25)

ვანკუვერი: ჰარინგტონი (27)

„იუტა ჯაზის" ბებერმა ხარმა კარლ მელოუნმა კარიერაში 31 ათასქულიან ზღვარს გადააბიჯა და უილტ ჩემბერლენის და ქარიმ აბდულ ჯაბარის შემდეგ მესამე კაცი შეიქნა, ვისაც ეს მოუხერხებია.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

მერაბ რატიშვილი
სალონიკიდან



# თასი ჯერჯერობით ყველასია

## სიძულვილს, სიყვარულისა არ იყოს, რას გაუგებ?!

ამ დღეებში სალონიკში ჩამოსული ორ აქაურს მაინც თუ გამოელაპარაკა, უმალ მიხვდება: ქალაქი „ოთხთა ფინალის“ მოლოდინით ცხოვრობს. მარტო კალათბურთის გულშემატკივარმა კი არა, უკლებლივ ყველამ იცის, რას ელის მათი ქალაქი.

„ოთხთა ფინალი“ გაიმართება სალონიკის პაოკ-ის კუთვნილ დარბაზში, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ გაიხსნა და ჯერ სახელიც არა აქვს. მას პირობითად „პილეას“ უწოდებენ. პილეა ის უბანია, სადაც განთავსებულია ეს არცთუ ისე დიდი (8 ათას მაყურებელს იტევს) დარბაზი. ბოლო სარემონტო სამუშაოები აქ ორიოდ დღის წინ დასრულდა — საბერძნეთის თასის ნახევარფინალში, ადგილობრივ „ირაკლისსა“ და ათენის „პანათინაიკოსს“ შორის რომ გაიმართა, გულშემატკივრებმა გვარიანად მილეწ-მოლეწეს აქაურობა და ეს ახალთახალი ნაგებობა ხელახლა შესაკეთებელი გახადეს.

ცხადია, „ოთხთა ფინალის“ ყველა მონაწილე გუნდი რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა სალონიკში. მათ პოლიციის გაძლიერებული ესკორტი იცავს. სასტუმროებთან, სადაც გუნდები ცხოვრობენ, სადღელამისო მორიგეობაა დაწესებული, ვარჯიშებზე მუქმინიანი ავტობუსებით დაატარებენ პოლიციის ხუთი მსუბუქი ავტომანქანის თანხლებით. შაბათ-კვირას დარბაზში, გუნდების ვარჯიშზე არ შეგვიშვეს, მხოლოდ დღეს, ორშაბათს, დაგვრთეს ამის ნება. ოღონდ ვაი, ასეთ დასწრებას: ფარის უკან განთავსებულ პრესის ტრიბუნაზე ვზივარ და მოედანს ახოლოს ვერ ვეკარები: პოლიციას მკვრივი კორდონი ალუმართავს. ამ სტრიქონებს რომ ვწერ, სტამბოლის „ეფესი“ ვარჯიშობს და აქაური უსაფრთხოების სამსახურების ყურადღებაც გაათმაგებულია.

რაკი უშუალოდ „ოთხთა ფინალის“ მონაწილეებთან ურთიერთობის საშუალება შეზღუდული იყო, გადავწყვიტე, ხალხში გავსულიყავი და იმ განწყობასაც მოგახსენებთ, რაც აქაურ და ათენელ გულშემატკივრებს შორის სუფევს. ამისთვის სალონიკის ცენტრში მდებარე დემოკრატიის მოედანი ამოვირჩიე და, კაფედან-კაფეში, ბარიდან-ბარში, პიცერიიდან-პიცერიაში სიარულის შემდეგ ეს ინფორმაცია შევაგროვე.

— სულ არ გვაინტერესებს „ოთხთა ფინალი“. მატჩებს კი დავესწრებით, მაგრამ ქომაგობით არავის ვუქომაგებთ. ჩვენი გუნდი იქ ვერ მოხვდა, ამიტომაც ნერვების წყვეტას არ ვაპირებთ — ეს სალონიკის პაოკ-ის ზომიერ გულშემატკივართა აზრია.

— მთავარია, „პანათინაიკოსმა“ არ მოიგოს, იმიტომ, რომ იგი ყველაზე ცუდი გუნდია ამქვეყნად „ოლიმპიაკოსის“ შემდეგ. ან კი რისი მომგებები არიან ეგ „მწვანე ნეხვები“ („პანათინაიკოსის“ ფორმა მწვანე ფერისაა — მ.რ), კალათბურთის თამაში არ იციან. ხომ ჩამოეთრნენ სალონიკში საბერძნეთის თასზე და აქედან ნაცემარები წავიდნენ! იგივე მოუვათ ახლაც — ეს ზოგადად სალონიკელი გულშემატკივრის გულისთქმაა, რომელსაც დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდ დაპირისპირებად ნებისმიერი ათენური და სალონიკური გუნდების შერკინება მიაჩნია. მეტი მისთვის არაფერი არსებობს.

— „მაკაბიმ“ ჩვენი გუნდი პლეი ოფიდან გააგდო და გაგვაბრაზა, მაგრამ თუ ფინალში „პანათინაიკოსს“ შეხვდება, აუცილებლად მას დავუჭერთ მხარს. ყველაზე კარგი იქნება, თუკი ევროლიგას „ბარსელონა“ მოიგებს. იქ სალონიკელი ბიჭი, ეფტიმიოს რენციასი თამაშობს, რომელმაც კარიერა პაოკ-ში დაიწყო — სალონიკის პაოკის ამგვარ გულშემატკივართან ურთიერთობა არავისთვისაა საშიში, თვით მაშინაც კი, როცა მის გუნდს წაგებული აქვს.

— დადგნენ ეს „თურქები“ და რენციასს უქომაგონ, სხვა რა დარჩენიათ! თან იმაზე იოცნებონ, მათი ნაგავი გუნდი როდის გავა „ოთხთა ფინალში“. პაოკი მაშინ მიაღწევს ამას, როცა „ოლიმპიაკოსი“ ნორმალური გუნდი გახდება. ეს კი არასდროს მოხდება. „პანათინაიკოსი“ თასს ათენში ჩაიტანს — „პანათინაიკოსის“ მხარდამჭერების ლოგიკა მართლაც რომ რკინისებურია.

ცხადია, გაინტერესებთ, რატომ ეძახიან პაოკ-ს „თურქებს“. მოგეხსენებათ, პაოკი სტამბოლიდან სალონიკში დაბრუნებულმა ბერძნებმა დააფუძნეს, ჰოდა, მეტსახელიც აქედან მოდის.

აი, ასეთ საუბრებს მოისმენთ სალონიკის დემოკრატიის მოედანზე. ცხადია, სადაც დემოკრატიაა, იქ ნებისმიერ აზრს უნდა ჰქონდეს არსებობის უფლება. ამიტომაც გამოვიტანე ისინი თქვენს სამსჯავროზე. „ეფესის“, „ბარსელონას“ და „მაკაბის“ გულშემატკივრები ჯერ არსად ჩანან, მათ დღესხვალ ელიან. ასევე სამშაბათს ელიან „პანათინაიკოსის“ ქომაგთა ყველაზე გადარეულ ნაწილს, ამისთვის პოლიცია საგანგებო ზომების მიღებას აპირებს.

ახლა კი, უფრო ღრმად შევიხედოთ „ოთხთა ფინალის“ კულისებში და შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოთ გუნდებში მიმდინარე ამბები.

### პანათინაიკოსი

„გახსოვდეთ ბერსი“! — ამ სათაურით გამოვიდა ბერძნული სპორტული გაზეთის „სპორტაიმის“ საგანგებოდ „ოთხთა ფინალისადმი“ მიძღვნილი ჩანართი. „ბერსი“ პარიზის დარბაზია, სადაც „პანათინაიკოსმა“ 1996 წელს პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოიგო ევროლიგა (ჩემპიონთა თასი). იმ ფინალში ათენელებმა „ბარსელონას“ სძლიეს — 67:66. გაზეთი ამ ფინალის გამეორებას ელის და, ცხადია, თვისტომ კალათბურთელებს მოუწოდებს, აბა, თქვენ იცით, კიდევ ერთხელ დაამარცხეთ „ბარსელონაო“. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის „პანათინაიკოსიდან“ დღევანდელ შემადგენლობაში მხოლოდ ფრაგისკოს ალვერტისია დარჩენილი, „ბარსელონას“ კი მწვრთნელ აიტია გარსია რენესესის გარდა ყველა შემოეფანტა.

„ეფესის“ წინააღმდეგ ნახევარფინალში „პანაითნაიკოსი“ უდავო ფავორიტადაა მიჩნეული და, ალბათ, სავსებით სამართლიანადაც. მიუხედავად ამისა, ათენელი კალათბურთელები და მწვრთნელები ფრთხილობენ და არავითარ დაპირებებს არ იძლევიან. „პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი შეფიქრიანებულია. ძირითადი გამთამაშებელი გიორგოს კალაიძისი დამტვრეულია და მისი შემცვლელის გამონახვა მოუწევს. ვარიანტი ორია: ან იტალიელი ნანდო ჯენტილე ან ებრაელი ოდედ კატაში. პირველი ბოლომდე ვერ გამოკეთდა ტრავმის შემდეგ, მეორე კი სათანადო ფორმაში ვერ არის. არადა, თუ „ეფესიდან“ საფრთხეა მოსალოდნელი, პირველ რიგში გამთამაშებლის პოზიციიდან — ხორვატი დამირ მულაომეროვიჩი ათენელებს ბევრ პრობლემას შეუქმნის. ობრადოვიჩი, ალბათ, უფრო კატაშს ათამაშებს, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმება „პანათინაიკოსის“ ფორვარდი ჯონი როჯერსი: „მესმის, რომ ობრადოვიჩს რთული [illegible] გადაწყვეტა მოუწევს. [illegible] ლში კატაშის დაყენება გაუმართლებლად მიმაჩნია. ოდედი ძალიან კარგი კალათბურთელია, მაგრამ იგი ინდივიდუალურადაა ძლიერი. „ეფესთან“ კი აუცილებლად გუნდურად უნდა ვითამაშოთ, რაც კატაშს ნაკლებად შეუძლია.“ საერთოდ, როჯერსი მეტად პესიმისტურადაა განწყობილი და თავის გუნდის წარმატების ნაკლებად სჯერა: „ძალიან მძიმე და გადატვირთული სეზონი გვაქვს. ბევრს ვთამაშობთ და უკვე ზომაზე მეტად გადავიღალეთ. ვშიშობ, ამან „ოთხთა ფინალშიც“ არ იჩინოს თავი. თანაც, კალაიძისი არ გვეყოლება. ამის გამო თამაშის ორგანიზება გაგვიჭირდება. ჩემი აზრით, თასს „მაკაბი“ მოიგებს, იგი ტურნირის ფავორიტად მიმაჩნია.“

ნანდო ჯენტილე უფრო ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილდა: „ჯერჯერობით თასი ყველასია, ანუ მისი დაუფლების შანსი ყველას თანაბარი გვაქვს. ამ სეზონში ძალიან ბევრი ვიშრომეთ, რაც, იმედი მაქვს, დაგვიფასდება.“

ბერძნულმა პრესა-ტელევიზიამ კი საბერძნეთის და თურქეთის გუნდების დაპირისპირება უმალ ისტორიულ-პოლიტიკურ სპექტრში გადაიტანა და „პანათინაიკოსს“ მოუწოდა: „ეფესთან“ თქვენი მატჩი იგივეა, რაც საბერძნეთის აჯანყება ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ.“

დღეს „პანათინაიკოსის“ იუგოსლავიელი ლიდერი დეიან ბოდიროგა. არადა, მისგან ყველა რაღაც განსაკუთრებულს ელის. მას ბევრი საქმე ექნება: ქულების დაგროვების გარდა ეფესელთა სნაიპერის იბრაჰიმ ქუთლუაის დაკეტვაც მოუწევს. სიმართლე ითქვას, თუკი ბოდიროგამ ეს მოახერხა, „პანათინაიკოსი“ უპრობლემოდ გავა ფინალში.

„პანათინაიკოსს“ ერთადერთი ევროტიტული აქვს — 1996 წლის ევროლიგა მოიგო. 1994 და 1995 წლებში ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ ნახევარფინალებში ორჯერვე მოსისხლე „ოლიმპიაკოსმა“ დაამარცხა. ათენელთა

## მაკაბი

### (თელ ავივი, ისრაელი)

მწვრთნელი: პინი გერშონი (ისრაელი)

| I ჯგუფური ეტაპი /6-4/ | |
|---|---|
| ვილერბანი | 73:61, 65:70 |
| ოლიმპიაკოსი | 54:65, 63:65 |
| ულქერი | 89:74, 79:85 |
| ვარეზე | 87:66, 87:79 |
| პივოვარნა | 84:62, 92:87 |

| II ჯგუფური ეტაპი /6-0/ | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი | 74:60, 67:59 |
| კახა სან ფერნანდო | 66:54, 75:51 |
| პო ორტეზი | 65:55, 62:57 |

| მერვედფინალი | |
|---|---|
| პაოკ | 77:62, 55:67, 78:62 |

| მეოთხედფინალი | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 62:65, 80:73, 79:64 |

| მოთამაშე | ეროვნება | დაბ.წელი | ამპლუა | სიმაღლე | თამაში | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნათანიელ ჰაფმანი | აშშ | 1975 | ცენტრი | 216 | 22 | 722 | 121/224 | 7/17 | 123/154 | 210 | 39 | 25 | 65 | 386 | 17,5 |
| არიელ მაკდონალდი | აშშ-სლოვენია | 1972 | უკანა ხაზი | 191 | 22 | 767 | 86/138 | 20/52 | 70/91 | 46 | 84 | 50 | 55 | 302 | 13,7 |
| დორონ შეფერი | ისრაელი | 1972 | უკანა ხაზი | 195 | 22 | 623 | 63/119 | 27/70 | 34/51 | 75 | 41 | 38 | 71 | 241 | 11,0 |
| ნადავ ჰენფელდი | ისრაელი | 1968 | ფორვარდი | 201 | 22 | 596 | 63/131 | 0/0 | 21/34 | 69 | 59 | 35 | 63 | 147 | 6,7 |
| გურ შელეფი | ისრაელი | 1974 | ფორვარდი | 201 | 21 | 348 | 46/78 | 4/8 | 33/51 | 52 | 23 | 14 | 29 | 137 | 6,5 |
| მარკ ბრისკერი | აშშ-ისრაელი | 1969 | უკანა ხაზი | 195 | 21 | 389 | 24/52 | 14/66 | 19/30 | 29 | 14 | 15 | 49 | 109 | 5,2 |
| დერიკ შარფი | აშშ-ისრაელი | 1971 | უკანა ხაზი | 183 | 21 | 366 | 15/25 | 20/53 | 16/20 | 19 | 13 | 24 | 45 | 106 | 5,0 |
| დორონ ჯამჩი | ისრაელი | 1961 | უკანა ხაზი | 198 | 15 | 203 | 8/14 | 16/39 | 8/10 | 9 | 8 | 3 | 27 | 72 | 4,8 |
| დალას კომეგისი | აშშ | 1964 | ფორვარდი | 206 | 21 | 364 | 32/57 | 1/4 | 33/41 | 79 | 18 | 19 | 50 | 100 | 4,8 |
| კონსტანტინ პოპა | რუმინეთი | 1971 | ცენტრი | 222 | 6 | 25 | 6/11 | 0/0 | 1/3 | 6 | 0 | 0 | 6 | 13 | 2,2 |

## პანათინაიკოსი

### (ათენი, საბერძნეთი)

მწვრთნელი: ჟელკო ობრადოვიჩი (იუგოსლავია)

| I ჯგუფური ეტაპი /9-1/ | |
|---|---|
| ოლიმპია | 100:80, 86:71 |
| რეალი | 96:69, 66:63 |
| ალბა | 70:72, 73:54 |
| თოფამი | 79:74, 64:59 |
| ჟალგირისი | 86:82, 82:66 |

| II ჯგუფური ეტაპი /4-2/ | |
|---|---|
| პაოკ | 71:75, 77:69 |
| შოლე | 85:50, 68:81 |
| ცრვენა ზვეზდა | 67:58, 76:61 |

| მერვედფინალი | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი | 65:59, 64:77, 78:61 |

| მეოთხედფინალი | |
|---|---|
| ციბონა | 73:62, 69:63 |

| მოთამაშე | ეროვნება | დაბ.წელი | ამპლუა | სიმაღლე | თამაში | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეიან ბოდიროგა | იუგოსლავია | 1973 | ფორვარდი | 204 | 20 | 694 | 109/175 | 7/20 | 109/147 | 98 | 69 | 17 | 36 | 348 | 17,4 |
| ჟელკო რებრაჩა | იუგოსლავია | 1972 | ცენტრი | 211 | 21 | 556 | 103/163 | 0/0 | 70/86 | 120 | 16 | 15 | 61 | 276 | 13,1 |
| ჯონი როჯერსი | აშშ | 1963 | ფორვარდი | 208 | 20 | 644 | 39/81 | 33/80 | 32/40 | 77 | 22 | 10 | 43 | 209 | 10,5 |
| ოდედ კატაში | ისრაელი | 1974 | უკანა ხაზი | 193 | 19 | 472 | 28/69 | 31/73 | 43/53 | 42 | 58 | 26 | 43 | 192 | 10,1 |
| ანტონის ფოცისი | საბერძნეთი | 1981 | ფორვარდი | 204 | 17 | 326 | 40/67 | 12/23 | 24/35 | 47 | 10 | 9 | 42 | 140 | 8,2 |
| ფრაგისკოს ალვერტისი | საბერძნეთი | 1974 | ფორვარდი | 206 | 8 | 162 | 11/18 | 11/26 | 9/10 | 12 | 7 | 4 | 20 | 64 | 8,0 |
| პატ ბერკი | ირლანდია | 1973 | ცენტრი | 208 | 19 | 335 | 50/79 | 0/0 | 22/36 | 83 | 11 | 10 | 37 | 122 | 6,4 |
| კონსტანტინოს მაგლოსი | საბერძნეთი | 1975 | ფორვარდი | 208 | 2 | 28 | 5/13 | 0/0 | 1/6 | 12 | 0 | 1 | 5 | 11 | 5,5 |
| მიხაელ კოხი | გერმანია | 1966 | უკანა ხაზი | 192 | 19 | 366 | 13/21 | 23/59 | 4/8 | 28 | 16 | 12 | 39 | 99 | 5,2 |
| ფერდინანდო ჯენტილე | იტალია | 1967 | უკანა ხაზი | 193 | 6 | 130 | 1/4 | 3/14 | 13/18 | 8 | 13 | 6 | 15 | 24 | 4,0 |
| გიორგოს კარაგუტისი | საბერძნეთი | 1976 | ცენტრი | 207 | 2 | 24 | 4/6 | 0/1 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 4 | 8 | 4,0 |
| გიორგოს კალაიძისი | საბერძნეთი | 1976 | უკანა ხაზი | 195 | 19 | 312 | 14/31 | 8/19 | 14/18 | 31 | 27 | 21 | 52 | 66 | 3,5 |
| ნიკოს ბუდურისი | საბერძნეთი | 1971 | უკანა ხაზი | 193 | 13 | 155 | 5/8 | 6/11 | 8/10 | 10 | 15 | 6 | 20 | 36 | 2,8 |

მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩს სამჯერ გაუყვანია გუნდები ევროლიგის ფინალში და სამჯერვე გაუმარჯვია (1992 — ბელგრადის „პარტიზანი“, 1994 — ბადალონას „ხუვენტუდი“, 1995 — მადრიდის „რეალი“). 26 წლის პანათინაიკოსელ ფრაგისკოს ალვერტისს კი „ოთხთა ფინალში“ თამაშის ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს (იგულისხმება ის კალათბურთელები, რომელნიც წლევანდელ „ოთხთა ფინალში“ იასპარეზებენ): 1994-95-96 წლებში მან 6 მატჩი ითამაშა.

ჟელკო ობრადოვიჩმა დაასახელა ის ათი კალათბურთელი, რომლებიც ნახევარფინალში „ეფესის“ წინააღმდეგ ითამაშებენ: ფრაგისკოს ალვერტისი, მიხაელ კოხი, ჯონი როჯერსი, ანტონის ფოცისი, ნანდო ჯენტილე, დეიან ბოდიროგა, ნიკოს ბუდურისი, ჟელკო რებრაჩა, პატ ბერკი, ოდედ კატაში.

## ეფესი

„ეფესი“ სასტარტო ხუთეულის გუნდია, საკმარისია, აქედან ერთი კაცი გამოთიშო, რომ უკვე უჭირს, ორი — სერიოზული პრობლემები ექმნება, სამი — უკვე კატასტროფაა. გამთამაშებელ დამირ მულაომეროვიჩზე ძალიან ბევრია დამოკიდებული: მან უნდა აათამაშოს გუნდი და შეტევაში წარუძღვეს. სტამბოლელთა მაღლებს — ჰუსეინ ბეშოქს და იუგოსლაველ პრედრაგ დრობნიაკს სერიოზული ოპონენტი ეყოლებათ — „პანათინაიკოსის“ იუგოსლაველი ცენტრი ჟელკო რებრაჩა. სხვათა შორის, რებრაჩა და დრობნიაკი 1998 წელს ერთად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, მაშინ ეფესელი „პანათინაიკოსის“ დუბლიორი იყო. ასე რომ, რებრაჩაზე კარგად დრობნიაკის ავანჩავანი იქნებ არც არავინ იცის. თუმც მარტო იუგოსლაველი რომ იყოს... პანათინაიკოსელთა მაღლები — ჯონი როჯერსი და პატ ბერკი დაცვაში საკმაოდ რიგიანად ირჯებიან, ამდენად ბეშოქ-დრობნიაკის წყვილს დიდი ოფლისღვრა ელის.

ჰიდაიეთ თურქოღლუსაც შეუძლია გადამწყვეტ მომენტში ლიდერობა, თანაც უნივერსალიზმი (ცენტრის გარდა ყველგან ძალუძს თამაში) მას მეტოქისთვის მეტად მოუხელთებელს ხდის. არ არის გამორიცხული, მისი მეურვეობა ბოდიროგამ იკისროს, მაშინ იბრაჰიმ ქუთლუაის დაჭერა, სავარაუდოდ, ალვერტისს მოუწევს.

„ეფესი“ პირველი თურქული გუნდია, რომელმაც ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ გააღწია, ამავე დროს ევროტიტულის ერთადერთი მფლობელია — 1998 წელს კორაჩის თასი მოიპოვა.

არვინ იცის, რას მოიგებს „ეფესი“ წლევანდელ „ოთხთა ფინალში“, მაგრამ საინფორმაციო ომი უკვე ყველას რომ მოუგო, ფაქტია: კლუბის მესვეურებმა და თურქმა ჟურნალისტებმა უხვად ჩამოარიგეს „ეფესის“ნაირგვარი ბუკლეტ-ცნობარები, აგრეთვე საკალათბურთო გაზეთ „ფანატიკ ბასკეტის“ წლევანდელი ევროლიგისადმი მიძღვნილი საგანგებო გამოცემა, რომელიც, ცხადია, ფერადია და ძალიან მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი.

„ეფესის“ 34 წლის მწვრთნელმა ერგინ ათამანმა დაასახელა თავისი გუნდის სანახევარფინალო შემადგენლობა: დამირ მულაომეროვიჩი, ჰიდაიეთ თურქოღლუ, ომერ ონანი, ბორა სანჯარი, არდა ვექილოღლუ, იბრაჰიმ ქუთლუაი, ნედიმ დალი, ჰუსეინ ბეშოქი, რესათ ფირინჯიოღლუ (იგივე რიკი ვინსლოუ), პრედრაგ დრობნიაკი.

## მაკაბი

თელ ავივის გუნდი 11 წლის შემდეგ გავიდა ევროლიგის „ოთხთა ფინალში“. 1989 წელს ფინალი სპლიტის „იუგოპლასტიკასთან“ წააგო, ერთი წლით ადრე კი მილანის „ტრეისერს“ გაატანა ჩემპიონთა თასი. „მაკაბის“ 80-იან წლებში კიდევ ორი ფინალი აქვს დათმობილი (1980 — მადრიდის „რეალთან“, 1982 — იტალიის „კანტუსთან“). სამაგიეროდ, 1977 და 1981 წლებში ჩემპიონთა თასსს დაეუფლა: ფინალი ორჯერვე იტალიელებს მოუგო: პირველად — „ვარეზეს“, მეორედ — ბოლონიის „კნორს“ (დღევანდელი „კინდერი“). „მაკაბის“ იმდროინდელი წარმატებები პირდაპირ იყო დაკავშირებული ლეგენდარული ებრაელი კალათბურთელის, მიკი ბერკოვიჩის სახელთან. თუმც იმ დიდი „მაკაბიდან“ დღევანდელ გუნდშიც თამაშობს ერთი კაცი — ბერკოვიჩზე არანაკლებ სახელგანთქმული, 39 წლის დორონ ჯამჩი. ეს კალათბურთელი ქართველ გულშემატკივარსაც კარგად უნდა ახსოვდეს: 1995 წელს ისრაელისა და საქართველოს ნაკრებთა ევროშესარჩევ მატჩში ჯამჩიმ ქართველთა კალათი აიკლო.

ცხადია, ახლა ჯამჩი ის აღარაა, რაც დღევანდელ ვარჯიშზეც აშკარად ჩანდა. იგი სასტარტო ხუთეულში არ არის. მოედანზეც ცოტა დროს ატარებს, მიუხედავად ამისა, „მაკაბის“ მწვრთნელი პინი გერშონი მას არ ელევა.

„მაკაბის“ ჰყავს თითქმის თანაბარძალოვანი ორი ხუთეული და არა ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, ანუ გუნდურ თამაშს ეძალება, რითაც წლეულს არაერთი მეტოქე გაამწარა. მაგალითისთვის სალონიკის პაოკ-ის პლეი ოფის მერვედფინალიდან და ბოლონიის „ფორტიტუდოს“ მეოთხედფინალიდან გამოგდებაც კმარა. სწორედ ამ გუნდური თამაშის გამო „მაკაბის“ ყველა უფრთხის და თუ ვინმე ორ ფავორიტს მაინც დაასახელებს, ერთ-ერთი აუცილებლად ებრაული კლუბი იქნება. ბოლო მატჩებში „მაკაბიში“ გამოირჩა ამერიკელი ცენტრი ნათანიელ ჰაფმანი, რომელსაც „ბარსელონასთან“ ნახევარფინალში მეტოქის ზემძლავრი წინა ხაზის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწევს თანაგუნდელთა დარაზმვა.

მაკაბელთა მწვრთნელი პინი გერშონი საკმაოდ ოპტიმისტურადაა განწყობილი და პროგნოზებსაც თამამს აკეთებს: „კარგი გუნდი მყავს. რამდენიმე რთული თამაშის მოგების შემდეგ უფრო გამოვიწრთეთ და ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეგვიძლია. იქნებ ვინმე ბოლომდე არ იყოს დაჯერებული ჩვენს სიძლიერეში, მაგრამ შარშან არც „ჟალგირისის“ სჯეროდათ, მან კი ევროლიგა მოიგო. ჩვენც იგივეს გავაკეთებთ, „ჟალგირისის“ გზას გავივლით.“

„ჟალგირისის“ გზაზე შემდგარი „მაკაბის“ ღირსებას ნახევარფინალში დაიცავენ: ნადავ ჰენფელდი, მარკ ბრისკერი, დერიკ შარფი, ნათანიელ ჰაფმანი, დალას კომეგისი, გურ შელეფი, დორონ შეფერი, დორონ ჯამჩი, არიელ მაკდონალდი, კონსტანტინ პოპა.



სალონიკის ახალი დარბაზი „ოთხთა ფინალისთვის“ გაეწყო

## ბარსელონა

„კეთილი იყოს შენი დაბრუნება სალონიკში, ეფტიმიოს“ — ასე თბილად შეხვდნენ სალონიკელი გულშემატკივრები „ბარსელონას“ 24 წლის ცენტრს, ბერძენ ეფტიმიოს რენციასს. ერთ დროს მსოფლიოს კალათბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა პროფესიული კარიერა სალონიკის პაოკ-ში დაიწყო და, ჩანს, აქაურებს თავი კარგად დაამახსოვრა. თუ რენციასის მიმართ სალონიკელთა ყურადღება არ განელდა, „ბარსელონას“, სავარაუდოდ, ყველაზე მეტი გულშემატკივარი ეყოლება.

„ბარსელონა“ ევროპის ყველაზე უბედური კლუბია. აბა, სხვა რა უნდა უწოდო გუნდს, რომელიც ექვსჯერ გავიდა ევროლიგის (ჩემპიონთა თასის) ფინალში და ჯილდო ვერაფრით მოიპოვა. 1989 და 1994 წლებში „ბარსელონა“ „ოთხთა ფინალშიც“ გავიდა, მაგრამ თასისთვის ბრძოლა ნახევარფინალში შეწყვიტა.

„ოთხთა ფინალის“ მონაწილეთა შორის „ბარსელონაა“ ყველაზე მაღალი და ფიზიკურად ძლიერი გუნდი. სათამაშო ტაქტიკაც ამ ორ კომპონენტს ეფუძნება. ვარჯიშზე „ბარსელონა“ არ მინახავს, რადგან მათ დილას დაისვენეს, საღამოს კი მაშინ დაიწყებენ ვარჯიშს, როცა თბილისში შუაღამე დადგება, ხოლო „პანათინაიკოსი“ მთლად „ბარსელონას“ შემდეგ ივარჯიშებს.

„ბარსელონას“ მწვრთნელის აიტო გარსია რენესესის ათი რჩეული: ალენ დიგბო, იგნასიო როდრიგესი, ენტონი გოლდვაიერი, როდრიგო დე ლა ფუენტე, დერიკ ალსტონი, ფრანსისკო ელსონი, მილან გუროვიჩი, რობერტო დუენიასი, ხუან კარლოს ნავარო, ეფტიმიოს რენციასი.

## ბარსელონა
### (ბარსელონა, ესპანეთი)

F. C. B.

მწვრთნელი: აიტო გარსია რენესესი (ესპანეთი)

| I ჯგუფური ეტაპი /9-1/ | |
|---|---|
| ცსკა | 75:67, 72:76 |
| ბენეტონი | 69:51, 72:68 |
| პაოკ | 76:55, 87:83 |
| შოლე | 71:62, 77:70 |
| ცრვენა ზვეზდა | 90:67, 91:86 |

| II ჯგუფური ეტაპი /3-3/ | |
|---|---|
| ალბა | 66:67, 64:72 |
| თოფაში | 68:65, 71:78 |
| ჟალგირისი | 66:64, 68:60 |

| მერვედფინალი | |
|---|---|
| ულქერი | 78:73, 60:63, 86:65 |

| მეოთხედფინალი | |
|---|---|
| ოლიმპია | 70:67, 64:71, 71:66 |

| მოთამაშე | ეროვნება | დაბ.წელი | ამპლუა | სიმაღლე | თამაში | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ენტონი გოლდვაიერი | აშშ | 1972 | უკანა ხაზი | 186 | 21 | 478 | 42/87 | 39/101 | 44/57 | 37 | 32 | 20 | 39 | 245 | 11,7 |
| დერიკ ალსტონი | აშშ | 1972 | ცენტრი | 210 | 22 | 647 | 107/202 | 0/1 | 42/79 | 141 | 32 | 23 | 59 | 256 | 11,6 |
| მილან გუროვიჩი | იუგოსლავია | 1976 | ფორვარდი | 207 | 22 | 505 | 31/69 | 36/97 | 33/42 | 59 | 16 | 25 | 38 | 203 | 9,2 |
| ხუან კარლოს ნავარო | ესპანეთი | 1980 | უკანა ხაზი | 193 | 21 | 401 | 35/80 | 19/40 | 40/50 | 28 | 29 | 20 | 21 | 167 | 8,0 |
| რობერტო დუენიასი | ესპანეთი | 1976 | ცენტრი | 220 | 18 | 418 | 52/95 | 0/0 | 34/67 | 134 | 9 | 13 | 46 | 138 | 7,7 |
| ეფტიმიოს რენციასი | საბერძნეთი | 1976 | ცენტრი | 210 | 10 | 165 | 23/43 | 3/10 | 15/24 | 39 | 3 | 4 | 17 | 70 | 7,0 |
| იგნასიო როდრიგესი | ესპანეთი | 1970 | უკანა ხაზი | 188 | 22 | 475 | 19/37 | 21/61 | 35/47 | 46 | 62 | 24 | 52 | 136 | 6,2 |
| ალენ დიგბო | საფრანგეთი | 1975 | ფორვარდი | 196 | 19 | 240 | 20/26 | 15/49 | 26/37 | 32 | 16 | 10 | 23 | 111 | 5,8 |
| როდრიგო დე ლა ფუენტე | ესპანეთი | 1976 | უკანა ხაზი | 200 | 19 | 453 | 33/91 | 9/29 | 15/23 | 70 | 37 | 15 | 32 | 108 | 5,7 |
| პაულ გასოლი | ესპანეთი | 1980 | ფორვარდი | 214 | 19 | 269 | 30/50 | 5/13 | 12/21 | 43 | 7 | 3 | 19 | 87 | 4,6 |
| ფრანსისკო ელსონი | ჰოლანდია | 1976 | ცენტრი | 210 | 20 | 338 | 34/50 | 0/0 | 18/34 | 83 | 2 | 13 | 49 | 86 | 4,3 |
| ალფონსო ალსამორა | ესპანეთი | 1979 | ცენტრი | 204 | 2 | 27 | 2/3 | 0/0 | 1/1 | 3 | 1 | 1 | 3 | 5 | 2,5 |

## ეფეს პილსენი
### (სტამბოლი, თურქეთი)

EFES Pilsen

მწვრთნელი: ერგინ ათამანი (თურქეთი)

| I ჯგუფური ეტაპი /6-4/ | |
|---|---|
| ციბონა | 69:60, 69:71 |
| ფორტიტუდო | 99:63, 56:76 |
| ბუდუჩნოსტი | 73:67, 80:86 |
| კახა სან ფერნანდო | 73:57, 43:62 |
| პო ორტეზი | 69:65, 76:71 |

| II ჯგუფური ეტაპი /5-1/ | |
|---|---|
| ულქერი | 95:72, 87:93 |
| ვარეზე | 84:74, 79:76 |
| პივოვარნა | 78:68, 91:79 |

| მერვედფინალი | |
|---|---|
| ალბა | 90:81, 93:73 |

| მეოთხედფინალი | |
|---|---|
| ვილერბანი | 93:85, 60:77, 68:66 |

| მოთამაშე | ეროვნება | დაბ.წელი | ამპლუა | სიმაღლე | თამაში | წუთი | 2-ქულიანი | 3-ქულიანი | საჯარიმო | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | ფოლი | ქულა | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დამირ მულაომეროვიჩი | ხორვატია | 1974 | უკანა ხაზი | 195 | 21 | 773 | 59/117 | 51/113 | 63/75 | 43 | 100 | 42 | 61 | 334 | 15,9 |
| იბრაჰიმ ქუთლუაი | თურქეთი | 1973 | ფორვარდი | 198 | 21 | 759 | 56/103 | 48/105 | 74/89 | 39 | 48 | 38 | 65 | 330 | 15,7 |
| ჰიდაიეთ თურქოღლუ | თურქეთი | 1979 | ფორვარდი | 204 | 20 | 720 | 75/120 | 25/77 | 44/71 | 90 | 53 | 35 | 65 | 269 | 13,5 |
| პრედრაგ დრობნიაკი | იუგოსლავია | 1975 | ცენტრი | 211 | 21 | 712 | 100/179 | 9/29 | 52/78 | 137 | 21 | 30 | 60 | 279 | 13,3 |
| ჰუსეინ ბეშოქი | თურქეთი | 1975 | ცენტრი | 212 | 21 | 643 | 98/194 | 0/0 | 37/63 | 216 | 22 | 17 | 72 | 233 | 11,1 |
| მარკ ჯექსონი | აშშ | 1975 | ცენტრი | 206 | 6 | 121 | 11/28 | 0/0 | 11/15 | 29 | 2 | 4 | 15 | 33 | 5,5 |
| ომერ ონანი | თურქეთი | 1978 | უკანა ხაზი | 194 | 20 | 281 | 29/50 | 9/20 | 2/9 | 10 | 5 | 17 | 41 | 87 | 4,4 |
| არდა ვექილოღლუ | თურქეთი | 1975 | ფორვარდი | 205 | 12 | 77 | 6/10 | 5/6 | 1/2 | 3 | 1 | 1 | 9 | 28 | 2,3 |
| რესათ ფირინჯიოღლუ | აშშ-თურქეთი | 1966 | ფორვარდი | 205 | 7 | 41 | 4/11 | 0/0 | 5/10 | 13 | 2 | 2 | 5 | 13 | 1,9 |
| ნედიმ დალი | ბოსნია-თურქეთი | 1972 | ცენტრი | 213 | 6 | 43 | 5/7 | 0/0 | 1/2 | 10 | 0 | 1 | 8 | 11 | 1,8 |
| ქარიმ რიდი | აშშ | 1975 | ? | ? | 6 | 24 | 1/1 | 0/2 | 6/6 | 0 | 5 | 1 | 3 | 8 | 1,3 |
| ბორა სანჯარი | თურქეთი | 1976 | უკანა ხაზი | 180 | 4 | 6 | 0/0 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0,0 |

# იუბილარი ტორტის გარეშე

ამელია აილენდი. აშშ. BAUSCH&LOMB-ის ჩემპიონატი. მწვანე თიხნარი. საპრიზო 550 ათასი $

მეოთხედფინალი: **ელენა ლიხოვცევა** (12, რუსეთი) — მარი პირსი (1, საფრანგეთი) 2:6, 6:4, 6:4; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (6, ესპანეთი) 6:1, 6:3; **კონჩიტა მარტინესი** (4, ესპანეთი) — ბარბარა შეტი (8, ავსტრია) 6:4, 6:3; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — ანა კურნიკოვა (7, რუსეთი) 2:6, 6:2, 6:4

ნახევარფინალი: **სელეში** — სუარესი 6:3, 6:2; **მარტინესი** — ლიხოვცევა 6:3, 6:2

ფინალი: **სელეში** — მარტინესი 6:3, 6:2

კვირას 1994-ის უიმბლდონის ჩემპიონ მარტინესს 28 წელი შეუსრულდა, თუმცა ფინალში მისი მეტოქე მონიკა სელეში იუბილარისთვის საჩუქრის მიძღვნის ხასიათზე სულაც არ გახლდათ.

სელეში იმ ჩოგბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება (წვეულებაზე დაპატიჟება ხომ ზედმეტია), რომელთა დანახვაც მარტინესს, ალბათ, ზარავს — ესპანელი პირად შეხვედრებში მასთან 1:18-ს აგებს.

„კონჩიტას სტილი მე ხელს მაძლევს. არიან ისეთი ჩოგბურთელები, რომლებთანაც თამაში გსიამოვნებს, არიან უხერხული მეტოქეებიც. კონჩიტა პირველთა შორისაა" — მარტივად ხსნის ყველაფერს ექსიუგოსლაველი.

წინა დღეებში გადაუღებელი წვიმების გამო შაბათსაც და კვირასაც მოთამაშეებს ორი-ორი მატჩის გამართვა მოუხდათ, თუმცა სელეშისთვის კარიერის 46-ე ტიტულის მოგებაში არც იმას შეუშლია ხელი, რომ კორტზე დამატებითი სამუშაო საათები გაატარა.

მან მძლავრი და ზუსტი დარტყმებით შეავიწროვა მეტოქე, შეუჩერებელი აგრესიის წყალობით გასაქანი არ მისცა და საათზე ოდნავ მეტში იმარჯვა.

წინასწარვე იმედგადაწურული მარტინესი უმწეოდ შლიდა ხელებს, რაღაცას ხმამაღლა ბუტბუტებდა და იმის მაგივრად, მეტოქის ძლევის ხერხებზე ეფიქრა, თავის გასამართლებელ მიზეზებს ეძებდა: „იქნებ ყველაფერი ფსიქოლოგიური კომპლექსის ბრალია... ის, რომ მონიკა ცაციაა, ორმაგად მირთულებს საქმეს, მისი დარტყმები ოდნავ განსხვავებულია... მე ინტუიციას ვენდობი-ხოლმე, მაგრამ მისი ჩანაფიქრის წინასწარ გამოცნობა ძალიან მიჭირს".



კარლოს მოია

კონჩიტას ხასიათს ის თუ გამოუკეთებდა, რომ მატჩის შემდეგ მაყურებლებმა ერთხმად უმღერეს „გილოცავთ დაბადების დღეს". დარდის ჩასახრჩობად კი ალკოჰოლზე არანაკლებ ეფექტური წამალი — 42 ათასი დოლარიც უწყალობეს.

რაც შეეხება სელეშს, მას გამხიარულება ნამდვილად არ სჭირდებოდა: „ამ კორტებზე თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ. ეს კვირა ორმაგად სასიამოვნო იყო, რადგან, როგორც იქნა, დედაჩემიც დავითანხმე, აქ წამოსულიყო და გარემოთი დამტკბარიყო".

ამელია აილენდში გამარჯვებამ მონიკას ორი კვირის წინანდელი სიმწარეც დაავიწყა, როდესაც კი ბისკეინში მარტინა ჰინგისთან 0:6, 0:6 წაგების შემდეგ მაყურებელთა ნაწილმა უსტვინა.

„ძალიან მეტკინა გული, ვერაფრით მივხვდი, რატომ მისტვენდნენ. ასე უსიამოვნოდ ცხოვრებაში არასოდეს მიგრძვნია თავი. როდესაც ვინმეს უჭირს და ფეხზე ძლივს დგას, წიხლი კი არ უნდა ჩააზილო, მხარი უნდა დაუჭირო. ვფიქრობ, ძალიან უსამართლოდ მომექცნენ, კორტზეც და მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზეც, როდესაც ღვარძლიანი კითხვები დამაყარეს. თუმცა წარსულზე არასოდეს ვფიქრობ და ვწუწუნებ, ალბათ, აქაც ამიტომ გავიმარჯვე".

ეშტორილის ღია პირველობა. პორტუგალია. თიხნარი. საპრიზო 650 ათასი $

მეოთხედფინალი: **ნიკოლას ლაპენტი** (3, ეკვადორი) — ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) 7:6 (8:6), 6:4; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 4:6, 6:1, 6:2; **ფრანსისკო კლავეტი** (ესპანეთი) — ნიკოლა ესკუდე (8, საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ანდრეი მედვედევი** (უკრაინა) — ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) 6:2, 6:3

ნახევარფინალი: **მოია** — მედვედევი 6:1, 6:4; **კლავეტი** — ლაპენტი 6:4, 6:3

ფინალი: **მოია** — კლავეტი 6:3, 6:2

კარლოს მოიას კარიერის პირველი დიდი სლემის ტიტულის მოპოვებიდან თითქმის ორი წელი დასჭირდა, მორიგი, თუნდაც უმნიშვნელო ტურნირი რომ მოეგო.

1998 წლის როლან გაროსის ჩემპიონ ესპანელს თავიდან ფინალებში არ უმართლებდა, შარშან ზაფხულში კი ზურგის მძიმე ტრავმა მიილო, ყურადღება დროულად არ მიაქცია და რამდენიმე თვით ჩვეული ფორმა დაკარგა.

„ჯერ კიდევ თებერვალში იმაზე ვოცნებობდი, მატჩი ისე დამესრულებინა, ზურგს არ შევეწუხებინე. დღეს კორტზე არ ვნერვიულობდი, მაგრამ ახლა ძალიან აღელვებული ვარ. უსაზღვროდ მიხარია, წინ ბევრი სასიამოვნო წუთი მელის და ოპტიმისტურადაც განვეწყვე" — თქვა პრესკონფერენციაზე თვალცრემლიანმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, რომელიც კლასიფიკაციაში 46-ე ადგილამდე დაქვეითდა.

საუკეთესო ფორმამდე მოიას ჯერ კიდევ ბევრი უკლია — მოწოდებებიც აღარა აქვს ძველებურად ძლიერი და ბასრი, საფირმო ფორჰენდიც ხშირად ბადის ქვედა ნაწილში ეხვევა, მაგამ მეტოქეების დასამარცხებლად ეშტორილში ესეც საკმარისი გამოდგა, როლან გაროსისთვის უკეთ მოსამზადებლად კი ჯერ ბევრი დროა დარჩენილი.

ატლანტა. აშშ. GALLERYFURNITURES.COM-ის პირველობა. მწვანე თიხნარი. საპრიზო 350 ათასი $

მეოთხედფინალი: **ენდრიუ ილი** (8, ავსტრალია) — შტეფან კუბეკი (2, ავსტრია) 7:6 (7:5), 6:4; **მაიკლ ჩანგი** (4, აშშ) — კრის ვუდრაფი (5, აშშ) 7:6 (7:4), 6:1; **ჯეფ ტარანგო** (7, აშშ) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 6:2; **ჯეისონ სტოლტენბერგი** (ავსტრალია) — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 6:1, 6:2

ნახევარფინალი: **ილი** — ჩანგი 6:3, 1:6, 6:2; **სტოლტენბერგი** — ტარანგო 6:2, 6:4

ფინალი: **ილი** — სტოლტენბერგი 6:3, 7:5.

ავთანდილ სვანიძე

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

**ბოხუმი 2:2 მიონხენგლადბახი**

გამოტოვებული მატჩი

**ქემნიცი 1:1 ნიურნბერგი**

---

რაგბი

# პირველ ჯგუფს გამოვეთხოვეთ

კვირას, საფრანგეთში მიმდინარე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ტურში. ქართველებმა ტონგელების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და 6:23 დამარცხდნენ. ამ დასანანი მარცხით ქართველებმა I ჯგუფში ალზევების შანსი დაკარგეს.

*სხვა შეხვედრები ასე დასრულდა:*

ლიტვა — ჰოლანდია 20:10, ჩეხეთი — კორეა 5:18, მაროკო — პოლონეთი 8:22; რუსეთი — პარაგვაი 34:10, უკრაინა — მადაგასკარი 35:0, სამოა — პორტუგალია 8:6, ტუნისი — გერმანია 19:19 (არეკნებით გაიმარჯვა გერმანიამ).

*19 აპრილს, მესამე ტურში ითამაშებენ:*

ტონგა — კორეა; საქართველო — ჩეხეთი; ლიტვა — პოლონეთი; ჰოლანდია — მაროკო; რუსეთი — სამოა; პარაგვაი — პორტუგალია; უკრაინა — გერმანია; მადაგასკარი — ტუნისი

ზაზა ბენიძე

## ევროპის თასი

მეოთხედფინალი

15 აპრილი

**ტულუზი (საფრანგეთი) 31:18 მონფერანი (საფრანგეთი)**

**ლიანელი (უელსი) 22:3 კარდიფი (უელსი)**

**მანსტერი (ირლანდია) 27:10 სტად ფრანსე (საფრანგეთი)**

16 აპრილი

**ნორტჰემპტონი (ინგლისი) 25:22 უოსპსი (ინგლისი)**

ნახევარფინალი

6 მაისი

**ტულუზი — მანსტერი**

7 მაისი

**ნორტჰემპტონი — ლიანელი**

## ზე 12. მერვე ტური

14 აპრილი

**ოკლენდი (ახალი ზელანდია) 26:16 დანიდინი (ახალი ზელანდია)**

**ბრისბენი (ავსტრალია) 37:24 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)**

15 აპრილი

**სიდნეი (ავსტრალია) 30:25 კანბერა (ავსტრალია)**

**დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 24:32 კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია)**

**ჰამილტონი (ახალი ზელანდია) 40:7 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)**

*იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) და ველინგტონი (ახალი ზელანდია) ისვენებდნენ*

---

ჰოკეი

# PLAY OFF

## მერვედფინალი

### აღმოსავლეთი

**ფილადელფია — ბუფალო 3:0**

14 აპრილი

**ფილადელფია — ბუფალო 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 შატანი 10'40 (2); 1:1 ლეკლერი 24'53 (1); 2:1 დეჟარდენი 29'47 (1)

16 აპრილი

**ბუფალო — ფილადელფია 0:2**

0:1 0:0 0:1

0:1 ლეკლერი 15'30 (2); 0:2 რეკი 59'22 (1)

**პიტსბურგი — ვაშინგტონი 2:0**

15 აპრილი

**პიტსბურგი — ვაშინგტონი 2:1**

0:1 1:0 0:0 1:0

0:1 ბონდრა 17'18 (1); 1:1 პრდონა 34'06 (2); 2:1 იაგრი 65'49 (1)

**ტორონტო — ოტავა 2:0**

15 აპრილი

**ტორონტო — ოტავა 5:1**

0:0 4:1 1:0

1:0 ტაკერი 20'46 (2); 2:0 სუნდინი 21'28 (2); 3:0 ტომასი 23'49 (1); 4:0 ტომასი 32'46 (2); 4:1 სალო 39'05 (1); 5:1 ბერეზინი 45'36 (1)

**ნიუ ჯერსი — ფლორიდა 2:0**

16 აპრილი

**ნიუ ჯერსი — ფლორიდა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 სილინჯერი 14'45 (2); 1:1 ნიდერმაიერი 20'56 (1); 2:1 სტივენსი 43'42 (2)

### დასავლეთი

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 2:0**

15 აპრილი

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 8:5**

4:3 2:1 2:1

1:0 შენაჰანი 0'55 (1); 2:0 ლაპოინტი 1'33 (1); 2:1 რობიტაილი 2'04 (1); 3:1 დრეიპერი 3'32 (1); 3:2 პალფი 4'55 (1); 4:2 ლაპოინტი 6'56 (2); 4:3 ოდონელი 14'36 (1); 5:3 დრეიპერი 23'27 (2); 6:3 ლაპოინტი 29'33 (3); 6:4 ჯონსონი 31'43 (1); 6:5 პალფი 41'11 (2); 7:5 ლიდსტრიომი 49'18 (1); 8:5 ლიდსტრიომი 59'23 (2)

**სენტ ლუისი — სან ხოსე 1:1**

15 აპრილი

**სენტ ლუისი — სან ხოსე 2:4**

1:1 0:0 1:3

1:0 რიზონერი 9'54 (2); 1:1 სუტერი 17'10 (1); 1:2 მარჩმენტი 43'07 (1); 2:2 რიშე 48'35 (1); 2:3 რიჩი 54'18 (1); 2:4 ნოლანი 58'57 (2)

**კოლორადო — ფინიქსი 2:0**

15 აპრილი

**კოლორადო — ფინიქსი 3:1**

2:0 1:1 0:0

1:0 დრური 3'31 (1); 2:0 ტანგეი 4'27 (2); 2:1 ჰოგი 25'42 (1); 3:1 ჰეიდუკი 29'32 (1)

**დალასი — ედმონტონი 2:1**

16 აპრილი

**ედმონტონი — დალასი 5:2**

3:0 2:2 0:0

1:0 უეიტი 8'40 (1); 2:0 დაუდი 9'56 (1); 3:0 უეიტი 17'00 (2); 4:0 რ. სმიტი 21'16 (1); 4:1 მოროუ 22'32 (1); 5:1 უეიტი 26'13 (3); 5:2 მოდანო 30'59 (1)

---

ველორბოლა

# არაგონის ტური

მესამე ეტაპი

ბენასკე — საბინანიგო, 159 კმ

1. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი) — 3სთ 51წთ 12წმ
2. მიგელ ანხელ პერდიგერო (ესპანეთი)
3. ივან ბასო (იტალია)
4. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი)
5. ლორან ბროშარი (საფრანგეთი) — ყველას იგივე დრო

მეოთხე ეტაპი

ბაკა-ბორხა, 186 კმ

1. ოსკარ ფრეირი — 4სთ 23წთ 57წმ
2. ლორან ბროშარი
3. მარსელ ვუსტი (გერმანია)
4. გაბრიელე კოლომბო (იტალია)
5. ფლავიო ძანდარინი (იტალია) — ყველას იგივე დრო

მეხუთე ეტაპი

მაგალონი-სარაგოსა, 120,5 კმ

1. ჯოვანი ლომბარდი (იტალია) — 2სთ 38წთ
2. ჯანპაოლო მონდინი (იტალია)
3. დავიდე ბრამანტი (იტალია) — ორივეს იგივე დრო
4. ხოსე ლუის რუბიერა — +45წმ
5. მიგელ ანხელ პერდიგერო — +45

საბოლოო ჩათვლა

1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია) — 19სთ 06წთ 00წმ
2. აიტორ გარმენდია (ესპანეთი) — +3წმ
3. ბინგენ ფერნანდესი (ესპანეთი) — +18
4. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი) — +24
5. გაბრიელე კოლომბო — +40

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli